# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 267 (12 638) 13 ნოემბერი ხუთშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასათიანი ისევ არ იქნება, არც კვირკველია...



## ტრავმის გარდა, შეიძლება, სავიზო პრობლემაც მქონოდა...

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

»»» 2

## ზაზამ ხარი წამოაქცია

ფაჩულიას სარეკორდო 12 და ატლანტის ექვსიდან ექვსი

» 12



## ადრიანომ ჭკუა ვერ ისწავლა

» 7

## ვერ გავიგე, რატომ გამიშვეს გუნდიდან...

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარემ დახმარებისთვის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა

ინტერვიუ გია ჭანტურიასთან

»»» 3



## დრეზდენის ნაცვლად საავადმყოფოში

### ილუმჟინოვი საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ, მოსკოვში ავარიაში მოყვა

გუშინ დრეზდენში საჭადრაკო ოლიმპიადა საზეიმოდ პირადად უნდა გაეხსნა ფიდეს პრეზიდენტს **კირსან ილუმჟინოვს**, თუმცა მან დრეზდენამდე ვერ ჩააღწია. მისი თვითმფრინავი „ვნუკოვოს" აეროპორტიდან 13.55 საათზე უნდა აფრენილიყო, მაგრამ მოსკოვის ავტოტრასაზე ილუმჟინოვის მანქანა ავარიში მოყვა - გზაჯვარედინზე წითელ შუქზე გაიარა და „ფორდს" შეეჯახა, რომელსაც ქალი მართავდა.

ილუმჟინოვს ტვინის შერყევის და კისრის კუნთის დაჭიმულობის დიაგნოზი დაუსვეს. საავადმყოფოში გადაიყვანეს მძღოლებიც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

# ტრავმის გარდა, შეიძლება, სავიზო პრობლემაც მქონოდა...

**როგორც** გახსოვთ, ექტორ კუპერმა ოქტომბრის მატჩებისთვის მალხაზ ასათიანს ნაკრებში არ უხმო. ამჯერად, ეროვნული გუნდის თავკაცმა საჭიროდ მიიჩნია, კიევის „დინამოს" მცველი რუმინეთთან ამხანაგური თამაშისთვის გამოეძახა. ეგ არის, რომ მალხაზი ვერც 19 ნოემბერს მოირგებს ნაკრების მაისურს. რატომ? მიზეზებზე მან „ლელოსთან" ინტერვიუში ისაუბრა...



- კუნთი მქონდა დაჭიმული. სარეაბილიტაციო კურსი უკვე დავამთავრე და გუნდთან ერთად ვივარჯიშე კიდეც.

**- სრული დატვირთვით ივარჯიშე?**

- არა, დატვირთვებს ნელ-ნელა გავზრდი. იმედი მაქვს, ტრავმა თავს აღარ შემახსენებს. ჯერჯერობით, უბურთოდ ვვარჯიშობ.

**- უკრაინულ პრესასთან საუბარში კიევის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა აღნიშნა, ასათიანი ალბათ „შახტართან" ითამაშებსო...**

- მეც მაქვს იმედი, რომ ვითამაშებ.

**- ნაკრებში ხარ გამოძახებული და ტრავმა შეგიშლის ხელს?**

- ძალიან მინდა, რუმინეთთან ვითამაშო, მაგრამ ესეც საეჭვოა. ვნახოთ...

**- როგორ ფიქრობ, კუპერმა ოქტომბრის მატჩებისთვის რატომ არ მიგიწვია?**

- ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი მომენტია. არც მე მითქვამს და არც ნაკრების ხელმძღვანელობას, რომ ეროვნულ გუნდში აღარ ვითამაშებდი. კუპერმა თავად უკეთ იცის, რომელი ფეხბურთელები სჭირდება ამა თუ იმ მატჩისთვის. მან გადაწყვიტა, რომ კვიპროსსა და ბულგარეთთან არ უნდა გამოვეძახე. მორჩა და გათავდა, რა პრობლემაა? ვიმეორებ, ეს მწვრთნელის საქმეა და ამაში გასაოცარი არაფერია, ჩვეულებრივად მივიღე ეს ამბავი და გარწმუნებთ, დრამატიზება არ ღირს. აგერ, დავჭირდი რუმინეთისთვის და გამომიძახა...

**- „შახტარს" 16 ნოემბერს ეთამაშებით. თუ ამ შეხვედრაში ითამაშებ, მერე ნაკრებსაც დაეხმარები?**

- კიდევ გეუბნებით, ძალიან მინდა, რომ ვითამაშო, მაგრამ ჯერ არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა ბუქარესტში ჩასვლას.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, ტრავმის გარდა სხვა მიზეზიც გაქვს...**

- არის და არცთუ უსაფუძვლო. ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უკვე გითხარით. იმედი მაქვს, ხვალ-ზეგ უკვე სრული დატვირთვით ვივარჯიშებ, მაგრამ აქ არის კიდევ სავიზო პრობლემა...

**- სავიზო?**

- დიახ. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან" სტუმრად გვიწევს თამაში. კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელების პასპორტები ბრიტანეთის საელჩოს ვიზების ასაღებად ჩააბარა და ჯერ არ ვიცი, როდის დამიბრუნებენ პასპორტს. თუ ეს მალე მოხდება, ხომ კარგი, თუ არა და, შესაძლოა, რუმინეთის ვიზის აღება პრობლემად მექცეს.

**- ...და იმედი არ გაქვს, რომ პასპორტს დროულად დაგიბრუნებენ?**

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით... არადა, ძალიან მინდა ბუქარესტში ჩასვლა...

**- კუპერმა შენი თანაკლუბელი მარცვალაძეც გამოიძახა. რას იტყვი ოთარზე?**

- ის სულ უფრო უკეთ თამაშობს და მჯერა, კუპერსაც და გულშემატკივარსაც თავს მოაწონებს.

**- ახლა შენს მომავალზეც გკითხავ. კიევის „დინამოში" მოსკოვის „ლოკომოტივიდან" ხარ განათხოვრებული. საიჯარო კონტრაქტის ვადა რამდენიმე კვირაში იწურება. კიევში დარჩები თუ ისევ რკინიგზელებს დაუბრუნდები?**

- ჯერჯერობით, არაფრის თქმა არ შემიძლია. ხელშეკრულება წლის ბოლოს მიმთავრდება. ვნახოთ, რას გადაწყვეტენ სიომინი და კიევის „დინამოს" მესვეურები...

**- სიომინის კომენტარი გამოქვეყნდა პრესაში. მან თქვა, ასათიანის შესაძლებლობები კარგად ვიცი და ბოლომდეც ვენდობი, მაგრამ მთავარია, ძველებურად ათამაშდესო. სიომინი ჯერ ვერ ხედავს „ძველ ასათიანს"?**

- რა გითხრათ... მოედანზე 100 პროცენტით ვიხარჯები, სულს და გულს იქ ვტოვებ... არ მგონია, სიომინი ჩემით უკმაყოფილო იყოს, ამას ვერ ვგრძნობ. მეც მინდა, რომ ძველებურად ვითამაშო და ვცდილობ კიდეც, მაგრამ... მოკლედ, არ ვიცი, ვნახოთ, რას გადაწყვეტს სიომინი.

**- თუ კიეველებმა კონტრაქტის გაგრძელება ან მისი სრულად გამოსყიდვა გადაწყვიტეს, „ლოკომოტივი" თანახმა იქნება?**

- ეს უკვე მოლაპარაკების საგანია. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**- სხვა მსურველი ხომ არ გამოგიჩნდა?**

- პირადად ჩემთან არავის ულაპარაკია და როგორც ვიცი, არც კლუბთან. ასე რომ... ჩემი საკითხი მომდევნო თვეში უნდა გაირკვეს. სხვა რა დამრჩენია, დაველოდები და ვნახოთ, რას მოიფიქრებენ კიევსა და მოსკოვში.

**დავით ცაბაძე**

● ბოლოს გაირკვა...

## ასათიანი ისევ არ იქნება, არც კვირკველია...

გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **ექტორ კუპერმა** სარუმინეთო შემადგენლობაში ორი იძულებითი ცვლილება შეიტანა. ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, **მალხაზ ასათიანს** (კიევის „დინამო") ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, ხოლო რუსეთის ჩემპიონ **დავით კვირკველიას** („რუბინი") აქილევსის მყესი დაუზიანებია. ასათიანთან ინტერვიუს ამ გვერდზევე გთავაზობთ და მასში წაიკითხავთ, რომ გუშინ ის ჯერ კიდევ ეჭვობდა, შეძლებდა თუ არა რუმინეთის წინააღმდეგ თამაშს. სხვათა შორის, მას არ უთამაშია გუშინ „დინამოს" სათასო შეხვედრაში და არც კვირკველია ახლდა „რუბინს" რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში. კვიპროსსა და ბულგარეთთან მატჩებს ორივე ფეხბურთელი დააკლდა - მაშინ ასათიანი კუპერმა არ გამოიძახა, კვირკველიას კი იმ დროისთვისაც ტრავმა ჰქონდა.

გუშინვე, კუპერმა ისინი ორი ფეხბურთელით ჩაანაცვლა - რუმინეთში გაემგზავრებიან მცველი **გიორგი შაშიაშვილი** („შტურმი") და ზესტაფონელი ნახევარმცველი **მურთაზ დაუშვილი**, რომლისთვისაც, მოედანზე გასვლის შემთხვევაში, 19 ნოემბრის ბუქარესტული მატჩი სადებიუტო იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ ზაურ სვანაძესთან

# ქეცბაია და ჭედია გვეხმარებიან...

## სვანაძე მაქსიმალისტია, თუმცა ფავორიტებად ჩეხეთსა და დანიას აღიარებს

**გუშინწინ** საღამოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში შეიკრიბა, სადაც მამა ალექსიმ დალოცა და წარმატებები უსურვა. ეკლესიიდან გუნდმა ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" გადაინაცვლა, გუშინ დილით კი ზაურ სვანაძის კრებული იტალიას გაფრინდა. გუშინვე, ჩვენი 19-წლამდელები პიზის მახლობლად, მონტე კანტინიში დაბინავდნენ და შესარჩევი ციკლისთვის დასკვნით მოსამზადებელ ეტაპსაც იქვე გაივლიან. დღეს ჩვენებს პირველი საკონტროლო მატჩიც აქვთ. მათი მეტოქე ტოსკანის რეგიონის ახალგაზრდული ნაკრებია, 17-ში კი „ემპოლის" მეორე გუნდს ეთამაშებიან. თბილისიდან გამგზავრებამდე ზაურ სვანაძეს გავესაუბრეთ...

**- რამდენად მზადაა გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე საასპარეზოდ?**

- მზადება რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ და ეს ეტაპი პერიოდებად დავყავით. თავდაპირველად, სელექცია ჩავატარეთ, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე რამდენიმე ათეულ ჭაბუკ ფეხბურთელს დავაკვირდით. ამას გარდა, გარკვეული ცნობები მოვიძიეთ ლეგიონერებზეც, მათ შორის, აქამდე უცნობ ან ნაკლებადცნობილ, უცხოეთში მოასპარეზე ჩვენებურებზე... ვფიქრობ, საკმაოდ მასშტაბური და შრომატევადი სამუშაო გავწიეთ. მიმაჩნია, რომ ნაყოფიერად მოვემზადეთ - საქართველოშიც და უცხოეთშიც. საერთო შემადგენლობიდან რამდენიმე ათეული მოთამაშე ავარჩიეთ, მერე ისინი საბოლოოდ გავფილტრეთ და ასე ჩამოვაყალიბეთ ის კონტინგენტი, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე უნდა იასპარეზოს.

**- ესე იგი, გუნდის მომზადების დონე ოპტიმალურია? ყველა დასახული ამოცანა შეასრულეთ?**

- ვფიქრობ, გუნდი ნორმალურადაა მომზადებული. მაგრამ მწვრთნელები მაქსიმალისტები ვართ და უკეთესზეც არ ვიტყოდი უარს.

**- რამდენადაც ვიცით, ბოლო მომენტში ორი ფეხბურთელი დაგაკლდათ...**

- დიახ, სამწუხაროდ, ტრავმებს ვერ ავცდით. ამის გამო „ვიტ ჯორჯიის" თავდამსხმელი როსტიაშვილი და თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი ნემსაძე გამოგვაკლდნენ. მათ ნაცვლად სხვა ორი მოთამაშე ავიყვანეთ.

**- მეტოქეებზე რა იცით? მოდით, დანიით დავიწყოთ...**

- პირველი მატჩი სწორედ დანიასთან გვაქვს და ჯერ ამ გუნდზე მოვიძიეთ ცნობები. სტატისტიკური და სხვა მონაცემების გარდა, ვიდეომასალაც გვაქვს - მათი ორი ამხანაგური მატჩი ესტონეთთან, რომელსაც ერთი თამაში მოუგეს, მეორეში კი წააგეს. ამას გარდა, დანიაში ჩატარდა სამთა ტურნირი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად თურქეთი და საფრანგეთი მონაწილეობდნენ. ჩვენი მომავალი მეტოქე ფრანგებთან დამარცხდა, თურქებთან კი ფრედ ითამაშა. სხვათა შორის, დანიის 19-წლამდელთა ნაკრები თითქმის იმავე სქემით თამაშობს, როგორითაც ეროვნული გუნდი. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ფლანგებზე კარგი ფეხბურთელები ჰყავთ.

**- ჩეხეთზე რას იტყვით?**

- სამწუხაროდ, ჩეხეთის გუნდზე ბევრი არაფერი ვიცით, არც ვიდეომასალა გვაქვს. პირველ ტურში ისინი კვიპროსს ხვდებიან და კარგია, რომ გვექნება საშუალება, ამ მატჩს დავესწროთ. სწორედ მაშინ გავიცნობთ ჩეხებს უფრო ახლოს.



ზაურ სვანაძე

**- არც კვიპროსის ნაკრებს იცნობთ?**

- ამ გუნდზე თემურ ქეცბაია და სოსო ჭედია მოგვაწვდიან მასალებს. პლუს ამას, ჩეხეთის გარდა ხომ იმ თამაშში კვიპროსსაც ვნახავთ. სხვათა შორის, ქეცბაიასა და ჭედიას უკვე ვესაუბრე და რაღაც ინფორმაციები უკვე მომაწოდეს კიდეც.

**- თქვენ აზრით, ვის არის ჯგუფის ფავორიტი?**

- ვფიქრობ, ჩეხეთსაც და დანიასაც ჩვენზე უკეთესი გუნდები ჰყავთ. ამ ორიდან კი, სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, ჩეხეთი უფრო ძლიერი ნაკრები უნდა იყოს.

**- მატჩების განრიგი რამდენად ხელსაყრელია ჩვენი გუნდისთვის?**

- ვფიქრობ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ორი აზრი არ არსებობს, რთულ ჯგუფში ვართ, დანია და ჩეხეთი ძლიერები არიან, კვიპროსი - მასპინძელია. თუმცა ჩვენ ამაზე არ ვფიქრობთ. ჯგუფიდან გასვლა გვინდა და საამისოდ ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ასე რომ, მიზანი ერთია - ჯგუფიდან გასვლა.

**- ცნობილია, რომ სხვა ასაკობრივი ნაკრებიდანაც გამოიძახეთ ფეხბურთელები, მაგალითად, „ანორთოსისის" მცველი დათა რიგვავა. რას იტყოდით მასზე?**

- ქეცბაიამ და ჭედიამ რიგვავა კარგად დაგვიხასიათეს, მოვიწვიეთ და ერთი კვირის განმავლობაში გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც... კარგი მცველია. იმედია, გაამართლებს.

**- შეყილაძე და ბეგლარიშვილიც სხვა ნაკრებიდან არიან...**

- ბეგლარიშვილს 19-წლამდელებში უკვე აქვს ნათამაშები, შეყილაძეზეც კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი... მოკლედ, მჯერა, ეს ბიჭები გუნდს გააძლიერებენ.

**- იტალიური შეკრება გენერალური რეპეტიციაა...**

- დიახ, სწორედ ასეა, თანაც, აპენინებზე ორ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ. ეს ორი თამაში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**დავით ცაბაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



ინტერვიუ გია ჭანტურიასთან

# ვერ გავიგე, რატომ გამიშვეს გუნდიდან...

## საქართველოს ნაკრების ყოფილმა მეკარემ დახმარებისთვის ფეხბურთის ფედერაციას მიმართა

„ბორჯომთან“ შეხვედრის შემდეგ გია ჭანტურია „ზესტაფონში“ აღარ გამოჩენილა. მაშინვე გავიგეთ, რომ ის გუნდიდან გაუშვეს. თუმცა კლუბის წარმომადგენლები ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებენ. არადა, ჭანტურია გუნდთან ერთად არ ვარჯიშობდა, არც ძირითად შემადგენლობაში იყო და არც დუბლებში. გუშინ კი სანდო წყაროსგან შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონის“ მეკარემ, რომელსაც ქვეყნის ნაკრებშიც აქვს ნათამაშები, ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართა, გაერკვიათ, გაუშვეს კლუბიდან თუ არა, ან რატომ არ აძლევენ ვარჯიშის უფლებას...

ჭანტურია პრესასთან ამ თემაზე ლაპარაკს ერიდებოდა, თუმცა, როგორც იქნა, თავადვე დაგვიდასტურა, რომ ფეხბურთის ფედერაციას ვითარებაში გასარკვევად მართლაც მიმართა...

- დიახ, ფეხბურთის ფედერაციას მივმართე თხოვნით, რომ დამეხმარონ. მაინტერესებს, რა ხდება ჩემსა და „ზესტაფონს“ შორის. სიმართლე გითხრათ, არანაირი სურვილი არ მაქვს, დავუპირისპირდე იმ კლუბსა და პრეზიდენტს, რომლისგანაც ბევრი სიკეთე მახსოვს. უმადური ადამიანი არ ვარ და მომხდარის მიუხედავად, არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს მხოლოდ ცუდზე ვლაპარაკობ. ჩხუბი და დავიდარაბაც არ მიყვარს, მაგრამ ხომ უნდა გავერკვე, ბოლოს და ბოლოს, რატომ გამიშვეს გუნდიდან?

**- და ამას უშუალოდ კლუბის ხელმძღვანელობისგან ვერ გაიგებდი?**

- როგორ ფიქრობ, არ ვცადე? რამდენჯერაც მოვინდომე ილია კოკაიასთან დაკავშირება, იმდენჯერვე უარი მივიღე. არ სურს ჩემთან შეხვედრა. მივედი ვარჯიშზე და მითხრეს, მოედანზე შესვლის უფლება არ გაქვსო, პრეზიდენტმა ასე გადაწყვიტაო... ახლახან კლუბის ყველა წევრს საბანკო ანგარიშზე თანხა ჩაურიცხეს და ერთადერთი ვარ, ვისაც თეთრიც კი არ მიუღია. მხოლოდ სიტყვიერად მითხრეს, რომ „ბორჯომთან“ მატჩის შემდეგ პრეზიდენტმა გუნდიდან გამიშვა.

**- რატომ? თქვენ შორის კონფლიქტი მოხდა?**

- არა, არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა. დამიჯერეთ, არაფერს ვმალავ, ჩვეულებრივ ვისაუბრეთ, საქმიანად... კაცი გაგიჟებული იყო, „ბორჯომს“ როგორ ვერ მოუგეთო. შევეცადე მის დამშვიდებას - ბატონო ილია, ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ყველა თამაშს „ჩელსიც“ ვერ იგებს-მეთქი. არ ვიცი, რა იყო ამაში საწყენი ან შეურაცხმყოფელი? კოკაიას მართლა დიდ პატივს ვცემდი და დღემდე ვაფასებ, რადგან მან ერთ ქართულ ქალაქს მაინც აჩუქა ლამაზი სტადიონი და კარგი გუნდიც გააკეთა. ამიტომაც მიკვირს, რომ ასე მომექცა. არ მგონია, „ზესტაფონის“ წინაშე თუნდაც მცირედი დამსახურება არ მქონდეს.

**- მოკლედ, კონტრაქტი გაგიწყვიტეს?**

- არ ვიცი, არაფერს მეუბნებიან და ფედერაციასაც ამიტომ მივმართე. მაგრამ, რაკი ხელფასი არ ჩამირიცხეს და სიტყვიერად მითხრეს, რომ გუნდიდან გაშვებული ვარ, გამოდის, რომ კლუბს აღარ ვჭირდები. თუმცა ისიც მითხრეს, ტრანსფერზე დაგაყენესო. ეს კონტრაქტის გაწყვეტას სულაც არ ნიშნავს - კლუბს ვალდებულებები აქვს შესასრულებელი - მომცენ ვარჯიშის საშუალება. ყველამ დაინახა, მოედანზე რომ არ შემიშვეს. არც რეჟიმი დამირღვევია, არც თამაში ჩამიგდია... უბრალოდ, არც ვიცი, რა ხდება. მიზეზი მაინც მითხრან, რატომ მიშვებენ გუნდიდან.

**- იქნებ, რაიმე სხვა მიზეზია და არა კონკრეტულად ის შემთხვევა, რაც წელან ახსენე?**

- არანაირი სხვა მიზეზი არ არსებობს, ეს გამორიცხულია. მაშინ თქვან, რა მიზეზია. რატომ არ ამბობენ? პირადად მე, კოკაიასთან არ მიჩხუბია, თავად მითხრა - ნუ მეპასუხებიო. ეს იყო და ეს. პატარა ბიჭი არ ვარ, რომ კუთხეში დავდგე. კაპიტანს აქვს უფლება, მწვრთნელსა და კლუბის პრეზიდენტს გუნდის სატკივარზე ელაპარაკოს. მეც ეს გავაკეთე, მართლა არ ყოფილა ჩხუბი და წაწევ-გამოწევა.

**- ტრანსფერზე ოფიციალურად დაგაყენეს?**

- 1000 ლარით დაგაჯარიმეთო, მხოლოდ ეს მითხრეს, მაგრამ ტრანსფერზე ვარ თუ არა, ეს დანამდვილებით არ ვიცი. თუმცა ამასაც თავისი წესი აქვს - კლუბის პრეზიდენტი ოფიციალურ განცხადებას წერს და მას მოთამაშეც ეცნობა. მსგავსი არაფერი ყოფილა. ამას გარდა, ტრანსფერზე დაყენების შემთხვევაშიც კი, სანამ სხვა კლუბში არ გადავალ, ხელფასი უნდა გადამიხადონ, რადგან ტრანსფერზე დაყენებულიც კი ჯერ კლუბის წევრად ვითვლები.

**- სხვათა შორის, წელს ითქვა, რომ „ზესტაფონის“ გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო. ფაქტია, თითქმის ყველა ვეტერანი გაუშვეს და, ალბათ, ჭანტურიას ჯერიც დადგა...**

- „ბორჯომთან“ თამაშისა და გასახდელში ჩვენი შელაპარაკების შემდეგ გადაწყვიტეს ჩემი გაშვება. გაახალგაზრდავება აქ არაფერ შუაშია. თუმცა ამასთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია მაქვს - ახალგაზრდა, ნიჭიერი ბიჭები არიან „ზესტაფონში“ და გვერდით მათ გამოცდილი მოთამაშეები სჭირდებათ, რათა ცხოვრებაში, ფეხბურთსა და ბევრ სხვა წვრილმანში გაერკვნენ. ამას ჩემ გამო არ ვამბობ - „სამტრედიაში“ რომ ჩავირიცხე, გამოცდილი მოთამაშეების გვერდით უფრო თამამად და თავდაჯერებით ვთამაშობდი, მათგან ბევრს ვსწავლობდი. ვეტერანის გარეშე გუნდი იგივეა, რაც ოჯახი მშობლების გარეშე. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, „ზესტაფონთან“ კონტრაქტი და ვალდებულებები მაქვს, ისევე, როგორი ვალდებულებებიც აქვს კლუბს ჩემ მიმართ. „ზესტაფონის“ საკადრო პოლიტიკაში არ ვერევი და ეს არცაა ჩემი გადასაწყვეტი, უბრალოდ, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულებას ვითხოვ.

**- ისე, რატომ არის „ზესტაფონში“ ტრანსფერებზე მუდმივი დავა?**

- ყველას უცხოეთისკენ მიუწევს გული, კლუბს კი მოთამაშეების შენარჩუნება სურს...

**- შენს კონტრაქტს როდემდე აქვს ვადა?**

- 2010 წლის 10 იანვრამდე. სხვათა შორის, მაშინ თავად მსურდა ორწლიანი კონტრაქტი, მაგრამ ბატონმა ილიამ სამწლიანზე დამიყოლია. ვგრძნობდი მისგან ნდობას, სიყვარულს და სხვა თუ არაფერი, საწყენია ასეთი დამოკიდებულება. მგონი, ამას არ ვიმსახურებდი, თორემ სამუდამოდ „ზესტაფონში“ რომ არ დავრჩებოდი, მეც კარგად ვიცოდი. თანაც, როინ კვასხვაძე ნიჭიერი მეკარეა და მინდა, წარმატებები ვუსურვო.

**- ბოლოს პოლ კესანზეც გკითხავ. როგორც ვიცით, მას „ზესტაფონში“ ჩხუბი მოუვიდა...**

- დამიჯერეთ, რასიზმზე ლაპარაკი იმდენად აბსურდულია, არც უნდა მიაქციოთ სერიოზული ყურადღება. თქვენს გაზეთში წავიკითხე და შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ კესანმა მართლაც შეაგინა თანაგუნდელს, თანაც სამჯერ, და ამაზე მიუთითეს ძალიან მწარედ, რომ საქართველოში მსგავს სიტყვებს არავის აპატიებენ. ვერ გაიგო და მერე უსიამოვნება მართლაც მოხდა, თუმცა მოჩხუბრები მალევე შევარიგეთ. რა ვიცოდით, თუ კესანი ამას ხელზე დაიხვევდა? აგერ, მეც გამიშვეს „ზესტაფონიდან“ და ნაწყენიც ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ კლუბსა და ქალაქს ვაგინო, დავივიწყო ის სიკეთე, რაც ზესტაფონთან მაკავშირებდა. ჩემი აზრით, კესანს წასვლა სურდა და ამიტომაც მოაწყო ეს სპექტაკლი, თორემ ჩვენიანად მიგვაჩნდა და ძმასავით ვექცეოდით...

**მერაბ მამულაშვილი**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი
დავით თავართქ...

# მხოლოდ კირკიტი არ კმარა

## ახალი ნომინაცია გამოკითხვისთვის

როგორ გგონიათ, 27-28 დეკემბერს როგორი ამინდი იქნება? ამ დღეს ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მე-17 ტურია, წლის ბოლო თამაშები და ისიც ვიკითხოთ, რამდენი კაცი დაესწრება იმ დღეს მატჩებს? მაშინ, როცა საქართველოს პირველობის თამაშებზე რაიონებშიც კი იკლო გულშემატკივარმა, წლის ბოლოს, ქარსა და ყინვაში, საახალწლო სამზადისში, როგორღა მივა სტადიონებზე 200-300 კაცი მაინც? გონებისთვის ეს არცთუ პატარა სავარჯიშოა, მაგრამ მთლად ისეც არაა საქმე, რომ ყველაფერი ჩინოსანთა ნააზრევს დავაბრალოთ. ქართულ ფეხბურთს არ აქვს ფული, ღარიბია და წყალწაღებული, ჩვენი ფეხბურთელებიც სად აღარ გარბიან, სომხეთსაც კი მიეძალნენ და ამ დროისთვის სამ იქაურ კლუბში 12 ჩვენებური თამაშობს. იქ ჩემპიონატის პირველი წრე მთავრდება და ერევნის „მიკა“ მეორე წრისთვის ახალ მწვრთნელს ელის - ივო შუშაკს, ჩვენს მეგობარსა და კეთილის მსურველს...
ლამაზი და მდიდარია ერევანი ზაფხულში, პატარ-პატარა შადრევნებით გალამაზებული ღია კაფეები, უცხოეთიდან ჩამოსული დიასპორა, რომელსაც ვალივით მართებს წელიწადში ერთხელ მაინც ისტორიულ სამშობლოში ჩასვლა და იქ ფულის დახარჯვა. ყოველივე ეს თითქოს არ უკავშირდება ფეხბურთს, მაგრამ იქ, სადაც ეროვნულობას აკეთებს, ოღონდ, თავადაც გაურკვევლობაშია ალბათ. რა იქნება მერე? მუდმივად ასე უნდა ხარჯოს ფული უკუგების გარეშე?
ეს „ზესტაფონი“ კი ისეთი აღმოჩნდა, სულ რაღაც არასასიამოვნო ამბები რომ ხდება. გუნდი ლეგიონერებმა დატოვეს და ათასი ჭორიც გავრცელდა. აი, ერთი ახალი ამბავიც, რომელიც ჭორია თუ სიმართლე, ღმერთმა უწყისს - „ზესტაფონის“ ბრაზილიელ მცველს ქართველმა თანაგუნდელებმა ჰკითხეს, ხელფასი რამდენი გაქვსო? სანტოსს არ მოეწონა უტაქტო კითხვა და ატყდა ჩხუბი. სანტოსი გაილახა...
პოლ კესანიმ კი თქვა, მცემესო და ფიფაში იჩივლა. ქართულ (და არა მარტო) გუნდებში თანამემამულენიც დაერევიან ხოლმე ერთმანეთს. ერთხელ, ყველას დასანახავად, ჩვენი უტიტულოვანესი კლუბის ფეხბურთელებმა იჩხუბეს, რუსთავის „ოლიმპში“ კი ისეთი დაჯგუფებები შეიქმნა, ამ სეზონში გუნდი თამაშს ვერ იგებდა. „ყველაზე წესიერი და არაძველბიჭური გუნდი“ - სეზონის ბოლოს ასეთ ნომინაციაში თუ ჩატარდება გამოკითხვა, ძალიან საინტერესო შედეგს მივიღებთ. რასაც ღიად ვერ ამბობენ, გამოკითხვაში დაფიქსირდება...
ასეა, ათასი სისულელე მოგივა კაცს თავში. თუ ფულის დათვლა იცი, საქართველოში საფეხბურთო



რაღაც ფორმით მაინც აფასებენ და რაღაც სტანდარტებში აქცევენ, ყოველთვის გამოვა რაღაც, მათ შორის, ფეხბურთშიც...
ჩვენთან სხვა კალაპოტები გამოჩნდა. ითქვა, საბიუჯეტო კლუბები აღარ უნდა გვყავდესო, მაგრამ მაინც გვყავს, სახელმწიფო შპს რომ დააფინანსებს გუნდს, ისიც, ფაქტობრივად, საბიუჯეტოა. მე მაინც მგონია, რომ კარგია, ბოლნისის „სიონს“ დავით კირკიტაძე რომ ჰყავს, ვინაიდან სხვა კალაპოტი არ არსებობს, რაც არის, იმაში უნდა ჩაჯდე. ცხოვრება ხანდახან ძალიან მარტივია.
„სიონმა“ ძალა მოიკრიბა, ჩემპიონატშიც კარგად ათამაშდა და თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში თბილისში „ლოკომოტივი“ ბეჭზე გააკრა. „ლოკომოტივს“ არ ჰყავდა ტრავმირებული ლევან ცქიტიშვილი და გრიპშეყრილი ვიტალი დარასელია, ნასიცხარი რატი ალექსიძე მხოლოდ მატჩის მიწურულს შევიდა მოედანზე და როგორღა უნდა ეხეირა „ლოკომოტივს“? როგორც ყველა ქართული კლუბი, „ლოკომოტივიც“ არარენტაბელურია. მისი მფლობელი ლექსო თოფურია ქართული ფეხბურთისთვის დიდ საქმეს კლუბის შექმნაც სისულელეა, არადა, საჭიროა. ისიც ძალიან საჭიროა, რომ ის თქვა, რასაც ფიქრობ. აგერ, ალექსანდრე იაშვილმა პირდაპირ გვითხრა - 19 ნოემბერს რუმინეთთან ამხანაგური მატჩისთვის რომ არ გამომიძახეს, კარგია ჩემთვის, ბუნდესლიგის მორიგი ტურისთვის უკეთ მოვემზადებიო. იაშვილი არასდროს ყოფილა ცხვირაწეული ან კონფლიქტური, მისგან ყოველთვის დადებით მუხტს იღებდა ნაკრები და რუმინეთთან არგამოძახებაც წინასწარ აცნობეს - ადამიანებთან ურთიერთობა არის ხელოვნება, რომელსაც მწვრთნელი აუცილებლად უნდა ფლობდეს. ვინძლო, იაშვილს ეს ექტორ კუპერის მითითებით შეატყობინეს, რადგან უწინ, როცა მას ნაკრებში არ იწვევდნენ, ასე არ ეპყრობოდნენ. შოთა არველაძე კი ჯერ ოდენ მთავარი მწვრთნელის ასისტენტია, მისი „ალკმაარი“ კი ჰოლანდიის ჩემპიონატს ლიდერობს. თემურ ქეცბაიას წარმატებებმა სხვა ქართველი მწვრთნელები თითქოს ჩრდილში მოაქცია, მაგრამ შოთა მაინც ყურადღების ქვეშაა - ის ხომ ლუის ვან გაალის ერთ-ერთი დასაყრდენია და მათი საქმეც კარგად მიდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ფეხბური | ფესტივალის ფინალები

# კუპერი ისევ ბავშვებშია

## ფესტივალი დინამომ და ლოკომოტივმა მოიგეს



ფესტივალი ექტორ კუპერმაც დააფასა — ავტორის ფოტო

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოში ბავშვთა პირველი საფეხბურთო ფესტივალის დასკვნითი ეტაპი გაიმართა. ტურნირი სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა - 1998, 1999 და 2000 წელს დაბადებულთა შორის. ფესტივალში სულ 56 გუნდი მონაწილეობდა და ყველა ბავშვს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები.

98-წლიანებში საუკეთესო გახდა „ნორჩი დინამოელი". ამ ასაკში გამარჯვებული წრიული სისტემით გამოვლინდა. 99-წლიანთა ფინალში „დინამომ" „სენაკს" 3:2 მოუგო, ხოლო 2000-წლიანებში „ლოკომოტივმა" გადამწყვეტ შეხვედრაში 35-ე სკოლის გუნდი დაამარცხა - 2:1.

ტურნირი თბილისის სხვადასხვა სტადიონზე გაიმართა, რეგიონებიდან 12 გუნდი ჩამოვიდა. „მიხეილ მესხზე" პატარა მინდორი (სიგრძე - 40 მ, სიგანე - 20 მ) გამოეყოთ ბავშვებს და ჯიგრიანადაც გააგორეს ბურთი. ტრიბუნებზე დაახლოებით 1 500-მა მაყურებელმა მოიყარა თავი. ამხელა აუდიტორია ეროვნული ჩემპიონატის თბილისურ ცენტრალურ მატჩსაც არ ჰყავს ხოლმე...

დაჯილდოებაში მონაწილეობა ჩვენი ეროვნული გუნდის არგენტინელმა თავკაცმაც მიიღო. **ექტორ კუპერმა** ბავშვთა გუნდებთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღო. მისი იქ გამოჩენა პატარებს ძალიან გაუხარდათ. კუპერს უყვარს ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა. მანამდე, გორში კარვების ქალაქშიც მოინახულა ბავშვები - კუპერი ამ საქმეში გამრჯე და სამაგალითოა...

საღამო ფეიერვერკით დასრულდა. საქართველოში ფეხბურთი, ასე თუ ისე, მაინც ძიგძიგებს. ფესტივალი ფესტივალს ჰგავდა. ტურნირმა უდავოდ გაამართლა.

**დავით თავართქილაძე**

დეზინფორმაცია

# ცხადაძე გაოცებულია...

## ქართველი მწვრთნელი მიზანმიმართული სიცრუის მსხვერპლად იქცა?

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოები უცნაურად მუშაობენ. ჯერ დაწერეს, თითქოს თბილისის „დინამომ" ზაქათალაში „სიმურგთან" 1:2 წააგო, მაშინ, როცა თამაში არ გამართულა; მერე კიდევ - „სიონმა" 1:1 ითამაშა „სიმურგთანო", არადა, ნამდვილად ვიცით, რომ ბოლნისელებმა 2:1 მოიგეს; „ქარვანში" სამი ქართველი ტრანსფერზე დააყენესო, არადა, მათ კონტრაქტები დაუმთავრდათ და კლუბი საკუთარი ნებით დატოვეს...

გუშინ კი გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს **კახა ცხადაძე** აზერბაიჯანის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ 4 მატჩით დასაჯა. ჩვენებურ სპეციალისტს აზერბაიჯანში დავუკავშირდით. ის გაოცებული იყო, ვერ ხვდებოდა, რატომ გაავრცელეს აზერბაიჯანელებმა ხსენებული ინფორმაცია.

*„მე კი არ დამსაჯეს, არამედ, ჩემი თანაშემწე და იცით, ვერ ვხვდები, რატომ აკეთებენ ამას? ეს ყოველივე მიზანმიმართული კამპანიის სახეს იღებს. არადა, დაჯერებაც მიჭირს, რომ ჩემს წინააღმდეგ ვინმე შეგნებულად ავრცელებს დეზინფორმაციას"* - გვითხრა ცხადაძემ.

აზერბაიჯანში უცხოელი სპეციალისტების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება არახალია. ისე, მეზობლების რა გვიკვირს, როცა ანალოგიური რამ ჩვენთანაც შეინიშნება - ზოგჯერ საფუძვლიანად, ზოგჯერაც უსაფუძვლოდ. თუმცა ის, რაც ცხადაძის გარშემო ხდება, ალოგიკურია - კაცი არ დაუსჯიათ და ბოლო ორი დღის განმავლობაში ამის შესახებ ინფორმაციას ყველა წამყვანი აზერბაიჯანული სააგენტო ავრცელებს. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ეს ყველაფერი მართლაც მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს. დედაქალაქურ კლუბში მუშაობას, როგორც ჩანს, ბევრი იქაური მწვრთნელი უმიზნებს, მათ კი მასმედიაში, ეტყობა, ბევრი მეგობარი ჰყავთ...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# ჯაკობია თასზე ყოჩაღობს



ლაშა ჯაკობიამ (№14) საგოლე პასით გამოიჩინა თავი

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნ როვერსი" ინგლისის თასის მე-4 რაუნდის მატჩში „სანდერლენდს" ენვია. ...რთველი მცველი, „ჩელსისთან" არა...ამაჯერებელი თამაშის მიუხედავად, ...ტუმართა სასტარტო შემადგენლობა... იყო. ზურამ შეუცვლელად ითამაშა ...ა **პოლ ინსის** გუნდიც აგრძელებს ...ბრძოლას, რადგან 2:1 იმარჯვა.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ლინცის ...ასკ-ს ქართველთა „შტურმი" ენვია. ...კრებში დაბრუნებული **ილია კანდელაკი** და ეროვნული გუნდის სარეზერვო სიას გუშინ დამატებული **გიორგი შაშიაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ. სტუმრებმა იოლად, 3:0 მოიგეს და 35 ქულით მეორე ადგილზე გადავიდნენ. ჩვენებურებმა შეუცვლელად ითამაშეს (შაშიაშვილი მეორე ტაიმში გააფრთხილეს).

**მალხაზ ასათიანის** „დინამო" ისე გავიდა უკრაინის თასის ნახევარფინალში, არც ქართველი მცველის და არც ძირითადი გუნდის სხვა ფეხბურთელების დახმარება არ დასჭირვებია. ალჩევსკში მწვრთნელმა მთლიანად დუბლშემადგენლობა წაიყვანა (და არა „დინამო-2", სადაც ქართული ტრიო ირიცხება). კიეველებმა ახალგაზრდებმაც იოლად გაანადგურეს „სტალი" - 4:1. სიმფეროპოლში „ტავრია" 1:2 დამარცხდა ხარკოვის „მეტალისტთან". მასპინძელთა შემადგენლობაში მოედანზე **ვასილ გიგიაძე** და **ლადო ბურდული** არ ყოფილან (სათადარიგოები), სტუმართა გუნდში კი მე-78 წუთზე **ლაშა ჯაკობია** გამოჩნდა, მან პირველი გოლის ავტორი **ზეზე** შეცვალა. ლაშა გამოვიდა და „მეტალისტის" გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო. შემოსვლიდან ერთ წუთში მისი პასით მეკარესთან ერთი-ერთზე გავიდა **ტრიშოვიჩი** და ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

უკვე ჩემპიონის რანგში ენვია ბატე მოგილიოვს, სადაც 25-ე ტურიდან გადმოტანილ მატჩში „სავიტს" 1:0 მოუგო. ორივე გუნდში ირიცხება ქართველი ლეგიონერი, მაგრამ ჩვენებურს არც ერთში უთამაშია. **დიმიტრი გერგიშვილი** არ ყოფილა უკვე გავარდნილ „სავიტის" რიგებში და არც **ლაშა დეკანოსიძე** გამოჩენილა ჩემპიონთა შორის, არადა ბატე მატჩს მეორე შემადგენლობით ატარებდა.

ლიტვის A ლიგაში „კაუნასმა" წინა ტურში დაკარგა ჩემპიონის ტიტული, ქართველთა გუნდი სეზონს უგერგილოდ ასრულებს. გუშინ, „კაუნასი" შინ 2:3 დამარცხდა „ვეტრასთან". **აკაკი ხუბუტიამ** 90 წუთი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მეტოქე: ირლანდია




ჯოვანი ტრაპატონი:

# პოლონეთი საქართველოსთვის უნდა გამოვიყენოთ

19 ნოემბერს ამხანაგურ მატჩებს ჩვენი მეტოქეებიც გამართავენ. ჩერნოგორია მაკედონიას ეთამაშება, ირლანდია კი პოლონეთს გაეჯიბრება. ირლანდიელთა თავკაცმა **ჯოვანი ტრაპატონიმ** სლავებთან სპარინგისთვის შემადგენლობა უკვე დაასახელა. შეგახსენებთ, რომ მომდევნო შესარჩევი მატჩი, 11 თებერვალს, სწორედ ირლანდიასთან (სტუმრად) გვინევს. რაც შეეხება ამ გუნდის საპოლონეთო შემადგენლობას, ის ასე გამოიყურება:

მეკარეები - **შეი გივენი** (ნიუკასლი, ინგლისი), **დენ კილი** (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), **ჯო მერფი** (სკანთორპი);

მცველები - **პოლ მაკშეინი** (ჰალ სიტი, ინგლისი), **ჯონ ოში** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **რიჩარდ დანი** (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), **კევინ კილბეინი** (ვიგანი, ინგლისი), **ალექს ბრუსი** (იფსვიჩი, ინგლისი), **დემიენ დელენეი** (ქუინზ პარკი, ინგლისი), **კევინ ფოლი** (ვულვზი, ინგლისი);

ნახევარმცველები - **ეიდენ მაკგიდი** (სელტიკი, შოტლანდია), **კიტ ენდრიუ** (ბლექბერნი, ინგლისი), **დარონ გიბსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), **გლენ ველანი** (სტოკი, ინგლისი), **დემიენ დაფი** (ნიუკასლი, ინგლისი), **სტივენ ჰანტი** (რედინგი, ინგლისი), **ლაიამ მილერი** (სანდერლენდი, ინგლისი), **ენდი კიოტი** (ვულვზი, ინგლისი);

თავდამსხმელები - **რობი კინი** (ლივერპული, ინგლისი), **კევინ დოილი** (რედინგი, ინგლისი), **ენტონი სტოუქსი** (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი), **სელებ ფოლანი** (ჰალ სიტი, ინგლისი), **შეინ ლონგი** (რედინგი, ინგლისი).

**დავით ცაბაძე**

ფიფას რეიტინგი

# საქართველო ჩინეთსა და ბარბადოსს შორის

გუშინ ფიფამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, საქართველო კვლავ უკან-უკან მიდის. ამჯერად, ორი საფეხურით დავქვეითდით. ფიფამ ოქტომბერში გამართული მატჩები შეაჯამა. გასულ თვეში, **ექტორ კუპერის** გუნდმა 2 საშინაო ფრით 2 ქულა მოიპოვა, რაც წინსვლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამჟამად, 99-ე ადგილზე ვართ. ჩვენ წინ ჩინეთია, უკან - ბარბადოსი.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს, დიდი პროგრესი არც აქ შეინიშნება, პირიქით - იტალია და ბულგარეთი თითო ადგილით დაქვეითდნენ, კვიპროსმა კი სულაც 27(!) საფეხურით დაიხია უკან და ახლა 117-ეა. სამაგიეროდ, წინსვლა აქვთ ირლანდიასა და ჩერნოგორიას - ისინი ორ-ორი ადგილით დაწინაურდნენ. მცირე რეგრესი განიცადა რუმინეთის ნაკრებმა, რომელთანაც 19 ნოემბერს ამხანაგური მატჩი გვაქვს.

მოკლედ, ახალი რეიტინგის პირველი ათეული და პლუს ამას, საქართველოსა და მისი მეტოქეების სადღეისო მდგომარეობა ასეთია:

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

| | |
|---|---|
| 1. (0) ესპანეთი | 1657 |
| 2. (+1) გერმანია | 1413 |
| 3. (-1) იტალია | 1356 |
| 4. (+1) ჰოლანდია | 1306 |
| 5. (-1) ბრაზილია | 1286 |
| 6. (+1) არგენტინა | 1181 |
| 7. (-1) ხორვატია | 1158 |
| 8. (+1) რუსეთი | 1079 |
| 9. (-1) ჩეხეთი | 1062 |
| 10. (0) პორტუგალია | 1058 |
| 10. (+4) ინგლისი | 1058 |
| 16. (-1) ბულგარეთი | 951 |
| 19. (-1) რუმინეთი | 892 |
| 36. (+2) ირლანდია | 751 |
| 99. (-2) საქართველო | 363 |
| 107. (-27) კვიპროსი | 337 |
| 115. (+2) ჩერნოგორია | 285 |

**დავით ცაბაძე**

# აზერბაიჯანსა და ალბანეთს ქართველი განსჯის

19 ნოემბერს აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს - **ბერტი ფოგტსის** გუნდი ბაქოში ალბანეთს უმასპინძლებს. ამ შეხვედრას ფიფას ქართველი არბიტრი **ლაშა სილაგავა** განსჯის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოელები საქართველოში

# ნეტავ, ჩვენთან რა დარჩენიათ?..


იოჰან ბოსკამპი


ივო შუშაკი


ლუის ცაკარიასი

„ზესტაფონიდან" **პოლ კესანის** მოულოდნელმა გაუჩინარებამ საქართველოში ლეგიონერთა თემა კვლავაც აქტუალური გახადა. საბედნიეროდ, ჩვენთან ჯერ არ არის ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე გუნდის ძირითადში ქართველებს... უცხოელები სჭარბობენ. ასეთი რამ, ალბათ, კიდევ დიდხანს არ იქნება - იმავე, ლონდონის „არსენალთან" (სადაც ინგლისელი ფეხბურთელი სანთლით მოსაძებნია) მიახლოებული პირობებით ჩვენი ვერც ერთი გუნდი ახლოსაც ვერ მივა. საერთოდაც, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე უცხოელების თემა ყოველთვის იყო, არის და იქნება საკამათო. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ბევრს გაჰკვირვებია ამა თუ იმ ფეხბურთელის ქართულ გუნდში ჩარიცხვა; ისეთებიც გვახსოვს, ფაქტობრივად, აქ რომ უსწავლიათ ბურთზე ფეხის დარტყმა; ზოგი კარიერის ბოლო წლებში ფინანსური კეთილდღეობის მიზნით გვსტუმრებია; ისეთებიც ყოფილან, აქ რომ თავი ვერაფრით გამოუჩენიათ და მერე, უცხოეთში დაბრუნებულთ, შესანიშნავი კარიერა აუწყვიათ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში არცთუ სასიამოვნო ტენდენცია შეინიშნება: თუ რომელიმე გუნდში ერთ ან ორ ნორმალურ ლეგიონერს მოიყვანენ, „ვილაც" მენეჯერები თუ საფეხბურთო აგენტები... მესამეს უკვე „ხურდაში მოაყოლებენ". აი, ცოცხალი მაგალითიც: ორი წლის წინათ ბოლნისის „სიონში" სამი კამერუნელი ფეხბურთელი ჩაირიცხა; **ბოიომო ფრიდოლინისა** და **ერიკ-რომეო ჩასემის** ოსტატობაში ეჭვი არავის შეჰპარვია, აი, **გასტონ ევოჩე** კი სულ რაღაც ერთ-ორ თვეში „გაიშიფრა"! ასეთი შემთხვევა კი, მართლაც, ბევრი ყოფილა; განსაკუთრებით - ბოლო წლებში...

ალარაფერს ვამბობთ „სატრანსფერო ფანჯრის" დროს რაც ხდება - ქართული გუნდების უცხოურ შეკრებებზე (ხშირად - ჩვენთანაც) გაურკვეველი წარმოშობისა და ასევე გაურკვეველი კვალიფიკაციის (გნებავთ - სპეციალობის) ფეხბურთელთა „ცვენაა" ხოლმე. ჰოდა, ერთი ან ორკვირიანი (ხანდახან, უფრო მეტი ხნის) „დაკვირვების" მერე აღმოჩნდება, რომ, თურმე, ეს უცხოელები... ვერაფრით ჯობიან ქართველ ფეხბურთელებს! არადა, იმ, ვითომ „ლეგიონერების" ჩამოყვანას, ჩაცმა-დახურვასა და შენახვას, გარკვეული თანხა ხომ სჭირდება? თანაც, უმთავრესი არ გვითქვამს, იმ მომენტში რომ ერთადერთი კითხვა ებადება ყველას: რით ან როგორ ხიბლავენ უცხოელებს, ვისაც „ერთი სული" აქვთ, როდის ექნებათ დებიუტი საქართველოს ჩემპიონატში...

...ბოლო წლებთან შედარებით, მეოცე ჩემპიონატში უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობა აშკარად შემცირდა. ვინლა დარჩა: **მილოშ კრშკო** (სლოვაკეთი), **დიდიე ოვონო**, **ერნესტ აკუასაგა** (ორივე - გაბონი), **ილია სპასოევიჩი** (ჩერნოგორია), **ერიკ-რომეო ჩასემი**, **ბოიომო ფრიდოლინი** (ორივე - კამერუნი) და **ედსონ სანტოსი** (ბრაზილია). სამწუხაროდ, ოჯახური მიზეზების გამო (ოფიციალური ვერსიაა) ამ რამდენიმე დღის წინ საქართველო დატოვა **ჟილვან ვიეირამ**; არადა, „ზესტაფონის" ბრაზილიელ მარცხენაფლანგელს თავისუფლად შეეძლო, ერთ-ერთი არაოფიციალური წოდებისთვის ებრძოლა. ისე, მართლაც, საინტერესოა, თუ ვინ არის საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი.

...შემცირების ტენდენცია ვახსენეთ და უმთავრესი გამოგვრჩა: საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატში, ჯერჯერობით, დებიუტანტი-ლეგიონერი არა გვყავს. ანუ, ყველა ის უცხოელი, ვინც აქ თამაშობს, მეორე თუ მესამე სეზონს ატარებს საქართველოში და აუცილებელი სიტყვების („ხელფასი", „პრემია" და... გინების ნაირსახეობა) სწავლის გარდა მენტალურადაც შეეგუა ჩვენებურ გარემოს. არადა, წინა სეზონი, მართლაც, ნამეტანი გახლდათ (იმედია, რასიზმის გამოვლინებაში არავინ ჩაგვითვლის): ბოლოს და ბოლოს, 20 უცხოელი ფეხბურთელი თამაშობდა XIX ჩემპიონატში. თქვენი ნებართვით სიამოვნებით ჩამოვთვლით ყველა მათგანს: **ნედ ზელიჩი** (ავსტრალია), **რამონ დობეში** (ჩეხეთი), **ჯორჯ აკირემი**, **ეტიენ ბიტოო**, **პოლ კესანი** (სამივე - გაბონი), **ჟონატასი** (ბრაზილია), **დიქსენ ჩუკვუ** (ნიგერია), **ბოდრი ჯილდასი** (კონგო), **ვლადან ჟივკოვიჩი** (სერბეთი), **ალექსანდრ ომელიანოვი**, **ანტონ კოვალევსკი** (ორივე - უკრაინა), **ჰაიკ აკოფიანი** (სომხეთი) და პლუს ზემოთ ნახსენები კრშკო, ბოიომო, ჩასემი, ოვონო, აკუასაგა, სპასოევიჩი, სანტოსი, ვიეირა. ამ ოცი ფეხბურთელიდან, ალბათ, ენა არავის მოუბრუნდება, რომ იმავე კრშკოს, ოვონოს, კესანის, ზელიჩის, ჩასემისა თუ ვიეირას ოსტატობაში ეჭვი შეიტანონ. სამაგიეროდ, დანარჩენებიდან უმრავლესობა საქართველოში რატომ და რა მიზნით ჩამოიყვანეს, დღესაც გაუგებარია. თუმცა, ზემოთაც ვახსენეთ, რომ ბოლო წლებში უარესებიც გვინახავს. გახსოვთ, თბილისის „ „ლოკომოტივში" სულ „ნარჩევი" სამხრეთამერიკელები რომ თამაშობდნენ? ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ: **სალასარი**, **გონსალესი**, **გალიარდო**... ამავე გუნდში იყო განელი **ნანა ეშუანიც**, ვისაც ამ გუნდის ასევე უცხოელი მწვრთნელი **ლუის ცაკარიასი** აღმერთებდა! ჰო, **დე სოუზა** და **სესარ რომერო** არ დავივიწყოთ - მაგნაირი ბრაზილიელების აქ ჩამოყვანა, ალბათ, მთლიანად ქართული ფეხბურთის შეურაცხყოფა გახლდათ. სამაგიეროდ, საპირისპირო განწყობილება გვქონდა სხვა ორ ბრაზილიელთან მიმართებაში: დინამოელი **კარლოსი** მოედანზეც და მოედანს გარეთაც მხოლოდ დადებით კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ, ისე როგორც მისი კიდევ ერთი თანამემამულე **ტიაგო** - „ბორჯომშიცა" და „ბათუმშიც" ეს გონიერი შემტევი, მართლაც, ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა. „ბორჯომი" შემთხვევით არ გვიხსენებია - ორი წლის წინ ამ გუნდში რომ შვიდი (!) არგენტინელი ჩამოიყვანეს, აი, ის იყო შაყირი...

...სხვა დროს, ალბათ, უპრიანიც იქნებოდა, რომ 1990 წლიდან მოყოლებული, დღემდე ყველა ლეგიონერი გაგვეხსენებინა. სხვათა შორის, სოლიდური რაოდენობაა და გეოგრაფიაც შთამბეჭდავია. ისე, სარეკორდო რაოდენობა მაინც პირველ ჩემპიონატში გვყავდა, როცა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან საქართველოს უამრავი ფეხბურთელი მოაწყდა. ყველაზე „ხარისხიანი" ლიტვური „დესანტი" გახლდათ: **რობერტას ფრიდრიკასი**, **ვირგილიუს ბალტუშნიკასი**, **რიმას მაჟეიკისი**, **ალგიმანტას ბრიაუნისი** და **არვიდას კონციავიჩუსი** მანამდეც და მერეც ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელებად მიიჩნეოდნენ; ოსტატობას ვერც თბილისის „დინამოს" ყაზარდოელ მეკარეს **ზაურ ხაპოვს** დავუწუნებდით. უფრო მეტიც - მსგავსი დონის მეკარე ჩვენს ჩემპიონატში, ალბათ, აღარც ყოფილა. სხვათა შორის, პირველ ჩემპიონატში ბევრი „პენსიონერი" ფეხბურთელიც გვეწვია, კარიერის მიწურულს საკუთარი ფინანსური მდგომარეობა გვარიანად რომ გაიუმჯობესა: **სერგეი გომონოვი**, **ვიქტორ პიმუშინი**, **იური სობოლი**; ახლო საზღვარგარეთიდან მერეც ჩამოსულან ჩვენთან სათამაშოდ (**მუხინი**, **პოდლესნი**, **გურბიენკო**, **ლაშჩუკი**, **ბეჟენარი**, **ნუდნი**); თუმცა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება უკრაინელმა **ანდრეი პოროშინმა** დატოვა. ჰო, კიდევ ერთი „ნაღდი" უცხოელიც არ დაგვავიწყდეს, ვისაც თავისუფლად შეეძლო ზაურ ხაპოვისთვის „კონკურენციის" გაწევა. **დენი დონდტზე** მოგახსენებთ - ვეტერანი ბელგიელი მეკარე ჩვენთან ცოტა ხანი იყო, მაგრამ საკუთარი მაღალი კლასის დამტკიცება მაინც მოასწრო.

დაბოლოს, მწვრთნელებზეც: ამ შემთხვევაში საქმე, ჩვენი აზრით, ბევრად უკეთ გვაქვს; ყოველ შემთხვევაში, აქ მომუშავე უცხოელ მწვრთნელთა უმრავლესობამ ქართულ ფეხბურთში საკუთარი კვალი დატოვა. რა თქმა უნდა, იყო ისეთი შემთხვევები, როცა ბოლომდე ვერავინ გაიგო, თუ რატომ და რისთვის ჩამოიყვანეს საქართველოში **ანდრეი ჩერნიშოვი** და **ანატოლი ზემლიანოი** თუ **ჟოაო კამპუში**, **ლუის ცაკარიასი** თუ **ანატოლი პისკოვეცი**; ვერც **ჯანი კარნევალეზე** (ყველაზე სტაჟიან უცხოელზე) ვიტყვით, რომ ქართულ ფეხბურთში „რევოლუცია მოახდინაო". სამაგიეროდ, ჰოლანდიელ **იოჰან ბოსკამპს**, ხორვატ **ივო შუშაკსა** და ჩეხ **დუშან უჰრინს** არც ჩვენგან და არც სხვისგან დასაწუნი არაფერი ჰქონდათ. თანაც, საქმე მხოლოდ შედეგებში არ არის... სხვათა შორის, არც **ალექსანდრ შტელინი** ჩანდა დაბალი დონის სპეციალისტი, თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო, უკრაინელმა მწვრთნელმა აქაურობა არცთუ „ტკბილად" დატოვა. რაც შეეხება **რაინერ ცობელს**, „დინამოს" გერმანელი თავკაცი მეოცე ჩემპიონატის ერთადერთი უცხოელი მწვრთნელია და სეზონის ბოლომდე მისი შეფასებისგან თავს შევიკავებთ.

და მაინც: რატომ მოდიან უცხოელი ფეხბურთელები თუ მწვრთნელები საქართველოში?..

**გია ტუხაშვილი**


ნედ ზელიჩი


მილოშ კრშკო


პოლ კესანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# ამერიკელებს დრო ეწურებათ

## თუ დღეს არ გაყიდიან, ხვალ იძულების წესით კლუბის იაფად გაყიდვა მოუწევთ



ლივერპულის ამერიკელი ინვესტორები ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი, რომელთაც თავის დროზე კლუბი 350-მილიონიანი სესხით იყიდეს

**ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჯილეტს**, შესაძლოა, "ლივერპულის" გაყიდვა მოუხდეთ. დუბაის შეიხი **მოჰამედი** მათ ნახევარ მილიარდ გირვანქას სთავაზობს. შეიხმა ამერიკელ ბიზნესმენებს მოსაფიქრებლად გარკვეული დრო მისცა. ცდუნება დიდია. კლუბთან გამოთხოვების შემთხვევაში, ჰიკსი და ჯილეტი ვალებს გადაიხდიან და თითოეული 75 მილიონ გირვანქას მოიხვეჭს.

მათ "როიალ ბენქ ოფ სკოტლენდისა" 350 მილიონი გირვანქა მართებთ. ამერიკელები ბანკს სთხოვენ, ვალის პროცენტის გადახდა ექვსი თვით გადაუვადონ. თუ ბანკმა დრო არ მისცა, ხოლო ჰიკსმა და ჯილეტმა ფული ვერ იშოვეს, "ლივერპულს" ბანკი გაყიდის. ამ შემთხვევაში კლუბის ფასი არა 500 მილიონი, არამედ 350 მილიონი იქნება – ზუსტად ის თანხა, რაც შოტლანდიურ ბანკს გასესხებული აქვს.

დრო ამერიკელთა წინააღმდეგ მუშაობს. პროცენტის გადახდის ბოლო ვადა 25 იანვარია. მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს. თავისუფალი სახსრების მოძიება თითქმის შეუძლებელია. ჰიკსისა და ჯილეტის ჯიბე "ლივერპულის" მოთხოვნებს ვერ სწვდება. ჯორჯ ჯილეტი აცნობიერებს, რომ ამ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალია კლუბის გაყიდვა, მაგრამ მისი ბიზნესპარტნიორი, ტომ ჰიკსი საკუთარი 50-პროცენტიანი წილის დათმობას არ ჩქარობს.

შეიხ მოჰამედს განზრახული აქვს, კონკურენცია გაუწიოს აბუ დაბის შეიხს, რომელმაც გასულ ზაფხულს "მანჩესტერ სიტი" შეიძინა. "ლივერპულის" გულშემატკივრებს სურთ, თავიანთი კლუბის სათავეში არაბი ინვესტორები იხილონ. მიზეზი? არაბთა უძირო ჯიბეა. თუ მერსისაიდელებს დუბაის შეიხი შეიძენს, "ლივერპული" მოსისხლე "მანჩესტერ იუნაიტედზე" მდიდარი კლუბი გახდება და მის ჰეგემონიას დაამხობს.

პოლიტიკა და ფეხბურთი

# ესპანეთის ყოფილი პრემიერი რეალის პრეზიდენტის სავარძელს უმიზნებს

გუშინ ესპანურ საინფორმაციო პორტალებზე ძალიან საინტერესო ცნობა გაჩნდა. გაირკვა, რომ ამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ხოსე მარია ასნარი** სამეფო კლუბის პრეზიდენტის თანამდებობაზე აპირებს კენჭისყრას. დაგვეთანხმებით, ეს ფრიად უცნაური გადაწყვეტილებაა, რადგან ისტორიას არ ახსოვს, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ვადის ამოწურვის შემდეგ რომელიმე საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი გამხდარიყო. შესაძლოა, ვინმეს **სილვიო ბერლუსკონი** გაახსენდეს, მაგრამ ეს პარალელი მინიმუმ ორი მიზეზის გამო არ გამოდგება. ჯერ ერთი, რომ ახლა ექსკლუზიურად ესპანურ გამოცდილებაზე ვსაუბრობთ, და მეორე, ბერლუსკონი გროტესკული ტაკიმასხარაა და მის ავანტიურისტულ გამოხდომებს ვერაფერს გაუგებთ. ჩვენ სერიოზულ ხალხზე ვსაუბრობთ. ასნარის პოლიტიკურ შეხედულებებზე უსასრულოდ შეიძლება ვიკამათოთ. ის მემარჯვენეა და მემარცხენეებმა შესაძლოა, უამრავი პრეტენზია წაუყენონ, მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია, ბერლუსკონისგან განსხვავებით სენიორ ასნარი სერიოზული პოლიტიკოსია. ამის გათვალისწინებით, ორმაგად გასაკვირია, რომ მან "რეალის" პრეზიდენტობა მოინდომა. ჩვეულებისამებრ მთავრობიდან წასული პრემიერ-მინისტრები ან საერთაშორისო ორგანიზაციებში იწყებენ მუშაობას, ან მემუარებს წერენ, ან საქველოქმედო თუ ჰუმანიტარულ ფონდებს ხელმძღვანელობენ. ასნარმა რატომღაც ეს ყველაფერი გვერდზე გადადო და დაუფარავად განაცხადა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე რამონ კალდერონს კონკურენტად მოევლინება.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას ესპანური საფეხბურთო საზოგადოება არაერთმნიშვნელოვნად შეხვდა. ცნობილი მოღვაწეების ერთი ნაწილი ასნარის ჩანაფიქრს მიესალმება, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ის წარუმატებელი პრეზიდენტი იქნება, რადგან საფეხბურთო საიდუმლოებებს არ ფლობს. სენიორ ხოსე მარია **ფელიპე გონსალესისგან** განსხვავებით ესპანელების საყვარელი პრემიერი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, კაცს, რომელიც დიდ ევროპულ ქვეყანას საკმაოდ წარმატებულად მართავდა, საფეხბურთო იმპერიის ხელმძღვანელობა გაუჭირდეს. ვნახოთ, ყველაფერი "რეალის" სოსიოების გადასაწყვეტია.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვარსკვლავი

# ჰარგრივსმა სეზონი დაასრულა

## ინგლისელ ნახევარმცველს შეიძლება კარიერის დასრულება მოუხდესო



ოუენ ჰარგრივსმა სეზონი დაასრულა

**ოუენ ჰარგრივსი** სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. გასულ უქმეებზე "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს მარჯვენა მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. დაგეგმილია ოპერაცია მარცხენა მუხლზეც. ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას მინიმუმ რვა თვე დასჭირდება. მიმომხილველთა ერთი ნაწილი პესიმისტურ პროგნოზს აკეთებს. ისინი ეჭვობენ, რომ უმძიმესი ტრავმების შემდეგ ჰარგრივსს მაღალ დონეზე თამაში გაუჭირდება, ამიტომ შესაძლოა, კარიერაც კი დაასრულოსო.

ოუენს მუხლის მყესების ტრავმა იმ დროიდან აწუხებს, რაც "იუნაიტედში" გადავიდა. ტრანსფერი 2007 წლის ზაფხულში განხორციელდა. "ეშმაკებმა" ინგლისელი ვარსკვლავის სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. გავლილ ერთ წელიწადში ოუენმა მანჩესტერელთა შემადგენლობაში მხოლოდ 25-ჯერ ითამაშა (2 გოლი). მიმდინარე სეზონში ჰარგრივსმა მხოლოდ სამჯერ მოახერხა მინდორზე გასვლა.

ერთ-ერთ უკანასკნელ პრესკონფერენციაზე იმედგაცრუებულმა **სერ ალექს ფერგიუსონმა** ისიც კი თქვა, ოუენმა ინგლისელი და შვედი ექიმები მოინახულა, მაგრამ ტრავმისაგან განკურნების გარანტია ვერავინ მისცაო. მწვრთნელის ამ კომენტარმა კიდევ უფრო გააძლიერა სპეკულაციების იმის შესახებ, რომ "ბაიერნის" ყოფილ ვარსკვლავს, შეიძლება, მართლაც მოუხდეს თამაშისათვის თავის დანებება.

ჰარგრივსმა ოპერაცია კოლორადოს შტატში, განთქმულ ქირურგ **რიჩარდ სტედმანთან** გაიკეთა. მისტერ სტედმანმა ფეხბურთელის მომავალთან დაკავშირებით სპეკულაციებში ჩაბმა არ ისურვა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. სხვათა შორის, კოლორადოში გაემგზავრა მადრიდის "რეალის" თავდამსხმელი **რუუდ ვან ნისტელროიც**. მასაც მუხლი აწუხებს და მასაც რიჩარდ სტედმანის მონახულება უნდა.

ინტერი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# იტალიელები უკან არ დაიხევენ

## ატლეტიკოს არგენტინელის სანაცვლოდ კოლოსალურ თანხას სთავაზობენ

"ინტერი" სერიოზული ბრძოლის დაწყებისთვის ემზადება. შესაძლოა, ბრძოლა დაუნდობელი, "სისხლისმღვრელი" და უკომპრომისო იყოს. საქმე **სერხიო აგუეროს** ეხება. **მასიმო მორატის** გუნდის მმართველები აცხადებენ, რომ არგენტინელი ფორვარდი მათი უპირველესი სამიზნეა და ტრანსფერის გაჩარხვას იანვარშივე შეეცდებიან. მილანელები ასე იმიტომ ჩქარობენ, რომ ზურგს უკან "მანჩესტერ სიტის" სუნთქვას გრძნობენ. ბრიტანულმა კლუბმა "ატლეტიკოს" უკვე შესთავაზა საინტერესო წინადადება, მაგრამ მადრიდელებისგან უკმეხი პასუხი მიიღო, შეგვეშვით, აგუეროს არ ვყიდითო...

აგუერო არ იყიდება, ბოლო დროს "როხიბლანკოს" პრეზიდენტს, **ენრიკე სერესოს** ყველაზე ხშირად სწორედ ამ ფრაზის გამეორება უწევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სერხიოს მთხოვნელები არ ელევა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სენიორ სერესოს "ინტერის" მესვეურთა თავიდან მოცილება ძალიან გაუჭირდება. "კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით "ნერაძურის" მმართველები მზად არიან, აგუეროს სანაცვლოს 42.5 მილიონი ევრო გადაიხადონ. ეს ძალიან დიდი თანხაა, ცდუნებასთან გამკლავება რთული იქნება. არადა, "როხიბლანკოს" ხელმძღვანელებს გულშემატკივრებისგან მკაფიო მესიჯი აქვთ მიღებული, აგუერო არავითარ შემთხვევაში არ გაყიდოთო. თუმცა ინჩასების პატივისცემა ერთია, კომერცია კი მეორე. 42.5 მილიონი ევრო მართლაც კოლოსალური თანხაა. ამ ფულით "ატლეტიკოს" ძალიან ბევრი პრობლემის ერთბაშად მოგვარების შესაძლებლობა მიეცემა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მოურინიომ მალუდა მოიკითხა

**ჟოზე მოურინიომ** "ინტერის" გაძლიერება ყოფილი კლუბის ხარჯზე გადაწყვიტა. იტალიური გრანდი "ჩელსის" ფრანგ ნახევარმცველ **ფლორან მალუდას** ეპატიჟება. მალუდა "ლიონიდან" ლონდონში მოურინიომ გადაიყვანა. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** მოღვაწეობის პირველ ხანებში ფლორანი დროის უმეტეს ნაწილს სკამზე ატარებდა. ფეხბურთელი უკმაყოფილებას ვერ მალავდა.

ბოლო შეხვედრებში ის სტაბილურად თამაშობს. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი წარმატება დროებითია. როგორც კი **ჯო კოული** გამოჯანმრთელდება მალუდას ისევ თადარიგში მოუწევს გადაბრძანება. მოგეხსენებათ, ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი მუხლს იმუშებს.

რაც შეეხება "ინტერს", მოურინიოს **რიკარდო კვარეშმას** შემცვლელი სჭირდება. მილანელმა გულშემატკივარმა პორტუგალიელი ლეგიონერი ამოიჩემა და დაუნდობლად უსტვენს. კვარეშმა ტრიბუნების ასეთ რეაქციაზე მტკივნეულად რეაგირებს. მას საკუთარ შესაძლებლობებში უკვე ეჭვი ეპარება.

28 წლის მალუდას "ჩელსისთან" კონტრაქტი 2010 წლის ზაფხულში უმთავრდება. ის 10 მილიონი გირვანქა ღირს. "არისტოკრატებს" მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.



ფლორან მალუდა

მანჩესტერი

# სერ ალექსი ჩავის ეპატიჟება

## იუნაიტედი ბარსელონას 25 მილიონ ევროს გადაუხდის

"მანჩესტერ იუნაიტედი", ფაქტობრივად, უტოპიურ საქმეს შეეჭიდა. "წითელმა ეშმაკებმა" **ჩავის** შეძენა გადაწყვიტეს. ბრიტანულ გრანდს **ოუენ ჰარგრივსის** სერიოზული ტრავმის გამო ნახევარდაცვაში მწვავე პრობლემა შეექმნა. **ალექს ფერგიუსონი** კი ფიქრობს, რომ ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა სწორედ "ბარსელონის" ვარსკვლავის შეძენა იქნება. ჰარგრივსის ტრავმა იმდენად სერიოზულია, რომ ის მიმდინარე სეზონში თამაშს ველარ შეძლებს. ამ ინფორმაციას კატალონიაში საკმაოდ ცუდად შეხვდნენ. **ჩიკი ბეგირისტაინმა** მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, მანჩესტერელები ისე არ მოიქცნენ, რის გამოც მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენო. გენერალურ დირექტორს, ამით ალბათ იმის თქმა უნდოდა, რომ ჩავი არ იყიდება და ტყუილად თავს ნუ შეიწუხებენ. მიუხედავად ამისა, ბრიტანულ პრესაში იმ თანხის რაოდენობა დასახელდა, რომლის გადახდის მზადყოფნასაც "მანჩესტერი" გამოთქვამს. "დეილი სტარის" მტკიცებით საუბარია 25 მილიონ ევროზე. ერთი შეხედვით ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა, მაგრამ ჩავი "ბარსელონისთვის", ფაქტობრივად, შეუცვლელი ფიგურაა. საინტერესოა, რომ "მანჩესტერის" დაინტერესება ერნანდესთან ხელფასის გაზრდაზე მიმდინარე მოლაპარაკებას დაემთხვა. ამ საკითხის მოგვარება ახლა უფრო აქტუალური გახდა - ყოველი შემთხვევისთვის, ჩავის "ოლდ ტრეფორდისკენ" თვალი რომ არ გაექცეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

პიერლუიჯი კოლინა

# ფეხბურთი სრულყოფილია და ვეღარაფერს შევმატებთ



პიერლუიჯი კოლინა

**იტალიურ ფეხბურთში მსაჯები ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყვნენ და მათ სახელს არაერთი სკანდალიც უკავშირდება. შორს რომ არ წავიდეთ, კალჩოპოლი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელსაც რამდენიმე არბიტრის კარიერა შეეწირა კიდეც. ამ მართლაც სკანდალური პროცესის შემდეგ, იტალიურმა ფეხბურთმა თითქოს ჭუჭყი მოიცილა და ახალი ერა სუფთა ხელებით დაიწყო. თუმცა, ბევრი არაფერი შეცვალა თემიდის მსახურთა ცხოვრებაში, მათ კვლავაც უმოწყალოდ აკრიტიკებენ და თითოეულ შეცდომაზე ედავებიან. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, იტალიელი ჟურნალისტი ყველასთვის კარგად ცნობილ ვეტერან მსაჯს, პიერლუიჯი კოლინას გაესაუბრა. შეგახსენებთ, რომ "ფანტომასი" ფედერკალჩოში მუშაობს და სამსაჯო კომიტეტს უდგას სათავეში.**

**- სენიორ კოლინა, რა შეიცვალა იტალიურ ფეხბურთში კალჩოპოლის შემდეგ?**

- ბევრი რამე და ამის უარყოფა არ შეიძლება. კალჩოპოლამდე ფეხბურთი სიბინძურეში იყო ჩაფლული და ამას ვერსად გავექცევით. იმდენი სკანდალი იყო და იმდენ ადამიანზე ვრცელდებოდა შოკისმომგვრელი ინფორმაციები, რომ ხალხმა ფეხბურთის მიმართ ნდობა დაკარგა. შემთხვევითი არ იყო ის, რომ სერია A-ს მატჩებზე სულ უფრო და უფრო ნაკლები გულშემატკივარი დადიოდა. დღეს ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა, პრესა აღარ წერს გარიგებულ მატჩებზე, აღარ მიდის საუბარი იმაზე, ვინ ვის დაუწვა, ეს ყველაფერი კი საერთო საქმეს ადგება.

**- თუმცა, მსაჯებს ისევ აკრიტიკებენ, თანაც უმოწყალოდ.**

- დიახ, ასეა და ეს ძალიან საწყენია. ჩემი აზრით, იტალიაში მსაჯობის მაღალი დონეა და ევროპაში ამ მხრივ არავის ჩამოვრჩებით. მიუხედავად ამისა, ყოველი მატჩის შემდეგ, დამარცხებული გუნდის წევრები მსაჯებზე ილაშქრებენ. კარგი იქნება თუ ფეხბურთელები, მწრთნელები უფრო თვითკრიტიკულნი იქნებიან და ნაგების მიზეზებს საკუთარ თავში მოძებნიან.

**- ბოლოს კრიტიკული განცხადებით კარლო ანჩელოტი გამოვიდა, ალბათ არც ეს გესიამოვნათ.**

- კარლო ინტელიგენტი ადამიანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ნერვებმა მასაც უმტყუნა. სიმართლე გითხრათ, ასეთი განცხადებების მოსმენა უკვე მოსაბეზრებელია. იმ ეპიზოდის ჩანაწერი ვნახე და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ "მილანი" არავის დაუჩაგრავს. მსაჯმა ფეხბურთელებს შორის კონტაქტი დააფიქსირა და სრული უფლება ჰქონდა, ჯარიმა დაენიშნა.

**- სამსაჯო კარიერა დაასრულეთ თუ არა, გამოტყდით, რომ "ლაციოს" დიდი გულშემატკივარი ხართ, ამ განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა.**

- დიახ, ასე იყო. მაშინ არ მქონდა გადაწყვეტილი, რომ საქმიანობას სამსაჯო სფეროში გავაგრძელებდი, თორემ, ალბათ, ამ განცხადებას არ გავაკეთებდი. "ლაციოს" ბავშვობაში ვგულშემატკივრობდი, გულგრილი ამ გუნდის მიმართ არც დღეს ვარ, მაგრამ ეს ჩემს საქმეზე არასდროს ასახულა. ყოველთვის ობიექტური ვიყავი, მაშინაც კი, როდესაც "ბიანკოჩელესტეს" მატჩს ვსჯიდი. მთავარი სწორედ ესაა, პროფესიონალი უნდა იყო, თორემ იტალიაში ნებისმიერი ადამიანის გული რომელიმე გუნდს ეკუთვნის.

**- რომელი გუნდი მოიგებს სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას?**

- პროგნოზების გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან ვიცი, კუდებს გამოაბამენ. პირველობას რამდენიმე ფავორიტი ყავს და წესით, ძალიან დაძაბული ჩემპიონატის მომსწრენი უნდა გავხდეთ. ყველაფერი ბოლო ტურებში გადაწყდება და იმედია, ღირსეული გაიმარჯვებს.

**- ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ფიფამ და უეფამ ექსპერიმენტი ჩაატარეს, ერთ მატჩს ხუთი არბიტრი ემსახურებოდა. რას იტყვით ამ ნოვაციაზე?**

- ამ პროცესებში აქტიურად ვიყავი ჩართული და მინდა გაცნობოთ, რომ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა. ფიფაშიც და უეფაშიც ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე ცვლილებები საჭირო არაა. ტურნირმა ისე ჩაიარა, რომ დამატებითი მსაჯების საჭიროება ფაქტოვრივად არც დამდგარა. ისინი უფუნქციოდ მოძრაობდნენ კარის ხაზის პერიმეტრზე და მთავარ მსაჯს ვერაფრით ეხმარობდნენ. ასეთი მსაჯი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს შედეგის მომტანი, თუ ბურთი კარის ხაზის ზღვარზე დავარდა და რთულია გაარკვიო, იყო თუ არა გოლი. დამეთანხმებით, ამის გამო ამხელა რეფორმის გატარება გაუმართლებელია.

**- თქვენ ყოველთვის ილაშქრებთ ნოვაციის წინააღმდეგ, ნუთუ არაფერი მოგწონთ ახალი?**

- მართალი ხართ, თავის დროზე ბევრ ასეთ ნოვატორულ იდეას შევეწინააღმდეგე. ერთი ხანობა, ბურთში ჩიპის ჩადება უნდოდათ, შემდეგ გადაწყვიტეს, რომ მსაჯს საეჭვო მომენტში მატჩი უნდა გაეჩერებინა და ვიდეოგამეორებისთვის ეყურებინა. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი დიდი სისულელეა, მსაჯიც ადამიანია და მისი შეცდომაც ამ დიდებული თამაშის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ჩემი აზრით, ფეხბურთი სრულყოფილი არსებაა, მას ვეღარ გააუმჯობესებ და ჯობია შეეშვა, რომ არაფერი დაუშავო.

**- საინტერესო მოსაზრებაა, ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერას თუ აპირებთ?**

- მოვა დრო, პენსიაზე გავალ და შესაძლოა დავწერო კიდეც. უინტერესო ცხოვრება არ გამომივლია, დასაწერიც ბევრია და რატომაც არა. თანაც, ამით ჩემს პროფესიას დავეხმარები და დამწყებ არბიტრებს გამოცდილებასა და ცოდნას წიგნითაც გადავცემ. ავტობიოგრაფიულ წიგნს ალბათ სიბერეში შევეჭიდები.

**ლაშა ნიკლაური**

ვარსკვლავი

# ადრიანომ ისევ აურია

**ადრიანო** იტალიურ პრესაში კვლავაც აქტუალურია, ბრაზილიელი არ ისვენებს და დიდია შანსი, კიდევ ერთხელ დაუტრიალდეს საფეხბურთო კარიერის ჩარხი უკულმა. იმპერატორი დისციპლის დაცვით არასდროს გამოირჩეოდა, ერთი ხანობა კი სულ მთლად აუშვა და "ნერიაძურიდან" დროებით სამშობლოში მოუხდა გამგზავრება. **მასიმო მორატიმ** მაშინ ადრიანო მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ სანამ ფეხბურთელი გონს არ მოვიდოდა, მისი ნახვის სურვილიც კი არ ჰქონდა. ამის ნიადაგზე ადრიანო ფსიქოლოგიურმა პრობლემებმაც შეაწუხა და ბევრმა მასზე ხელიც კი ჩაიქნია.

ადრიანო "ინტერსა" და დიდ ფეხბურთში **ჟოზე მოურინიომ** დააბრუნა. პორტუგალიელმა ბრაზილიელის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა და მასზე დიდი იმედებიც დაამყარა. სეზონის სტარტზე იმპერატორი მწვრთნელის ნდობას ამართლებდა და გამრჯე შეგირდის როლს თამაშობდა. ბოლო დროს კი კვლავ აუშვა და კარიერა კიდევ ერთხელ დააყენა საფრთხის ქვეშ.

რამდენიმე ხნის წინ, ადრიანო **რონალდინიოსთან** ერთად ღამის კლუბს ესტუმრა და დილამდე გაერთო. ბრაზილიელმა მეორე დღეს, დილის ვარჯიში გააცდინა და დაისაჯა კიდეც. ჟოზემ რამდენიმე შეხვედრაში ფეხბურთელი განაცხადს მიღმა დატოვა. წესით, ადრიანოსთვის ეს ისტორია ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. ბრაზილიელმა თავდამსხმელმა გუშინდელი ვარჯიშიც გააცდინა, რითაც კიდევ ერთხელ განარისხა დამრიგებელი. პორტუგალიელს ადრიანოსთვის დაურეკავს, მას კი არც კი უპასუხია, ამ ფაქტის შემსწრე ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ ჟოზე მწყობრიდან იყო გამოსული და მისი ბაგეებიდან რამდენიმე უწმაწური სიტყვაც გაისმა. მოგვიანებით, ფეხბურთელს თავად დაურეკავს მწვრთნელისთვის და უთქვამს, რომ ავად იყო და ვარჯიშიც ამად გააცდინა.

იტალიური პრესა მოურინიოს სანქციების მოლოდინშია, არ არის გამორიცხული, ადრიანო ბევრად უფრო მკაცრად დაისაჯოს, ვიდრე წინა შემთხვევაში, არც იმას გამორიცხავენ, რომ თუ ასე გააგრძელა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას კვლავ გაუყენონ სამშობლოს გზას.



ადრიანომ ჭკუა ვერ ისწავლა

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## პაოლო კანავაროს სკუდეტო მოუნდა

იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში ბრწყინვალედ ასპარეზობს "ნაპოლი". ედუარდო რეიას გუნდი ორგანიზებულ, მძლავრ ფეხბურთს თამაშობს და სრულიად დამსახურებულად იმყოფება ლიდერთა შორის. მეთერთმეტე ტურის შემდეგ, "ნაპოლის" სატურნირო ცხრილში მესამე პოზიცია უკავია და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება პირველადგილოსან "ინტერს". სამხრეთელთა ასეთი ასპარეზობით იტალიაში გაკვირვებულნი არიან და მიაჩნიათ, რომ გუნდს ჩემპიონთა ლიგის ზონაში ძალუძს მოხვედრა. კიდევ უფრო შორს მიდის ნეაპოლელთა კაპიტანი **პაოლო კანავარო**, ვინაც აპენინურ პრესასთან ერთობ ამბიციური განცხადებები გააკეთა: *"პირადად ჩემთვის, "ნაპოლის" ასეთი წარმატებული თამაში მოულოდნელობა სულაც არაა. სეზონის წინ, ზუსტად ვიცოდი თუ რა შესაძლებლობები გვქონდა და ვიცოდი ისიც, რომ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებდით. დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს გუნდს სკუდეტოს მოპოვებაც შეუძლია. რესურსი ნამდვილად გაგვაჩნია და ამაში მატჩიდან მატჩამდე ვრწმუნდები, მთავარია მოვინდომოთ და ყველაფერი გამოვა. მილანური გრანდები ვარსკვლავური შემადგენლობით გამოირჩევიან, იგივე შეიძლება ითქვას "რომასა" და "იუვენტუსზე", მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. "ნაპოლის" თავისი პლუსები აქვს, რომელსაც ჯერჯერობით წარმატებით ვიყენებთ".*

## პანათინაიკოსის ფანებმა აიშვეს

"პანათინაიკოსის" ვაიგულშემატკივრებმა უპრეცედენტო დანაშაული ჩაიდინეს. მათი პრინციპული მოწინააღმდეგის, "ოლიმპიაკოსის" შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟის დროს 30-მდე გარეწარი ტელეკომპანია "ექსტრა 3"-ის ოფისში შეიჭრა და იქაურობა დაარბია. ისინი შენობაში სხვადასხვა მიმართულებით ე.წ. "მოლოტოვის კოქტეილებს" ისროდნენ. გარდა ამისა, ბეისბოლის ჯოხებით დალეწეს აპარატურა და ავეჯი. შენობის გარეთ მეორე ჯგუფი "მუშაობდა". მან ტელეკომპანიის თანამშრომელთა 30-ზე მეტი მანქანა გაანადგურა, აქედან ორი მთლიანად დამწვარია. საბედნიეროდ, უშუალოდ ადამიანებს არ შეხებიან. ათენის პოლიციის ცნობით, 15-მდე ადამიანი უკვე დაკავებულია, მიმდინარეობს დანარჩენთა ძებნა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მძიმე მუხლით. როგორც ჩანს, ეს ადამიანები სერიოზულ სამართლებრივ დევნას ვერ გადაურჩებიან. ამაზრზენი აქციის მოთავეებს რამდენიმე წლით მოუწევთ ციხეში ყურყუტი.

## გაფიცვა შეწყდა

რამდენიმე დღის წინ სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნში 2010 წლის მუნდიალისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაზე მომუშავე ადამიანების გაფიცვა მძვინვარებდა. სამუშაოები დაახლოებით 10 დღის წინ შეჩერდა, რადგან მუშათა პროფკავშირმა ქალაქის ადმინისტრაციასთან შეთანხმებას ვერ მიაღწია პრემიალური თანხის ოდენობაზე. როგორც "როიტერი" იუწყება, ეს არ არის ერთადერთი სირთულე, რასაც საორგანიზაციო კომიტეტი აწყდება. გარდა კეიპტაუნისა, პრობლემები მრავლადაა სხვა ქალაქებშიც, ძირითადად სტადიონების მოწყობასთან დაკავშირებით. ყველაფრის მიუხედავად, აფრიკელები ოპტიმიზმს არ კარგავენ. *"პრობლემები არსებობს და ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ფიფას მიერ დადგენილ ვადებში მაინც ჩავეტევით. ბოლო ობიექტი მომავალი წლის 14 დეკემბერს ჩაბარდება,"* - განაცხადა კეიპტაუნის მერიის წარმომადგენელმა პიტერ კრონიემ.

## სიტი ბელგიელ ტალანტში 19 მილიონს იხდის

ლიეჟის "სტანდარდისა" და ბელგიის ნაკრების 19 წლის ნახევარმცველი **აქსელ ვიტცელი** "არსენალისა" და "მიდლსბროს" ინტერესის სფეროში რომ იყო მოხვედრილი, ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობეთ. სიახლეა ის, რომ ნიჭიერი ფეხბურთელით დაინტერესება გამოთქვა "მანჩესტერ სიტიმაც". ექსპერტების გათვლით, აქსელის რეალური საბაზრო ღირებულება 4 მილიონი ევროა. "ქალაქელებმა" გადაწყვიტეს, "სტანდარდს" ისეთი თანხა შესთავაზონ, რომ კონკურენტები ერთი ხელის მოსმით ჩამოიშორონ. 19 მილიონი ევრო სწორედ ის ფულია, რასაც "სიტის" გარდა არავინ გადაიხდის.

ერთი სიტყვით, "სიტი" **შონ რაიტ-ფილიპსისა** და "ჩელსის" სიტუაციას იმეორებს. მაშინ "არსენალი" ფეხბურთელში 12 მილიონს იხდიდა. "არისტოკრატებმა" 21 შესთავაზეს და "სიტიმაც" წამიერი ყოყმანის გარეშე ფეხბურთელი "ჩელსის" დაუთმო.

ვარსკვლავი

# დელ პიერო კიდევ დიდი ხანი ითამაშებს



ალესანდრო დელ პიერო

დღეს მთელი ევროპა **ალესანდრო დელ პიეროს** ძველებურ, ბრწყინვალე ფორმაში ყოფნაზე ლაპარაკობს. თავად ფეხბურთელიც კმაყოფილია თავისი სათამაშო კონდიციებით, მაგრამ პირველ ადგილზე გუნდის ინტერესებს აყენებს: *"მოხარული ვარ, რომ გოლები რეგულარულად გამაქვს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, გამარჯვებებით გახლავართ ბედნიერი. სწორედ "იუვეს" წარმატებულმა სვლამ მოგვგვარა ფეხბურთელებს უფრო მეტი თავდაჯერებულობა. "კიევოსთან" მოგება იმითი იყო მნიშვნელოვანი, რომ "რეალთან" დაწყებული წარმატებული სვლა გავაგრძელეთ,* – განაცხადა ვარსკვლავმა – *ვხვდები, რომ ჩემი ბავშვობის კერპების, პლატინისა და მარადონას დონემდე ვერ მივაღწიე, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მათ დიდი ბიძგი მომცეს, დიდი მოტივაცია შთამინერგეს. რომ არა ისინი, მე არ ვიქნებოდი დელ პიერო. მინდა თუ არა, ისევ 20 წლის ვიყო? რა თქმა უნდა! მაშინ კიდევ 20 წელიწადი მექნებოდა ფეხბურთის სათამაშოდ და არა 5-6, რაც ახლა დამრჩა,"* – დაამატა "ბებერი ქალბატონის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირმა.

შესაძლოა, "იუვეს" ლეგენდას "ნიუ იორკ რედ ბულმა" კონტრაქტი შესთავაზოს. თავად ფეხბურთელს არაერთხელ დაუდასტურებია, რომ კარიერის დასრულებამდე ძალების მოსინჯვა საზღვარგარეთ სურს. ცოტა ხნის წინ ამერიკული პრესა იტყობინებოდა, რომ ამავე კლუბმა გულუხვი კონტრაქტი შესთავაზა **ხუან სებასტიან ვერონს**.

"იუვენტუსმა" "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების 20 წლის ვარსკვლავის **ქარიმ ბენზემას** შეძენა მოისურვა. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ თუკი "ლიონს" დატოვებს, სათამაშოდ "რეალში" გადავა, ან "ბარსელონაში". "ქალბატონმა" ფრანგულ მხარეს საქმეში **დავიდ ტრეზეგეს** ჩართვის პირობა მისცა. გარდა სოლიდური თანხისა, ტურინელები მზად არიან, "ლიონს" საფრანგეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელიც დაუთმონ.

ბენზემას გარდა, "იუვეს" "ვილიარეალიდან" **ჯუზეპე როსის** გადაბირება სურს. 21 წლის თავდამსხმელს ესპანურ მხარესთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული. მისი რეალური საბაზრო ღირებულება 15 მილიონ ევროს შეადგენს, თუმცა კონტრაქტით მის გამოსასყიდად 30 მილიონია გათვალისწინებული. "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** უკვე ესპანეთშია. მან მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გამართა.

**შალვა ბიბილაშვილი**

არსენალი. ტრანსფერები

# მეთოფეები დაცვას ამაგრებენ

"არსენალს" დაცვის ცენტრში სერიოზული პრობლემები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ოთხი სტოპერი ირიცხება, **არსენ ვენგერი** თავს უსაფრთხოდ მაინც ვერ გრძნობს. **ტურე, გალასი, ჯურუ** და **სილვესტრი** სიმშვიდეს ვერ უზრუნველყოფენ. "მირორის" ინფორმაციით, გუნდის სელექციონერებმა თვალი დაადგეს "სევილიის" 21 წლის არგენტინელ ლეგიონერ **ფედერიკო ფასიოს**. გიგანტური ზომების ფეხბურთელი (1.95 სმ, 85 კგ) ანდალუსიელთა შემადგენლობაში სტაბილურად არ თამაშობს, მაგრამ სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. რამდენიმე კვირის წინ ლაპარაკი იყო, რომ ვენგერი "რეალიდან" გერმანიის ნაკრების მცველ **კრისტოფ მეტცელდერს** გადაიბირებდა, მაგრამ მისი თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეტყობა, ეს ვარიანტი საბოლოოდ გამოირიცხა. ამასობაში "ნიუს ოფ ზე ვორლდის" მტკიცებით, დღე-დღეზე გუნდი **თეო უოლკოტის** გარდა კონტრაქტს გაუხანგრძლივებს და ამასთანავე ხელფასს მოუმატებს **რობინ ვან პერსისაც**. პირველი კვირაში 75 ათას ევროს მიიღებს, მეორე – 81-ს.

ლონდონელთა გულშემატკივრებს ორ სასიამოვნო ინფორმაციას მივაწოდებთ: უკვე გარკვეულია, როდის დაუბრუნდება გუნდს ორი წამყვანი ფეხბურთელი. მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისას **მანუელ ალმუნია მაიკლ ქერიკს** შეასკდა და კინაღამ ყბა გაიტეხა. მან ორი დღე დაისვენა. სწორედ ამიტომ გუშინწინდელ შეხვედრაში "ვიგანთან" კარს მისი დუბლიორი **ლუკაშ ფაბიანსკი** იცავდა. შაბათს, "ემირატსზე" "ასტონ ვილასთან" პრემიერლიგის მატჩში ესპანელი კვლავ ძირითადში იქნება.



ტომაშ როსიცკი მინდორს იანვარში დაუბრუნდება

რაც შეეხება **ტომაშ როსიცკის**, ის შედარებით მძიმედ გახლავთ დაშავებული და მის დაბრუნებას რამდენიმე თვეა, გულის ფანცქალით ელიან. მან მუხლის ტრავმა ჯერ კიდევ ზამთარში მიიღო და მას შემდეგ მინდორზე არ გამოჩენილა. გაირკვა., რომ ჩეხი ვარსკვლავი მწყობრში იანვრისთვის ჩადგება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## ნიუკასლიც ამერიკელის ხელში?

გუშინ ვწერდით, რომ "ნიუკასლის" ბოსი **მაიკ ეშლი** კლუბის გაყიდვას ვერ ახერხებს, რადგან 280-300 მილიონი გირვანქის შოვნა, მსოფლიოში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო, საოცრად გაძნელდა. სწორედ ამ დროს "დელეგრაფი" ავრცელებს ინფორმაციას, რომ ეშლიმ კონკრეტული შეთავაზება მიიღო ამერიკელი მილიარდერის **ფილიპ ანშუტცისაგან**. ეს ადამიანი სპორტულ სამყაროში ფრიად მიღებული და გავლენიანი პერსონაა. ამ სიტყვების დასადასტურებლად წარმოგიდგენთ იმ კლუბებისა თუ სპორტული არენების დასახელებას სადაც ის სოლიდურ წილს ფლობს ან სულაც აკონტროლებს: ამერიკის საფეხბურთო ლიგა - "ლოს ანჯელეს გალაქსი" და ჰიუსტონის "დინამო"; ჰოკეის ნაციონალური ლიგა - "ლოს ანჯელეს კინგზი"; ამერიკის ჰოკეის ლიგა - "მანჩესტერ მონარქსი"; აღმოსავლეთი სანაპიროს ჰოკეის ლიგა - "რედინგ როიალსი"; ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია - "ლოს ანჯელეს ლეიკერსი"; ის სრულ წილს ფლობს მრავალპროფილიან სპორტულ კომპლექს "ჰოუმ დეფოტ სენტერში", წილს ფლობს "სტეიპლს სენტერში". ამერიკის გარეთ ფლობს შვედურ ჰოკეის კლუბ "დიურგარდენს", აგრეთვე ჰოკეის გერმანულ კლუბებს - "ჰამბურგ ფრეცერსსა" და "აისბერნ ბერლინს". "ფორბსის" მონაცემებით, მისი ქონება 8 მილიარდ დოლარს შეადგენს.

## კაპელო ინგლისს დაეხმარება

**ფაბიო კაპელო** ისედაც ყოველდღიურად ინგლისელთა სამსახურშია, მაგრამ გარდა ამისა, მან საჭიროდ ჩათვალა, რომ ქვეყანას სხვანაირადაც დაუდგეს გვერდში. მოგეხსენებათ, ინგლისელებს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ. მიზნის მისაღწევად შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, სადაც სახელმწიფო მოღვაწეთა გარდა პოპულარული ადამიანებიც არიან გაერთიანებულნი. მაგალითად **დევიდ ბექჰემი**. კაპელომ თანხმობა განაცხადა ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტად ემუშავა. *"როცა შემოთავაზება მივიღე, გული სიხარულით ამევსო. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ინგლისმა ეს პატივი დაიმსახუროს,"* - განაცხადა აპენინელმა მწვრთნელმა. შეგახსენებთ, რომ ინგლისის კანდიდატურას ლობირებს **ფრანც ბეკენბაუერიც**.

წუხელ ცნობილი გახდა, რომ ბელგიამ და ჰოლანდიამ გადაწყვიტეს, 2018 წლის მუნდიალის მასპინძლობისათვის იბრძოლონ. ამ ქვეყნებს ნაყოფიერი თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. შეგახსენებთ, 2000 ევროპის ჩემპიონატი ბელგიასა და ჰოლანდიაში ჩატარდა.

## სენტ ეტიენმა პერენი დანიშნა

"სენტ ეტიენმა" საფრანგეთის ჩემპიონატი საშინლად დაიწყო. გუნდს ცამეტ ტურში უკვე 9 ნაგება აქვს. ბოლო ტურში "რენთან" საშინაო შეხვედრა საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონებმა 3:0 დათმეს, რამაც **ბერნარ კაიაცოს** მოთმინების ფიალა აავსო. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი უეფას თასზე შესანიშნავად თამაშობს, კლუბის ხელმძღვანელმა **ლორან რუსეს** კარისკენ მიუთითა. კლუბმა მისი შემცვლელი ძალიან მალე გამონახა. წლის ბოლომდე ხელშეკრულება გაფორმდა "ტრუას", "მარსელის", "სოშოსა" და "ლიონის" ყოფილ თავკაც **ალენ პერენთან**. მასთან კონტრაქტის გაფორმებაში დიდი როლი ითამაშა "ტოტენჰემის" ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა **დამიენ კომოლიმ**, ვინც ახლა ამავე ფუნქციას ლუარელთა გუნდში შეასრულებს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერი

# ლევერკუზენი ჩემპიონობისთვის მომწიფებული არ არის

## საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს 2002 წელი ენატრება



კლაუს ტოპმიოლერი და ლევერკუზენის იმჟამინდელი ვარსკვლავი მიხაელ ბალაკი

**გასული** უქმეების შემდეგ, გერმანიის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს სათავეში „ლევერკუზენი“ უდგას. „ფარმაცევტებმა“ „ჰოფენჰაიმის“ წაფორხილებით ისარგებლეს და გალიდერდნენ, თუმცა „ბაიერნს“ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებენ. „ბაიერის“ გაპირველება განსაკუთრებით კლაუს ტოპმიოლერს გაუხარდა – საქართველოს ნაკრების ყოფილ მწვრთნელს, რომელსაც სამწვრთნელო კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „ლევერკუზენში“ აქვს გატარებული და დღემდე „ბაიერის“ გულშემატკივრების ერთ-ერთი უსაყვარლესი მწვრთნელია. მათთვის, ისევე, როგორც ტოპისთვის, დაუვიწყარია 2001/02 წლების სეზონი, როცა „ლევერკუზენს“ კლაუსის ხელმძღვანელობით ჰეთ-თრიკის შესრულება შეეძლო, მაგრამ ყველა ტურნირი ბოლო წამს წააგო – ჩემპიონთა ლიგის ფინალი, გერმანიის თასის ფინალი და გერმანიის ჩემპიონობა ბოლო ტურში დაკარგა. დღეს კლაუსი ისევ უმუშევარია და ისვენებს. ბუნდესლიგაში კი, რა თქმა უნდა, „ლევერკუზენს“ ქომაგობს. ტოპის „ბილდის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ჰერ ტოპმიოლერ, როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს „ლევერკუზენს“ გერმანიის ჩემპიონობის შანსი? შეუძლია კი ბრუნო ლაბადიას გუნდს „ვერცხლის სინისათვის“ ბრძოლა?**

- შანსი ყველას აქვს, თვრამეტივე გუნდს, მაგრამ „ლევერკუზენი“ გერმანიის ჩემპიონი არ გახდება.

**- რატომ ასე გადაჭრით? თქვენ ახლა „ბაიერის“ ფანებს გულები დაუთუთქეთ!**

- ბრუნო ლაბადიას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რაც ამ სეზონში უკვე არაერთხელ გამოჩნდა. „ლევერკუზენი“ თამაშებს ულამაზესი ფეხბურთით იგებს, ზუსტად ისეთით, როგორიც მე მიყვარს. მაგრამ ეს გუნდი არ არის მომწიფებული ჩემპიონობისთვის. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ „ბაიერს“ ძალიან ახალგაზრდა გუნდი ჰყავს. სწორედ ეს გამოჩნდა ბოლო ტურში, რომელშიც „ლევერკუზენმა“ „კარლსრუეს“ ვერ მოუგო. არადა, ბიჭები 3:0-ს იგებდნენ. ნებისმიერი გუნდი, რომელიც მომწიფებულია ჩემპიონობისთვის, სამბურთიან უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებს. მით უმეტეს „კარლსრუესთან“, რომელსაც ნაღდად არ უდგას საუკეთესო დროება. თანაც, ასეთი უპირატესობის განიავება ათმაგად გულსატკენია და ემანდ, გუნდს თავდაჯერება არ დააკარგვინოს. სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან გავბრაზდი.

**- ანუ, გადაჭრით ამბობთ, რომ „ლევერკუზენის“ ჩემპიონობა წარმოუდგენელია?**

- ყოველ შემთხვევაში, მე ამას არც „ლევერკუზენისგან“ ველი და მით უმეტეს, არც „ჰოფენჰაიმისგან“. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ჩემპიონი ისევ „ბაიერნი“ გახდება.

**- და რომელ ადგილზე გავა „ლევერკუზენი“?**

- ვიმედოვნებ, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ ლაბადიას ბიჭები ევროტურნირების მიღმა არ დარჩებიან.

**- გუნდის პროგრესს როგორ აფასებთ?**

- ძალიან პოზიტიურად. ლაბადია მართლაც შესანიშნავად მუშაობს, ეს არის კაცი, რომელიც თავის საქმეს ყოველთვის გულითა და სულით აკეთებდა. ბრუნოს მონდომება და მოტივაცია არც ფეხბურთელობის დროს აკლდა და მწრვთნელიც ისეთვეა, როგორიც ფეხბურთელი იყო: გულიანი და ჭკვიანი. ამას გარდა, დღევანდელ „ლევერკუზენში“ ყველაზე მეტად ბრაზილიელი გამთამაშებელი რენატო მომწონს – ფეხბურთელი, რომლის დარიც „ფარმაცევტებს“ ილდირაი ბაშთურქის შემდეგ აღარ ჰყოლიათ. მაშინ ბაშთურქი მართლაც გენიალურ ფორმაში იყო და სხვათა შორის, დღემდე ვერ გამიგია, რა დაემართა, რატომ დაიკარგა ასე ძალიან. ისე კი, ვფიქრობ, რომ დღევანდელი „ლევერკუზენისთვის“ რენატო გაცილებით მნიშვნელოვანი ფიგურაა, ვიდრე პატრიკ ჰელმესი და შტეფან კისლინგი ერთად. ეს უკანასკნელები უფრო ჩანან, რადგან გოლები გააქვთ, მაგრამ დამიჯერეთ, რომ არა რენატო, „ბაიერი“ ახლა ლიდერი არ იქნებოდა. ამასთან, აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ არა მგონია, „ლევერკუზენში“ გუნდის მშენებლობა ოდესმე დასრულდეს...

**- რას გულისხმობთ?**

- ვშიშობ, რომ სეზონის ბოლოს გუნდს ისევ დატოვებენ წამყვანი ფეხბურთელები. ზუსტად ისე, როგორც ეს ჩემს დროს მოხდა, როცა გუნდი მიხაელ ბალაკმა და ზე რობერტომ დატოვეს.

**- და ვინ დატოვებს გუნდს ამჯერად?**

- ჰელმესი, რენატო, ბარნეტა, როლფესი – განა, „ლევერკუზენს“ ცოტა კარგი ფეხბურთელი ჰყავს? „ბაიერნი“ იყო და არის კლასიკური ტრამპლინი ფეხბურთელობისთვის. იმედს ვიტოვებ, რომ ასე არ მოხდება, მაგრამ ეს რთული წარმოსადგენია. საერთოდ, „ლევერკუზენზე“ გული ძალიან შემტკივა. ჩემი სამწრთვნელო კარიერის საუკეთესო მიღწევები სწორედ „ბაიერს“ უკავშირდება და იმიტომ. 2002 წელს ყოველთვის უდიდესი სიამოვნებითა და გატაცებით ვიხსენებ ხოლმე.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ | ოტმარ ჰიტცფელდი

# ჰოფენჰაიმი? ჩემპიონი ბაიერნი გახდება...

## გენერალი დარწმუნებულია, რომ ჰოფე რეკორდმაისტერს სეზონის ბოლომდე კონკურენციას ვერ გაუწევს

**ზაფხულში ოტმარ ჰიტცფელდი „ბაიერნს" გამოეთხოვა და შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. გასულ შაბათს „გენერალი" მიუნხენში იმყოფებოდა. ცხადია, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ოტმარს ინტერვიუები ჩამოართვეს. გთავაზობთ სტატიას, რომელიც „მიუნხენერ თაგესცაითუნგში" გამოქვეყნდა.**

**- ჰერ ჰიტცფელდ, როგორ გრძნობთ თავს შვეიცარიაში?**

- დიდი ხანი არ გასულა, რაც აქ ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში ჩავარდნებიც მქონდა და წარმატებებიც. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ორ თამაშში ისრაელთან გამარჯვება ხელიდან 94-ე წუთზე გამოგვეცალა, ლუქსემბურგთან კი სულაც საკუთარ მოედანზე დავმარცხდით, რაც შვეიცარიის ნაკრებისთვის კატასტროფის ტოლფასი იყო. სიმართლე გითხრათ, ყველანი შოკში ვიყავით. წარმოიდგინეთ, ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და ჩემი მიზანი ამ გუნდის მუნდიალზე გაყვანაა და უცებ დაუგეგმავი ქულები დავკარგეთ. ბედნიერი ნამდვილად არ ვიყავი.

**- მაგრამ ვითარების გამოსწორება მალევე მოახერხეთ.**

- დიახ. შეცდომები კარგად გავაანალიზეთ, სიმშვიდე შევინარჩუნეთ და შედეგმაც არ დააყოვნა. ასეთ სიტუაციებში ყველაზე მთავარი სიმშვიდის შენარჩუნებაა და მიხარია, რომ ჩემმა გუნდმა ეს მოახერხა. 25 წელია, მწვრთნელად ვმუშაობ და ყოველთვის ვცდილობდი, რომ რეალობის გრძნობა არ დამეკარგა და განსაკუთრებით მძიმე სიტუაციებშიც კი სიმშვიდეს ვინარჩუნებდი ხოლმე. ამასთან, არასდროს ვიღებდი პოპულისტურ გადაწყვეტილებებს, რაც ნებისმიერი მწვრთნელისთვის დამღუპველია.

**- როგორია ოტმარ ჰიტცფელდის ერთი დღე შვეიცარიაში?**

- გაცილებით მეტი დრო მაქვს იმისათვის, რომ ვიმოგზაურო, ფეხბურთელებს ვესტუმრო და მათ დავაკვირდე. ყოველგვარი სტრესის გარეშე ვახერხებ იმას, რომ ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩები შევარჩიო. პირდაპირ გეტყვით: ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა შესანიშნავი რამ ყოფილა.

**- მიუნხენი არ გენატრებათ ხოლმე?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მენატრება. ბავარიაში გატარებული წლები საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში. მიუნხენიდან ბედნიერი და დაფასებული წამოვედი. შესაბამისად, როცა სურვილი მაქვს, შემიძლია ჩამოვიდე და ჩემი აქაური მეგობრები ვინახულო.

**- „ბაიერნის" თამაშებს თუ უყურებთ?**

- რა თქმა უნდა. ბუნდესლიგას და „ბაიერნის" თამაშებს თვალყურს მუდმივად ვადევნებ.

**- ული ჰიონესმა თქვა, ჩვენს კონკურენტებს „ბაიერნის" სუნთქვა ისევ ესმითო...**

- ჰო, ეს მართალია. ყოველთვის ასეა: როცა რეკორდმაისტერი ზედიზედ რამდენიმე თამაშს მოიგებს, სხვა გუნდებს ეს მაშინვე დაეტყობათ ხოლმე. ნებისმიერი კონკურენტი ნერვიულობას იწყებს და ამჯერადაც ასე მოხდა. დააკვირდით, გასულ უქმეებზე ვერც „ჰოფენჰაიმმა" მოიგო და ვერც „ლევერკუზენმა". მათ ძალიან კარგად იციან, რომ „ბაიერნი" დაბრუნდა და რომ საუკეთესო ფორმაში მყოფი „ბაიერნი" ძალიან სახიფათო და უძლეველია.

**- მიუნხენელებს „ჰოფენჰაიმიდან" სეიად სალიჰოვიჩის გადაბირება სურდათ და ამ ფეხბურთელმა მიუნხენში გადასვლაზე უარი თქვა. ეს ბავარიელთათვის, ფაქტობრივად, შეურაცხყოფაა. როგორ გგონიათ, რამდენად გაბრაზდნენ ამის გამო კარლ-ჰაინც რუმენიგე და ჰიონესი?**

- არა მგონია, რომ სალიჰოვიჩის გამო გაბრაზებულიყვნენ. „ბაიერნი" ამას როგორმე გადაიტანს.

**- და როგორ ფიქრობთ, „ჰოფენჰაიმი" სეზონის ბოლომდე იქნება „ბაიერნის" კონკურენტი?**

- არა მგონია. „ჰოფენჰაიმს" ძალიან დიდ პატივს ვცემ და მიხარია, რომ ამ გუნდმა ასეთი პროგრესი განიცადა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ „ჰოფე" სეზონის ბოლომდე საუკეთესოებს შორის ვერ იქნება. მოკლედ, პირდაპირ ვიტყვი: „ჰოფენჰაიმი" „ბაიერნის" კონკურენტად არ უნდა მივიჩნიოთ. ამ გუნდს არ აქვს საკმარისი გამოცდილება და სოლიდურობა იმისათვის, რომ რეკორდმაისტერს მთელი სეზონის განმავლობაში სერიოზული კონკურენცია გაუწიოს. დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ისევ „ბაიერნი" იქნება პირველი.

**- რატომ? იმიტომ, რომ „ბაიერნს" ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი ჰყავს?**

- რაც არ უნდა იყოს, ეს ორი ფეხბურთელი მიუნხენური გრანდისთვის ძალიან დიდი ფიგურაა. ასეთი ნახევარმცველი და თავდამსხმელი სხვა არცერთ ბუნდესლიგურ კლუბს არ ჰყავს.

**- როგორ ფიქრობთ, ბავარიელებს რიბერის შენარჩუნება გაუჭირდებათ?**

- ჩემი აზრით, რეკორდმაისტერს აქვს იმის საშუალება, რომ ფრანგი ფლეიმეიქერი შეინარჩუნოს. ყოველ შემთხვევაში, მიუნხენში იციან, რაც შეუძლია რიბერის და რიბერიმაც იცის, რომ მიუნხენურ გრანდში ყოველთვის დაფასებული იქნება. როცა საქმე მისი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე მიდგება, ჰიონესი და რუმენიგე ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რიბერი შეინარჩუნონ.

**- და რაც შეეხება ტონის?**

- მე რომ მკითხოთ, ტონიმ კიდევ ხუთი წელი უნდა ითამაშოს „ბაიერნში".

**- გასულ წელთან შედარებით, ამ სეზონის დასაწყისში „ბაიერნის" დაცვას ძალიან ხშირად ექმნებოდა პრობლემები. როგორ ფიქრობთ, რატომ? იურგენ კლინსმანს სხვა მცველები არ მოუყვანია, გუნდი იგივე მცველებით თამაშობს, რომლებიც თქვენ, დროსაც ასპარეზობდნენ...**

- ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად არ არის მიხაელ რენზინგის ბრალი. ეს უკანასკნელი გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ჩემი აზრით, რენზინგი იმიტომ აიჭრა, რომ პირველივე თამაშში ორი გოლი გაუშვა და მერე თავდაუჯერებელი გახდა.

**- რა არის ლუკას პოდოლსკის პრობლემა?**

- პოლდის ორი პრობლემა აქვს: მიროსლავ კლოზე და ლუკა ტონი. მიუხედავად ამისა, პოდოლსკის ვურჩევ, რომ მიუნხენში დარჩეს.

**- ზე რობერტოს და მარკ ვან ბომელს კონტრაქტები უმთავრდებათ...**

- ბრაზილიელი იდეალურ ფორმაშია და ასეთი ზე რობერტოს გუნდიდან გაშვება არ შეიძლება. მარკი კი „ბაიერნის" ლიდერი გახლავთ. ორივე ფეხბურთელი რეკორდმაისტერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მე რომ გუნდის მწვრთნელი ან ხელმძღვანელი ვიყო, არც ბრაზილიელს გავუშვებდი და არც ჰოლანდიელს.

**- ფანები ითხოვენ, ული ჰიონესი უნდა დარჩეს, სხვა მენეჯერი არ გვჭირდებაო...**

- განა, ული სადმე მიდის? უბრალოდ, ჰიონესი გუნდის პრეზიდენტი ხდება და დარწმუნებული ვარ, რომ ამ რანგშიც ძალიან ახლოს იქნება ყველაფერ იმასთან, რასაც ახლა აკეთებს.

**- როგორ ფიქრობთ, ოლივერ კანი ულის იდეალურად შეცვლიდა?**

- ამაშიც 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ. კანი რეკორდმაისტერისთვის იმდენად მნიშვნელოვანი პიროვნებაა, რომ რეკორდმაისტერმა ოლი არაფრისდიდებით არ უნდა დაკარგოს. კანი „ბაიერნში" უნდა იყოს დასაქმებული. საუკეთესო შემთხვევაში, ხან ჰიონესის პოსტი უნდა დაიკავოს.

**გოტფრიდ ლენცი**



ოტმარ ჰიტცფელდი

ტოტენჰემი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰარი რედნაპმა ხელები დაიკაპინა

# რედნაპი იანვრისთვის გამალებით ემზადება

"ტოტენჰემმა" "მანჩესტერ სიტის" კაპიტნის **რიჩარდ დანის** შეძენა მოისურვა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის ყიდვა **ჰარი რედნაპს** ჯერ კიდევ "პორტსმუთის" მწვრთნელობის დროს სურდა, მაგრამ "პომპებმა" საკმარისი ფული ვერ გამონახეს. მოსალოდნელია, რომ ლონდონელები ფეხბურთელს იანვარშივე შეიძენენ, თუმცა მასში მხოლოდ 5 მილიონი გირვანქის გაღებას აპირებენ. საეჭვოა, რომ "სიტი" ამ თანხას დასჯერდეს. ირლანდიელის კონტრაქტი 2012 წელს იწურება. მანჩესტერელები მას 10 მილიონად აფასებენ.

დანის გარდა, ლონდონელებს "ზენიტიდან" **ანდრეი არშავინის** შეძენაც სურთ. მოგეხსენებათ, ლონდონურ კლუბში თამაშობს რუსეთის ნაკრების მეორე ლიდერი **რომან პავლიუჩენკოც**. ანდრეის ხელშეკრულებას პეტერბურგულ კლუბთან ვადა 2 წლის შემდეგ, 2010 წლის დეკემბერში გასდის. შესაბამისად, რუსული კლუბი არ აპირებს, მის მიერ უკვე დასახელებულ 24 მილიონ ევროს თუნდაც მისხალი დააკლოს. არშავინით დაინტერესებულია მადრიდის "რეალიც". თავად ფეხბურთელი ეჭვს გამოთქვამს, რომ მასში ვინმე აღნიშნულ თანხას გადაიხდის. "ზენიტის" თავკაც **დიკ ადვოკაატს** არ სურს, ფეხბურთელი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გუნდში გააჩეროს.

"ტოტენჰემის" ცოცხალმა ლეგენდამ **ტედი შერინგემმა** განაცხადა, რომ დიდი სიამოვნებით დაბრუნდებოდა კლუბში, რომელსაც კარიერის რვა წელიწადი აჩუქა. *"ჰარი რედნაპთან ამ თემაზე არ მილაპარაკია, მაგრამ ვიცი, რომ მას ჩემთან მუშაობის დიდი სურვილი აქვს. მინდა, რედნაპმა იცოდეს, თუკი წინადადება იქნება, ულაპარაკოდ დავთანხმდები,"* – გვამცნობს ვარსკვლავის სიტყვებს "სქაი სპორტსი".

"ლივერპულთან" ინგლისის თასის გუშინდელ მატჩამდე "მამლების" მწვრთნელმა **კევინ ბონდმა** არ გამორიცხა, რომ გუნდს მერსისაიდელების წინააღმდეგ დუბლშემადგენლობა გაეყვანა - ერთადერთი მიზნით, გუნდმა ძალების კონცენტრაცია პრემიერლიგაზე უნდა მოახდინოს. *"მიუხედავად წარმატებული თამაშების სერიისა, გუნდს უთვალავი პრობლემა აწუხებს. მთავარია, პრემიერლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ,"* – გულწრფელად აცხადებს ჰარი რედნაპის თანაშემწე.

გუნდის მექსიკელმა თავდამსხმელმა **ჯოვანი დოს სანტოსმა** სერიოზული ტრავმა მიიღო. იქამდე, ვიდრე დიაგნოზი დაისმებოდა, რედნაპი იმედოვნებდა, რომ ფეხბურთელი გუნდს უახლოეს ტურებში დაუბრუნდებოდა, მაგრამ უკვე გუშინ კლუბის საიტზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელი გუნდს მხოლოდ დეკემბრის შუა რიცხვებში დაუბრუნდება. ჯოვანის ტერფი და კოჭი აქვს დაზიანებული. სასიხარულოა, რომ 19 წლის თავდამსხმელი ოპერაციას გადაურჩა. ასეთ შემთხვევაში მას უფრო ხანგრძლივი პაუზის აღება მოუხდებოდა.

**შალვა ბიბილაშვილი**



ინტერვიუ

ანდრეი არშავინი

# ზენიტი ჩემი მშობელი არ არის, რომ ცხოვრების ბოლომდე მისი ერთგული ვიყო

## მისი მხრიდან რეალში გადასვლის სურვილი თავხედობაა და სხვა არაფერი

უკვე მესამე დღეა ვწერთ, რომ ანდრეი არშავინი მადრიდის "რეალის" უპირველეს სამიზნედ იქცა. რუსი ფორვარდის შეძენის სურვილი სამეფო კლუბის გენერალურმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა პირადად გაახმაურა და მოლაპარაკებების დაწყების მზადყოფნაც გამოთქვა. ამის ნიშნად მან თანაშემწეს "ზენიტის" მესვეურებთან დაკავშირება და კონტაქტების გაბმა დაავალა. როგორც ჩანს, "რეალი" მართლაც სერიოზულადაა დაინტერესებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, არშავინის მოსალოდნელი ტრანსფერი ესპანურ პრესაში ამხელა აჟიოტაჟს არ გამოიწვევდა. თავად განსაჯეთ, ამ დღეებში მასთან დაკავშირებას უკლებლივ ყველა სპორტული გაზეთი ცდილობდა. მრავალთაგან ყველაზე მეტად "დიარიო ასს" გაუმართლა. მადრიდული გაზეთის ჟურნალისტი ხესუს სანჩო ანდრეის ორჯერ ელაპარაკა. მათი გუშინდელი საუბარი უფრო ხანგრძლივი იყო და ინტერვიუც ბევრად შინაარსიანი გამოდგა.

**- ანდრეი, გუშინ ცოტა დრო გქონდათ და რამდენიმე კითხვით შემოიფარგლეთ. წუხელ მითხარით, მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ჩემოდნებს დღესვე ჩავალაგებდი და მადრიდს გავემგზავრებოდიო. უნდა გითხრათ, რომ ერთ დღეში ძალიან ბევრი რამ გაცხადდა. ახლა უკვე დაზუსტებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ პრედრაგ მიატოვიჩი სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებს. მზად ხართ იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა აიღოთ და მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს გრანდში გადმოხვიდეთ?**

- როგორ შეიძლება ფეხბურთელი გერქვას და "რეალში" თამაშის პასუხისმგებლობამ შეგაშინოს. თუ ღმერთი გწამთ, წუხელაც გითხარით, რომ მადრიდში დაუფიქრებლად ჩამოვიდოდი. ასეთ დიდ გუნდში თამაშს ყოველ დღე არ შემოგთავაზებენ. სამეფო კლუბმა ინტერესი გამოთქვა და ახლა თუ მე არ ვიაქტიურებ, ესპანელები ხვეწნას რა თქმა უნდა, არ დამიწყებენ, ხელს ჩაიქნევენ და წავლენ. რა აქვს "რეალს" ჩემი სახვეწარი. მადლობის მეტი რა მეთქმის. რუსეთში ყველამ იცის და თქვენც გეტყვით, რომ "ზენიტში" დარჩენა აღარ მინდა. რადაც არ უნდა დამიჯდეს, იანვრიდან გუნდიდან უნდა წავიდე. ამას შემთხვევით არ ვამბობ, დიახ, ნებისმიერ ფასად უნდა დავტოვო "ზენიტი". ალბათ, გეცოდინებათ, რომ ხელმძღვანელობა ჯერჯერობით არ მთანხმდება, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და დიდ გუნდში თამაშის შანსს არ მომისპობენ.

**- ისე საუბრობთ, თითქოს "რეალში" გადასვლა გარანტირებული გქონდეთ. რას ნიშნავს დიდ გუნდში თამაშის შანსი?**

- არა, არ მითქვამს, რომ "რეალში" გადასვლა გარანტირებული მაქვს, თუმცა ის კი ფაქტია, რომ მადრიდელებს ჩემი შეძენა სურთ. მნიშვნელობა არ აქვს, შედგება თუ არა ეს ტრანსფერი. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წავიდე. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კლუბის ხელმძღვანელებს ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია ჯერ არ გააჩნიათ, არშავინის "ზენიტიდან" წასვლა გადაწყვეტილი ამბავია. არავის აქვს ჩემი ძალით დატოვების უფლება. პატარა აღარ ვარ და მიმაჩნია, რომ რუსეთის ჩემპიონატში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. ახლა უფრო დიდი ასპარეზი მჭირდება. "ზენიტს" ყველაფრისთვის დიდ მადლობას ვუხდი, მაგრამ ის ჩემი მშობელი არ არის, რომ ცხოვრების ბოლომდე მისი ერთგული ვიყო. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად დასრულდება. "ზენიტის" ხელმძღვანელობა ადრე თუ გვიან მიხვდება, რომ მე უნდა წავიდე და ამ ტრანსფერით კარგი ფულის გაკეთების შესაძლებლობა მიეცემათ.



**- სხვადასხვა გუნდის შემოთავაზება გაქვთ. მათ შორის, "რეალის". თქვენ რომელ კლუბს ანიჭებთ უპირატესობას?**

- რა თქმა უნდა, "რეალს". წინასწარ საუბარი არ მიყვარს, მით უმეტეს, საქმე ჭორებს ჯერ არ გასცილებია, მაგრამ "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადასვლის შემთხვევაში "რეალის" პირველი რუსი ფეხბურთელი გავხდები. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება. ასეც რომ არ იყოს, მსოფლიოს საუკეთესო გუნდში გადასვლა ნებისმიერ ფეხბურთელს ენდომება. ამ მხრივ, ალბათ, არავინ იქნება ორიგინალური. არ მგონია, არსებობდეს მოთამაშე, რომელიც სამეფო კლუბის შეთავაზებას უარით უპასუხებს. თუ ვინმეს შეეშინდება, ესე იგი ის ფეხბურთელი არ ყოფილა. ჩემი აზრით, ფეხბურთს სითამამე და თავხედობა სჭირდება.

**- თავხედობა?**

- დიახ! ჩემი მხრიდან "რეალში" გადასვლის სურვილი თავხედობაა და სხვა არაფერი, მაგრამ თავაზიანობა რომ გამოვიჩინო, მშიშარა უნდა ვიყო. საბედნიეროდ, არაფრის მეშინია, მათ შორის, არც ვარსკვლავებში დაკარგვის შესაძლებლობის. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ სიტუაციაში შევძლებ ჩემი საუკეთესო თვისებების წარმოჩენას.

**- მახსოვს, ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას განაცხადეთ, ყველაზე მეტად პრიმერა დივიზიონში მინდა თამაშიო. გული გიგრძნობდათ, რომ მადრიდის "რეალი" ამის შანსს მოგცემდათ?**

- რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, პრიმერა დივიზიონს ყველაზე სანახაობრივ და ლამაზ ჩემპიონატად მივიჩნევ. პრემიერლიგაც ძალიან მომწონს, თუმცა გულწრფელად გითხრათ, ევროპის ნებისმიერ ძლიერ ლიგაში სიამოვნებით ვითამაშებდი.

**- რუსულ გაზეთებში ვკითხულობთ, რომ ძალიან ცუდ განწყობაზე ხართ. რა გჭირთ?**

- ძნელია კარგ ხასიათზე იყო, როცა შენ ერთი რამ გსურს, ცხოვრებაში კი სრულიად საპირისპირო ფაქტები ხდება. მადლობა ღმერთს, "ზენიტში" გამოჩნდა ხალხი, რომელიც მე მიჭერს მხარს და ამბობს, არშავინი მართალიაო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ 2009 წლის იანვარში პეტერბურგულ კლუბს დავტოვებ. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

**- რამდენადაც ვიცი, "რეალს" უნდა, რომ იჯარის წესით აგიყვანოთ. "ზენიტი" კი თქვენს სანაცვლოდ ასტრონომიულ თანხას ითხოვს.**

- ამის შესახებ არაფერი მსმენია, თუმცა ძალიან გამიკვირდება, ვინმემ ჩემს სანაცვლოდ მაგალითად 25 მილიონი ევრო რომ გადაიხადოს. ალბათ, ჯობია, რეალური ფასი დამადონ.

**- ისიც გავიგე, რომ "რეალის" გარდა თანამშრომლობას "ტოტენჰემი" და "ბაიერნი" გთავაზობენ...**

- ჩემთვის მართლაც ძალიან საამაყოა, რომ საუკეთესო ევროპული კლუბები მაკვირდებიან. გულწრფელად რომ გითხრათ, "ტოტენჰემსა" და "ბაიერნს" ჩემი დასაწუნებელი არაფერი სჭირთ, თუმცა თუ ასარჩევად მექნება საქმე, რა თქმა უნდა, "რეალს" ავირჩევ. მთავარია, "ზენიტთან" რაც შეიძლება მალე გავარკვიო ურთიერთობები.

**- არ გეშინიათ, რომ სამეფო კლუბში გადასვლის შემთხვევაში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა გაგიჭირდებათ და კარიერას საფრთხეში ჩაიგდებთ?**

- მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "რეალის" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ჯოჯოხეთურად რთული იქნება, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მე თავხედი ფეხბურთელი ვარ და აბსოლუტურად არაფრის მეშინია. მთავარია, შანსი მომეცეს. მჯერა, კარგი კარიერის გაკეთებას შევძლებ. ამისათვის კი დიდი სარბიელი მჭირდება.

**- ადვოკაატის მხარდაჭერა საქმეს გაგიმარტივებთ?**

- ჩვენმა მწვრთნელმა პირდაპირ მითხრა, არ მინდა, რომ წახვიდე, მაგრამ მე შენი კარგად მესმის და ხელს არ შეგიშლიო. ის პროფესიონალია და იცის ახლა რასაც ვგრძნობ. ფეხბურთელის კარიერა ხანმოკლეა, მას უნდა ყველაფერი მოასწროს. ბევრს ამის საშუალება იმის გამო არ ეძლევა, რომ არავინ არაფერს სთავაზობს. ხოლო თუ ადამიანს საუკეთესო გუნდები იწვევენ, მისთვის ხელის შეშლა ცოდვაა და სხვა არაფერი.

რეალი

# შუსტერს ულტიმატუმი წაუყენეს

## თუ რეალი ვალიადოლიდს ვერ დაამარცხებს, გერმანელს სახლში გაუშვებენ



მადრიდის "რეალში" სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ამის მიზეზი ესპანური გრანდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობებია. "იუვენტუსსა" და "ალმერიასთან" წაგებაზე რომ არაფერი ვთქვათ, "რეალი" ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებასაც გამოეთიშა. პარადოქსულია, მაგრამ **ბერნდ შუსტერის** ბიჭებმა ორმატჩიანი დუელი უსახელო "უნიონ რეალთან" წააგეს. ბუნებრივია, ეს ფაქტი გამოხმაურებისა და მწვავე რეაგირების გარეშე არ ჩაივლიდა. ასეც მოხდა, უპასუხისმგებლო თამაშის შემდეგ შუსტერის სავარძელს წყალი შეუდგა. შეძრწუნებულმა **რამონ კალდერონმა** გუშინ დირექტორატის საგანგებო სხდომა მოიწვია და თანამშრომლებს შექმნილ სიტუაციაზე ესაუბრა. მსოფლიო ფეხბურთის გიგანტის მმართველებმა გუნდში შექმნილი ვითარება, რა თქმა უნდა, დეტალურად განიხილეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბერნდ შუსტერს საათი უნდა ჩაურთონ. ალბათ, ყველა ხვდებით საათის ჩართვაში რა იგულისმება. ესპანური გაზეთების მტკიცებით "რეალის" ხელმძღვანელებმა გერმანელ სპეციალისტს ულტიმატუმი წაუყენეს. იმ შემთხვევაში, თუ სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონის მომდევნო ტურში "ვალიადოლიდს" გასვლით ორთაბრძოლაში არ დაამარცხებს, მთავარ მწვრთნელს თანამდებობიდან ვადამდე დაითხოვენ. გაირკვა, რომ რამონ კალდერონს შუსტერის შესაძლო შემცვლელი უკვე შერჩეული ჰყავს. საუბარია **მიგელ ანხელ პორტუგალზე**. ესპანურმა მედიამ ამ ჩანაფიქრს ნეპოტისტური შეთქმულება უწოდა. საქმე ის არის, რომ პორტუგალი სამეფო კლუბის პრეზიდენტის უახლოესი მეგობარია. ის დიდი ხნის განმავლობაში "რეალის" ტექნიკური მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა მოგვიანებით სანტანდერის "რასინგის" წინადადება მიიღო და კანტაბრიაში მთავარი მწვრთნელის პოსტზე სამუშაოდ გაემგზავრა...

კარგად თუ დავფიქრდებით, გაგვახსენდება, რომ რამდენიმე წლის წინ **ფაბიო კაპელოც** ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებოდა. ესპანურმა გრანდმა პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში მაშინ ზედიზედ ორი მატჩი წააგო, რის გამოც იტალიელ სპეციალისტს ულტიმატუმი წაუყენეს, თუ "სოსიედადს" "ანოეტაზე" არ დაამარცხებ, სახლში გაგიშვებთო. სხვათა შორის, "რეალის" სათადარიგო გუნდის მწვრთნელმა, ლეგენდარულმა **მიჩელმა** მოგვიანებით ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ სანსებასტიანური მატჩის წაგების შემთხვევაში კაპელოს ნაცვლად მას დანიშნავდნენ. "რეალმა" ის თამაში 2:1 მოიგო, სეზონის ბოლოს ჩემპიონიც გახდა, მაგრამ კაპელო მაინც არ დაინდეს და თანამდებობიდან გაუშვეს. ვინ იცის, შეიძლება ახლა შუსტერსაც ეს ბედი ელის. გერმანელი სპეციალისტი საქმის კურსშია და ძალიან კარგად იცის, რომ დირექტორატი მისი ამჟამინდელი მუშაობით ძალიან უკმაყოფილოა. ჰერ ბერნდს ეს არც უკვირს. შუსტერი "დიარიო მარკას" ჟურნალისტს შეხვდა და ყველაფერზე გულწრფელად ისაუბრა: "ძალიან კარგად მესმის, რომ კალდერონი და მიატოვიჩი შედეგებით უკმაყოფილო არიან. ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ორი თამაში წავაგეთ. პრიმერა დივიზიონში მეოთხე ადგილზე ვიმყოფებით, ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებას კი სულაც გამოვეთიშეთ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია და პასუხისმგებლობას არ გავურბივარ. სამწუხარო და დასანანია, რომ ძალიან ბევრ გოლს ვუშვებთ. დარწმუნებული ვარ, ყველას ამის მიზეზი აინტერესებს, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ზუსტ მიზეზს ვერ მოგახსენებთ. წარმოდგენა არ მაქვს, ამდენ გოლს რატომ ვუშვებთ. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ დაცვა ცუდად ასპარეზობს, მაგრამ საკითხავი სწორედ ის არის, რატომ ხდება ასე. არავითარი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ სამეფო კლუბის დაცვაში ქაოსი სუფევდეს."

ჟურნალისტისა და რესპონდენტის ინტერვიუ ულტიმატუმის თემას ვერ ასცდებოდა. შუსტერი ამ ინფორმაციას ძალიან მშვიდად შეხვდა: "ჩემთვის უცნაური და შეუძლებელი არაფერი მოუთხოვიათ. ჩემგან "ვალიადოლიდის" დამარცხებას ითხოვენ. სიმართლე გითხრათ, "ხოსე სორილიაზე" ისედაც მოსაგებად ვაპირებ წასვლას. ამ თვალსაზრისით, ულტიმატუმს განსაკუთრებული დატვირთვა არ გააჩნია. სამსახურის დაკარგვის საფრთხეს რაც შეეხება, უნდა მოგახსენოთ, რომ მე "რეალის" მთავარ მწვრთნელად არ დავბადებულვარ. წასვლა ტრაგედია ნამდვილად არ იქნება, თუმცა ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სიტუაცია გამოსწორდეს და ყველა კმაყოფილი იყოს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მე."

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ქართული ჭიდაობა

ინტერვიუ უშანგი ყურაშვილთან

# დღეს სხვა ფორმები და მეთოდებია საჭირო



ვარლამ ლიპარტელიანი, უშანგი ყურაშვილი და ირაკლი ცირეკიძე

ნოემბრის მიწურულს ქართული ჭიდაობის ფედერაციაში ვადამდელი არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი გახლავთ სასპორტო მაღაზია „ჩემპიონისა" და „ტრენაჟორების სახლის" გენერალური დირექტორი, სპორტსმენთა დიდი ქომაგი და ქველმოქმედი **უშანგი ყურაშვილი,** რომელმაც კარგად იცის ეროვნული საუნჯის ყადრი, რადგან თავადაც ქართული ჭიდაობიდან მოდის.

სოფელი ხოვლე, სადაც ბატონი უშანგი დაიბადა და გაიზარდა, საჭიდაო ტრადიციებით არის ცნობილი. სწორედ აქ, ნახერხმოყრილ სარბიელზე, ალიზარდნენ **ქრისტეფორე** და **აკაკი ნინიაშვილები, ოთარ ყურაშვილი, მამუკა ჯანანაშვილი** და სხვები, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას შორს გაუთქვეს სახელი. ამ სოფელში იმდენი კარგი სპორტსმენი დაფრთიანდა, რომ ყოფილ საბჭოეთში ორ საკავშირო ნაკრებს დააკომპლექტებდა. ნინიაშვილების ხელმძღვანელობით გაიკაფა გზა დიდი სპორტისკენ უშანგი ყურაშვილმა - სოფლის სარბიელზე ისწავლა ქართული ჭიდაობის ანბანა. ის იყო, მყარად დადგა ფეხზე, რომ უცებ ამურის კომსომოლსკში ამოყო თავი.

- ქალაქში შემთხვევით გავიცანი სამბოსა და ძიუდოს მწვრთნელი ვალერი შმონინი, რომელმაც სავარჯიშოდ „დინამოს" დარბაზში მიმიწვია.

1971 წელს ქართველი ფალავანი ძიუდოში ხაბაროვსკის მხარის ჩემპიონი გახდა. მერე კიდევ შვიდჯერ მოიპოვა მსგავსი ტიტული სპორტის ამ სახეობასა და სამბოში. პერსპექტიული მოჭიდავე ხაბაროვსკში გადაიყვანეს საცხოვრებლად, სადაც იგი მილიციის სკოლაში ჩაირიცხა. 1977 წელს ბარნაულში სამბისტთა რუსეთის პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. ასევე „ვერცხლი" ხვდა მომდევნო წელს რსფსრ-ს ხალხთა სპარტაკიადაზე. სწორედ ეს შეჯიბრება აღმოჩნდა მისთვის ტრაგიკული - ფინალურ ორთაბრძოლისას მძიმე ტრავმა მიიღო და ტატამს დაემშვიდობა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მცირე ბიზნესს მიჰყო ხელი. შეძლებისდაგვარად მოჭიდავეებსაც ეხმარება. თავადაც გაუშინაურდა ხალიჩას. არაერთხელ იასპარეზა ვეტერან სამბისტთა ტურნირებში. ხუთჯერ - მსოფლიოს და ორჯერ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ერთხელ პანამერიკული თამაშები მოიგო. 2000 წელს მალტიდან ორი ოქროს მედალი წამოიღო - ვეტერან სამბისტთა და მცირერიცხოვანი ქვეყნების მსოფლიოს ჩემპიონატებიდან.

- წარმატებებს ქართულ ჭიდაობას ვუმადლი. ის არის ქართველი კაცის ბუნების, მისი შეუპოვრობის, გამარჯვების უდიდესი სურვილისა და მოწინააღმდეგის დამარცხების ყველაზე ლამაზად გამოხატვის ფორმა. რომ არა ქართული ჭიდაობა, ჩვენს ლეგენდად ქცეულ ფალავნებს, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, ალბათ, გაუჭირდებოდათ დიდების მწვერვალზე ასვლა და მსოფლიო სპორტის ისტორიაში დაუვიწყარი ეპოქის შექმნა.

**- ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რას გააკეთებთ?**

- საქმეს რა გამოლევს. თანამოაზრეებთან ერთად განზრახული მაქვს უპირველესად ქართულ სოფლებში უწინდელი ტრადიციების აღდგენა. ქვეყნის პრეზიდენტის სპეციალური განკარგულების მიუხედავად, ბევრგან ისევ კეთილმოუწყობელია ღია საჭიდაო მოედნები. არადა, მახსოვს ჩემი ჭაბუკობისას ხოვლეს სარბიელზე ყოველ შაბათ-კვირას საპაექროდ საიდან არ ჩამოდიოდნენ ჯანმაგარი ბიჭები. დღეს კი ადგილობრივებსაც იშვიათად ნახავთ ნახერხში ამოგანგლულებს. დროება შეიცვალა. სამუშაოდ სხვა ფორმები და მეთოდებია საჭირო. ერთი რამ უეჭველია - უპირველესად ტრადიციების მქონე სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში უნდა აღდგეს სექციები, რომელთა ხელმძღვანელებად ქართული ჭიდაობისთვის გულანთებული პროფესიონალები უნდა დავნიშნოთ; მოვამარაგოთ ისინი ლეიბებით, ხალიჩებით, ჩოხებით, ერთი. სიტყვით - სპორტული აღჭურვილობით. ერთ დროს იყო ამაზე ლაპარაკი და იქნებ ისევ ვთხოვოთ განათლების სამინისტროს, რომ ქართული ჭიდაობა ფიზიკური აღზრდის პროგრამაში შეიტანოს. ასადგენია წოდებები, მათ შორის - სპორტის დამსახურებული ოსტატისა. საამისო დებულებას სპორტის დეპარტამენტს წარვუდგენთ განსახილველად. ალბათ, მხარს დაგვიჭერენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული ჭიდაობა საერთაშორისო სარბიელზე უნდა გავიტანოთ. რით ვართ შუააზიელებზე, ყაზახებსა თუ უკრაინელებზე ნაკლები?!

**- ყოველივე ამას სოლიდური თანხები სჭირდება.**

- გეთანხმებით. დღესაც ბევრი რამ კეთდება სპორტის ამ ლამაზი სახეობის კეთილდღეობისთვის, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი სახსრები საქმეს ვერ შველის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სპორტის დეპარტამენტს და პირადად მის თავკაცს ბატონ დავით ნამგალაურს, რომელმაც ყველაფერი იღონა, რათა წლევანდელი ფალავნობა არ ჩაშლილიყო. ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გაზეთმა „ლელომ", რომელმაც პირველმა შემოჰკრა განგაშის ზარი ფალავნობის ტურნირის გადასარჩენად.

ყოველივე ზემოთ თქმული დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ეროვნული საუნჯის ასაღორძინებლად სათანადო სახსრები თუ არ გვექნება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული და ჩემი მცირე ბიზნესის შემოსავალი მიზნის ასრულებას ვერ გასწვდება. მჯერა, თანამოაზრეები დაგვეხმარებიან, თუმცა ყველაზე მეტად, ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის გვეიმედება. ამას წინათ ბატონ ბიძინას ღია წერილით მივმართე. პიროვნება, რომელიც უჩუმრად აკეთებს საშვილიშვილო საქმეებს, აშენებს სპორტულ ობიექტებს და უანგაროდ ეხმარება ათლეტებს, რომელმაც იცის ეროვნული საუნჯის ფასი, ქართულ ჭიდაობასაც გვერდით დაუდგება. ვისარგებლებ შემთხვევით და გაზეთ „ლელოს" მეშვეობით, ბატონო ბიძინა, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით. ვიმედოვნებთ, რომ თქვენთვის ჩვეულ გულისხმიერებას გამოიჩენთ და ქართული ჭიდაობის აღორძინებაშიც საკუთარ წვლილს შეიტანთ, რითაც ამ სახეობის ქომაგებს უდიდეს სიხარულს მიანიჭებთ. გვერწმუნეთ, არც ფალავნები დავრჩებით ვალში.

ვაჟა დანელია




მძლეოსნობა

მაია აზარაშვილის პრიზი



მაია აზარაშვილი გამარჯვებულებთან

# ჩხოროწყუში 200-მდე ახალგაზრდამ ირბინა

11 ნოემბერს ჩხოროწყუში სეულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსნის - მაია აზარაშვილის სახელობის პრიზის ტრადიციული გათამაშება მოეწყო მძლეოსნურ კროსში, მძლეოსნობის სამხარეო ფედერაციის, ჩხოროწყუს გამგეობის მხარდაჭერით. მონაწილეობდა ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის, ფოთის, მარტვილისა და აბაშის 1990/92, 1993/95 და 1996/97 წლებში დაბადებული 200-მდე სპორტსმენი. ორგანიზატორებს ხელი ამინდმაც შეუწყო და ასპარეზობა უმაღლეს დონეზე ჩატარდა.

გარბენები მოეწყო 500, 600, 1000 და 2000 მეტრზე. გამარჯვებულებს კი პრიზები და ფასიანი საჩუქრები ერგოთ. საერთო მაჩვენებლებში ყველას ზუგდიდმა აჯობა და გუნდური თასი მაია აზარაშვილმა სწორედ მათ გადასცა. წლევანდელი და შარშანდელი შეჯიბრების მასპინძლები (გასულ წელს მარტვილში ჩატარდა) ტელევიზორებით დააჯილდოვა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა – **თამაზ მდინარაძემ,** რომელმაც ტურნირის გახსნაზე აღნიშნა, რომ ტრადიციად ქცეული ეს ასპარეზობა ხელს უწყობს საქართველოში მძლეოსნობის პოპულარიზაციას.

**მაია აზარაშვილი:** „ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, სამეგრელოს რეგიონი ასე რომ აქტიურობს. კარგია, რომ რეგიონალურ ფედერაციას და მის პრეზიდენტს - **რეზო ბუკიას** მხარში ადგილობრივი მთავრობაც უდგას. ტურნირის ორგანიზების დონით ორმაგად კმაყოფილი დავრჩი - როგორც მძლეოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი და როგორც ყოფილი სპორტსმენი.

მომავალ სეზონში გარბენი წალენჯიხაში მოეწყობა. იმედია, სამეგრელოს მაგალითს საქართველოს სხვა მხარეებიც მიჰბაძავენ, რაც მძლეოსნობის პოპულარიზაციას მნიშვნელოვნად წაადგება."

გამარჯვებულები და პრიზიორები. **1990/92 წწ. გოგონები 1000 მ:** 1. თეა ფაცურია (ფოთი), 2. ტანია მოსაია (მარტვილი), 3. ჯუნა ჩახაია (ზუგდიდი); **ბიჭები 2000 მ:** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი), 2. ნიკა შანავა (ზუგდიდი), 3. ლაშა ჯეჯელავა (ხობი). **1993/95 წწ. გოგონები 600 მ:** 1. ლიკა ლოლუა (ფოთი), 2.სალომე სოსელია (ზუგდიდი), 3. მარიამ ქარდავა (წალენჯიხა). **ბიჭები 1000 მ:**1. დენის ჟვანია (ზუგდიდი), 2. ანდრო ბერაია (ზუგდიდი), 3. ბექა ნადარაია (ფოთი). **1996/97 წწ. გოგონები 500 მ:** 1. მარიამ გადელია (ზუგდიდი) 2. მონიკა შეროზია (წალენჯიხა), 3. მარიამ ბუკია (ფოთი). **ბიჭები 600 მ:** 1 ნიკა რურუა (მარტვილი), 2. გიორგი ბუკია (ზუგდიდი), 3. ლევან ვეკუა (ზუგდიდი). **გუნდური:** 1. ზუგდიდი 2. ფოთი 3. მარტვილი.

გიორგი ჭანიშვილი

ჩხოროწყუდან

ველოსპორტი

საგვარეულო ტრადიცია

# ნიჭიერი სპორტსმენი კარზე აკაკუნებს

18 წლის **დავით ასკურავა** სასიამოვნოდ გვაოცებს. ნიჭიერი ველოსიპედისტის პროგრესი აშკარაა – წინა ტურნირებზეც კარგი შედეგები ჰქონდა, მანჩესტერში გამართულ მსოფლიო თასის პირველ ტურში კი უფრო მაღალ დონეზე იასპარეზა და 22 მონაწილეს შორის მე-13 ადგილი დაიკავა.

დიდი ხანი არაა, რაც დათო იუნიორებიდან მოზრდილებში გადავიდა. იგი თვალსა და ხელს შუა პროგრესირებს და თუ ხელშეწყობა ექნება, ლონდონის ოლიმპიადაზე მოსახვედრად სერიოზულ პრეტენზიას განაცხადებს. იმედია, მისი ნიჭი უქმად არ დაიკარგება და სათანადო მომზადებისთვის საჭირო სახსრები დროულად გამოიყოფა. დღემდე მხოლოდ ოჯახის დაფინანსებით ვარჯიშობს და მგზავრობს. იგი ცნობილი სახალხო მკურნალის, წარსულში გამორჩეული ველოსიპედისტის, **ბიჭიკო ასკურავას** შვილიშვილია.

ისევ და ისევ უსახსრობის გამო, ქართველთაგან მანჩესტერში მხოლოდ დათომ იასპარეზა, მას მწვრთნელი **როდიკო მეიშვილი** ახლდა. ტრეკზე ადგილიდან 1 კილომეტრზე რბოლაში 1,06,6 წუთი აჩვენა, რაც საქართველოს ისტორიაში მეორე შედეგია. საუკეთესო მიღწევა– 1,05,5 წუთი, გასული საუკუნის 80-იან წლებში, სსრკ-ის ნაკრებში ასპარეზობისას **ოთარ მჭედლიშვილმა** დააფიქსირა.

დიდებში გადასვლამდე, დათოს იუნიორებშიც საკმაო წარმატებები ჰქონდა. უასპარეზია რუსეთისა და უკრაინის ღია პირველობებზე. უკრაინაში სულაც პირველი ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ, დაფინანსების არქონის გამო, ნიჭიერ სპორტსმენს მსოფლიო თასის მეორე ეტაპი გაუცდება, რომელიც კოლუმბიაში ან ავსტრალიაში გაიმართება.

კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს კარგ პირობებში მისი მომზადების აუცილებლობას. თბილისში დახურული ველოტრეკი არაა. ღია ცის ქვეშ ვარჯიში კი მეტისმეტად სახიფათოა, რადგან მცირე ნიავის ამოვარდნამაც შეიძლება ტრეკის ველოსიპედის წონასწორობის დაკარგვა და სპორტსმენის მძიმედ დაშავება გამოიწვიოს. თანაც, ამის ალბათობა ერთიორად მეტია თბილისის ძველისძველ ველოტრეკზე, რომელიც საუკუნეზე მეტი ხნისაა და დღეს, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაშია. მეტი სავარჯიშო ადგილი კი დათო ასკურავასა და სხვა ქართველ ველოსიპედისტებს არ გააჩნიათ.

*"მთელი მონდომებით ვვარჯიშობ და მომავალშიც ბევრს ვიშრომებ. ვგრძნობ, რომ კიდევ უფრო დიდი წარმატების მიღწევა შემიძლია და საამისოდ თავს არ დავზოგავ", - ამბობს დათო.*

*"ველოსპორტში ვარჯიში მე ვურჩიე. მომავალში იგი ჩემს საქმიანობას განაგრძობს და ხალხს განკურნავს, მანამდე კი სპორტში უნდა მიაღწიოს დიდ შედეგებს. მჯერა, აქაც და მედიცინაშიც გამორჩეული ადამიანი იქნება. რაც მთავარია, დათო თავმდაბალი და შრომისმოყვარე ბიჭია, ეს კი, დამეთანხმებით, ცხოვრებაში უმთავრესია", - ეს ბიჭიკო ასკურავას სიტყვებია.*

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერები

# სანიკიძე როკის სნაიპერია, ცინცაძე ვიცე-სნაიპერი



ესტონეთის ჩემპიონატში მესამე მატჩი გამართა **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკმა". ქართველების ზუსტი თამაშის წყალობით "როკერებმა" სტუმრად "კურემა" დაამარცხეს – 87:72.

შეხვედრის საწყისმა 30 წუთმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, გადამწყვეტ პერიოდში კი ტარტუელებმა უფრო ზუსტად ისროლეს – 26:15.

როცა სროლის სიზუსტეს ვახსენებთ, ვიქტორ სანიკიძე არ უნდა დაგვავიწყდეს. იგი, მართალია, სათადარიგო იყო და 23 წუთი ითამაშა, მატჩის სნაიპერობისთვის ეს დროც საკმარისი აღმოჩნდა – 18 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 7 ორქულიანი ისროლა და შვიდივე კალათში მოათავსა, რასაც 1 სამიანი (3 მცდელობიდან) და ამდენივე საჯარიმო მიამატა (4-დან).

ალბათ, არ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვით, რომ ვიცე-სნაიპერი მეორე ქართველი გიორგი ცინცაძე გახდა. მან 14 ქულა ჩააგდო (5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი), რასაც 7 შედეგიანი გადაცემა და 3 მოხსნა წაუმატა.

"ტარტუ როკს" ესტონეთის ჩემპიონატში სამი მატჩიდან ყველა მოგებული აქვს, თუმცა საბოლოო ქულობრივი მაჩვენებლით "კალევს" ბევრად ჩამორჩება – ტალინელებს 8-დან 8 მატჩი აქვთ მოგებული.

"როკი" მორიგ მატჩს 15 ნოემბერს ჩაატარებს – ბალტიის ლიგაზე ლატვიის "ვენტსპილსს" უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ზაზამ ხარი წამოაქცია

## ფაჩულიას სარეკორდო 12 და ატლანტის მეექვსე გამარჯვება

NBA-ს მიმდინარე გათამაშებაში სენსაციურ სვლას განაგრძობს **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსი". ჯორჯიელებმა ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩი მოიგეს და სატურნირო ცხრილის სათავეში ადგილი გაიმყარეს - 6:0. 6 მატჩში ამდენივე მოგებით "ჰოქსი" აღმოსავლეთის კონფერენციაში უპირობო ლიდერია. დასავლეთისაში კი წაუგებელია "ლოს ანჯელეს ლეიკერსი". მასაც 6 მოგება აქვს. სწორედ ზაზამ უნდა თქვას – აღმოსავლეთში მე ვარ, დასავლეთში **კობი ბრაიანტიო.** ნაპოლეონის სიტყვების გამოყენება შეიძლება ვინმეს გადამეტებულად მოეჩვენოს, მაგრამ დავამატებთ: ისევე როგორც "ფილადელფიასთან", გუშინ "ჩიკაგოსთანაც" "ატლანტის" გამარჯვებაში ლომის წილი ზაზა ფაჩულიას მიუძღვის.

მან შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით, თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ზაზამ ჩიკაგოში "ხარების" წინააღმდეგ მიმდინარე სეზონში სარეკორდო, 26



წუთი ითამაშა და NBA-ს ახალ ჩემპიონატში პირველად გადალახა 10-ქულიანი ბარიერი. ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და 12 ქულას გამორჩა. შეტევაში იგი მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა – თანაგუნდელებს 3 შედეგიანი პასი გაუკეთა. იგი დაცვაშიც ღირებული გახლდათ – 8 მოხსნიდან 7 დაცვითი იყო.

მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ქართველი ცენტრი საწყის სამ პერიოდში სრულად დატვირთა, ხოლო მეოთხე თორმეტწუთეულში მოედანზე აღარ გაუყვანია. არ ვამბობთ, რომ ზაზას არყოფნის გამო მოხდა, მაგრამ "ჩიკაგომ" ბოლო რაუნდში 10-ქულიანი ჩამორჩენა ორამდე დაიყვანა (83:85), თუმცა **მაიკ ბიბის** ორი სამქულიანის წყალობით "ატლანტამ" სხვაობას კვლავ სოლიდური სახე მისცა და საბოლოოდ 113:108 გაიმარჯვა.

ზაზა ფაჩულიას თანაამპლუელმა **ელ ჰორფორდმა** (რომელიც ზაზას სასტარტოში გამოჩენის შემდეგ მძიმე ფორვარდად გადავიდა) სწორედ გუშინ გაამართლა ერთი თვის წინ ნათქვამი: "როცა მოედანზე ჩემ გვერდით ზაზა ფაჩულიაა, შედარებით თავისუფლად ვარ, ფარქვეშეთს თავს ვაღწევ და პერიმეტრზეც თამამად გავდივარ. შესაბამისად, შედეგიანობაც იზრდება."

"ბულსთან" ჰორფორდმა კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა – 27 ქულას 17 მოხსნა შეუწყვილა. მაიკ ბიბი 22 ქულას გამორჩა, ხოლო **ჯო ჯონსონი** – 17-ს.

ჩიკაგოელთა მხრიდან საუკეთესო **როუზი** იყო – 26 ქულა.

"ჰოქსი" მომდევნო შეხვედრასაც სტუმრად გამართავს. მომავალ თამაშზე გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტმა აზრის გამოთქმა ზაზა ფაჩულიას სთხოვა:

*„ძალიან მინდა იმ მოედანზე ერთი მატჩი მაინც მოვიგო. ვიცი, რომ ამის მიღწევა ნლეულსაც გაგვიჭირდება, რადგან მატოქეს ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ გამარჯვების იმედი მაინც მაქვს. 12 ნოემბერს ჩვენი მოგება მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელი ამბავი იქნება".*

კალათბურთში ჩახედული გულშემატკივარი მიხვდებოდა, რომ ზაზა ფაჩულია "ბოსტონთან" მომავალ დაპირისპირებაზე ლაპარაკობდა. "სელტიქსი" "ჰოქსს" დღეს, გამთენიისას უმასპინძლებდა. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში, პლეი ოფში "ატლანტამ" "ბოსტონთან" 3:4 დათმო. "სელტიქსმა" ოთხივე საშინაო შეხვედრა მოიგო.

**ფაჩულიას მონაგარი**

26 წუთი: 12 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი, 2 ფოლი

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 9:34 | ორქულიანი: 2 ქ (4:4) |
| 8:25 | პასი 1 (ჰორფორდი 2 ქ, 10:6) |
| 7:02 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 6:38 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 5:03 | ორქულიანი: 4 ქ (14:13) |
| 2:33 | საჯარიმოები 1+1, 6 ქ (22:15) |
| 1:55 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 7:09 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 6:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 5:43 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 3:16 | ჩატენვა: 8ქ (47:47) |
| 2:38 | ორქულიანი: 10 ქ (49:47) |
| 2:26 | ფოლი: 1 |
| 2:25 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 0:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 0:38 | ფოლი: 2 |
| 0:38 | ზაზა მიურეიმ შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 9:13 | საჯარიმოები: 12 ქ (63:55) |
| 8:50 | პასი: 2 (ბიბი 2ქ, 65:57) |
| 8:33 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |
| 8:14 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:20 | ზაზა ევანსმა შეცვალა |
| 3:42 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 3:11 | პასი: 3 (უილიამსი 2ქ, 77:65) |
| 2:52 | მოხსნა: შეტ-1, დაც-7 |
| 0:08 | ზაზა ლოუმ შეცვალა. |

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატები

# დვალიშვილის 35 ქულა და 24 მოხსნა

გასულ კვირას საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატების შედეგები გაგაცანით. იმავეს დღეს გავიმეორებთ და ამიერიდან ყოველ კვირას შემოგთავაზებთ სტატისტიკურ ინფორმაციებს ახალგაზრდების შესახებ. განვლილი 7 დღის განმავლობაში საქართველოს 18-წლამდელთა პირველობაზე გაიმართა 4 მატჩი (ერთი ტურის ყველა შეხვედრა ჩატარდა), ხოლო 20-წლამდელებში კი მხოლოდ ერთი შეხვედრა შედგა.

**18–წლამდელთა ჩემპიონატი**

6 ნოემბერი. აკადემიის დარბაზი

**ნაკრები93–მართვე 68:77**

ნაკრები 93: ფხაკაძე (14), ფეიქრიშვილი (14), გულმაგარაშვილი (11)

მართვე: ტეტელაშვილი (21), ჭოხონელიძე (16), ძიძიაშვილი (13)

8 ნოემბერი. აკადემიის დარბაზი

**ენერჯი–აკადემია 46:56**

ენერჯი: გურაბანიძე (13), მაღრაძე (11)

აკადემია: ბოქოლიშვილი (23), ჯავახიშვილი (11 ქულა, 11 მოხსნა)

**მართვე2–რუსთავი 78:83**

მართვე 2: ჭიჭვეიშვილი (25), გლოველი (21), ლომაური (4 ქულა, 12 მოხსნა)

რუსთავი: დვალიშვილი (35 ქულა, 24 მოხსნა), არაბული (12), გურული (12)

8 ნოემბერი. ქუთაისი

**ქუთაისი–სამედიცინო 82:68**

ქუთაისი: ტუკვაძე (23), ბერბერაძე (18), ქორიძე (17 ქულა, 12 მოხსნა)

სამედიცინო: ლეჟავა (19), ჩქარეული (16), ბექაური (16 ქულა, 10 მოხსნა)

ჭაბუკთა ჩემპიონატს ძირითადად აკადემიის დარბაზი მასპინძლობს, სადაც გასულ შაბათს 2 მატჩი გაიმართა. „ენერჯი–ინვესტმა", რომელიც ამავე სახელწოდების სუპერლიგის რუსთაული კლუბისგან განსხვავებით, თბილისური გუნდია, „აკადემიასთან" დათმო შეხვედრა. აკადემიელებს ულიდერა **მერაბ ბოქოლიშვილმა,** რომელიც 20–წლამდელებშიც თამაშობს და თან სუპერლიგური სასოფლო–სამეურნეო უნივერსიტეტის გუნდის წევრიცაა.

მეორე მატჩში რუსთაველებმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს „მართვე 2". ამ შეხვედრაში გამოსარჩევია **აკაკი დვალიშვილის** ჩინებული გარჯა, ვინაც 35 ქულასთან ერთად 24 მოხსნა მიითვალა.

მეორე ტურის პირველი შეხვედრა კი ხუთშაბათს გაიმართა. ჩემპიონატში უკონკურსოდ მოთამაშე 1993–წლიანთა ნაკრები "მართვესთან" დამარცხდა.

ტურის ბოლო მატჩს ქუთაისმა უმასპინძლა, სადაც „სამედიცინო" ჩავიდა და თავიდან მასპინძლებს სჯაბნიდა კიდეც. მეორე ტაიმიდან ქუთაისელებმა მიზანი გაისწორეს და როცა ფარზეც გამაგრდნენ, „სამედიცინო" წასაგებად გაიწირა.

**20–წლამდელთა ჩემპიონატი**

7 ნოემბერი. ქუთაისი

**ქუთაისი–აკადემია 71:84**

ქუთაისი: კანდელაკი (20), ქორიძე (18)

აკადემია: ბოქოლიშვილი (17), ჯავახიშვილი (15), სალინაძე (12)

ამ შეხვედრას კოხტა და გაბრწყინებულმა ქუთაისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. ეს ისეთი კარგი დარბაზია, საცოდაობაა, ქალაქს ამგვარი არენა ჰქონდეს და საკალათბურთო გუნდი არ ჰყავდეს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ქუთაისელებმა სულ ბოლო მომენტში გადაწყვიტეს საქართველოს 20–წლამდელთა ჩემპიონატში თამაში, ხოლო დიდების გუნდი ამ ქალაქში კარგა ხანია, აღარ ჰყოლიათ.

ასეა თუ ისე, ქუთაისში სტუმრობა და თამაში ერთი სიამოვნებაა ნებისმიერი გუნდისთვის. ქალაქის შესასვლელშივე მდებარე სპორტის სასახლეში ერთობ მყუდრო და კეთილმოწყობილი გარემოა, თუმცა მხოლოდ არენა რომ წარმატებისთვის არ კმარა, ქუთაისელების "აკადემიასთან" მატჩმაც გამოაჩინა.

**მერაბ სვანიძის** განვრთნილი ქუთათურები თავიდანვე დიდი სხვაობით ჩამორჩნენ. მასპინძლები ერთხანს 25 ქულითაც კი აგებდნენ, თუმცა მეორე ტაიმში მოინადინეს და სხვაობის 10 ქულამდე შემცირებაც შესძლეს, მაგრამ მატჩის შემოსატრიალებლად არც დრო ეყოთ და არც ძალა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

სუმო

ნოემბრის ბაშო

# მეასე მოგება ჩემპიონის წინააღმდეგ?

პირველად ნოემბრის ბაშოზე ელიტის ორივე ქართველმა სუმოისტმა გამარჯვება მოიპოვა - ტურნირის მეოთხე დღეს **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** იმარჯვეს. კოკაისთვის ეს მესამე მოგებაა (3-1), მან აქამდე დაუმარცხებელ მე-12 მაეგაშირა იოშიკაძეს აჯობა **ჰატაკიკომის** ილეთით. მეტოქის შემოტევისას, კოკაი მას გაეცალა და **იოშიკაძემაც** წონასწორობა დაკარგა. დღეს 27 წლის ქართველს მონღოლ **კიოკუტენჰოსთან** (3-1) ელის ორთაბრძოლა, რომელიც მე-6 მაეგაშირაა. 34 წლის კიოკუტენჰო ერთ დროს სეკივაკე ყოფილა, კოკაი მასთან მეგობრობს.

ლევან გორგაძემ პირველი გამარჯვება იზეიმა, მე-4 მაეგაშირას რანგში ამაღლებულ 21 წლის სუმოისტს გაუჭირდა ბაშოს სტარტზე, რადგან მისი მეტოქეები გაცილებით მაღალი რანგისა არიან, ვიდრე ეს ადრე იყო. ტოჩინოშინმა გუშინ მე-8 მაეგაშირა **კაკიძოეს** იორიკირის ილეთით მოუგო, სწორედ ამ ილეთით წააგო ქართველმა წინა სამი ორთაბრძოლა – 1-3. ტოჩინოშინმა მარცხენა ხელით დოჰიოს კიდემდე გაიყვანა მეტოქე, შემდეგ მისი მავაში იგდო ხელთ და ექსკომუსუბი რკალიდან გააგდო. სხვათა შორის, ეს ჩვენებურის 99-ე გამარჯვება იყო კარიერაში. დღეს მეასეს ველით, მაგრამ მისი მიღწევა ძალიან ძნელი იქნება – ტოჩინოშინის პირისპირ ოძეკი **კოტოოშუ** დადგება, ორმეტრიანი (203 სმ) ბულგარელი გულივერი. კარიერაში ჩვენებური პირველად შეხვდება მოქმედ ოძეკის (ჩემპიონს).

ბაშოზე „მატადორ" **ამინიშიკის** გმირობები დასრულდა, დიდი ჩემპიონის და ორი ჩემპიონის მძლეველი სუმოისტი გუშინ ესტონელ **ბარუტოსთან** დამარცხდა. წააგო აქამდე სამი ჩემპიონის მძლეველმა ვეტერანმა **ვაკანოსატომაც.** ვაკანოსატო დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** წააქცია. ბაშოზე დაუმარცხებელი მხოლოდ სამი რიკიშია. ტურნირს კი ადგილობრივი პუბლიკის გმირი, **კაიო** გამოაკლდა, ოძეკი ტრავმით ქიდაობდა, რადგან მშობლიურ კიუშუზე ფანების განბილება არ სურდა, მაგრამ მდგომარეობა გაურთულდა და ბაშოს დაემშვიდობა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

IV დღე. მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: ტოჩინოშინი (მ 4)-კაკიძოე (მ 8) 1:0 (იორიკირი); კოკაი (მ 11)-იოშიკაძე (მ 12) 1:0 (ჰატაკიკომი).

**სატურნირო მდგომარეობა.** 4-0: დეჯიმა (მაეგაშირა 4); მიაბიამა (მ 7); ტოკიტენკუ (მ 9). 3-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა); კოტომიცუკი (ოძეკი); ამინიშიკი (კომუსუბი); ტოიონოშიმა (მ 1); ვაკანოსატო (მ 2); კოტოშოგიკუ (მ 3); კისენოსატო (მ 4); კიოკუტენჰო (მ 6); იოშიკაძე (მ 12); ტაკამისაკარი (მ 14); ტოსანოუმი (მ 16)... 1-3: ტოჩინოშინი (მ 4).

V დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი (მ 4)-კოტოოშუ (ო); კოკაი (მ 11)-კიოკუტენჰო (მ 6); ჰაკუჰო (ი)-ჰოკუტორიკი (მ 3); კოტომიცუკი (ო)-ტოიონოშიმა (მ 1); ჩიოტაიკაი (ო)-გოეიდო (კ); ამა (ს)-ფუტენო (მ 1); ბარუტო (ს)-ვაკანოსატო (მ 2); ამინიშიკი (კ)-კოტოშოგიკუ (მ 3); კისენოსატო (მ 4)-კაკიძოე (მ 8); დეჯიმა (მ 5)-არანი (მ 10).

# ელისის გამოვარდა

წლევანდელ ევროტურნირებს ერთმანეთის მიყოლებით გამოეთიშნენ რუსთავის "ენერჯი", **ცინცაძე-სანიკიძის** "როკი", **მარკოიშვილის** "კიევი" და... ბოლო იმედი **ტაირონ ელისის** "კახასოლმა" გაგვიცრუა. სევილიელებმა ევროთასზე რიგის ასკ-ს უმასპინძლეს, ოდენ 14-ქულიანი სხვაობა ჰქონდათ აღმოსაფხვრელი, მაგრამ მოგებას ვინ ჩივის – ასკ-მ სტუმრად 68:65 იმარჯვა.

საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა ტაირონ ელისმა გუნდს ხელი სათანადოდ ვერ შეაშველა – 23 წუთში 5 ქულა, 4 მოხსნა და 2 ჩაქრა მოაგროვა.

კრივი

# ჭანტურია კიევში იჩხუბებს



ვლადიმერ ჭანტურია

15 ნოემბერს კიევის სპორტის სასახლე პროფესიულ კრივში ორ სარეიტინგო მატჩს უმასპინძლებს. მომეტებულ ინტერესს საკონტინენტთაშორისო ქამრისთვის ორთაბრძოლა იწვევს, რომელშიც ესპანელი **ალექსანდრო ლეკეტუში** შეეცდება, უკრაინელ **ვიაჩესლავ უზელკოვს** ჩამოართვას ტიტული. უზელკოვი-ლეკეტუშის შეხვედრა მსოფლიო კრივის ასოციაციის (WBA) ეგიდით იმართება. დაგეგმილია 12 რაუნდი. მთავარი ბრძოლის წინ, რინგზე ქართველი მძიმეწონოსანი **ვლადიმერ ჭანტურია** და უკრაინელი **ვლადიმირ ლაზებნიკი** ავლენ. ორივე მოკრივე დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე. ჭანტურიამ 12 ორთაბრძოლიდან 12 მოიგო, ლაზებნიაკმა კი – 13-დან 13. ვლადიმერ ჭანტურია 30 წლისაა, ის სიდნეის ოლიმპიადის (2000) ბრინჯაოს პრიზიორია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ფხაკაძემაც დაასრულა

ლივერპულში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი ქართველთათვის დასრულებულია. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **კობა ფხაკაძე**, რომელმაც მერვედფინალში სომეხ **არ. პულუზიანს** მინიმალურად სძლია, მეოთხედფინალში უნგრელ **მიკლოშ ვარგასთან** დამარცხდა. ეს ბრძოლაც დაძაბულად წარიმართა და უნგრელმა მცირედი სხვაობით, 8:6 გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, 81 კილოგრამში **რევაზ ქარელიშვილი** პირველსავე წრიდან გამოვარდა, კახა ჟვანია და ლევან ლვამიჩავა კი ბრიტანეთის საელჩომ თავის ქვეყანაში არ შეუშვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჩოგბურთი



ალექსანდრე მეტრეველი

# მომავალი ხვალის

ჩოგბურთის ევროპულმა ასოციაციამ კონტინენტის ყველა ასაკობრივ ჯგუფში საბოლოო რეიტინგ-ლისტი გამოაქვეყნა. საინტერესოა, ვინ მოდის მომავლიდან, ვისი იმედი უნდა ჰქონდეთ ქართველ გულშემატკივრებს უახლოეს 5-10 წელიწადში.

მაშ ასე, 16-წლამდელ ჭაბუკთა წლის საბოლოო კლასიფიკაცია: სეზონის ბოლოს ქართველებში ყველაზე მეტი ქულა **ალექსანდრე მეტრეველ** უმცროსს დაუგროვდა, - დიდი ქართველი ჩოგბურთელის შვილიშვილს. მეტრეველმა წლეულს ბედი 18-წლამდელთა ასაკშიც (რომელსაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია კურირებს) სცადა და დიდებშიც, თუმცა მისი მთავარი საასპარეზო ჯერჯერობით 16-წლამდელთა ტურნირებია – ალექსანდრე მეტრეველი 15 წლისაა. ქართველს 220 ქულა აქვს, მან კონტინენტზე 42-ე ჩოგნად ჩაამთავრა სეზონი. ამდენივე ქულა აქვს 15 წლის **გიორგი ცივაძეს**, რომელიც 45-ე პოზიციაზე ასრულებს სეზონს. მათი თანატოლი **დავით ხუციშვილი** 175 ქულით 70-ე პოზიციაზეა. სიაში ბევრი ქართველია, მაგრამ, ბუნებრივია, ყველას ვერ ვახსენებთ – ამ შემთხვევაში, პირველი სამეულით შემოვიფარგლებით. 16-წლამდელ გოგონებში ყველაზე წარმატებული 15 წლის **სალომე კვიტაშვილია** – 200 ქულა, 41-ე პოზიცია. 14 წლის **თამარ კომახიძე** 190 ქულით 54-ე ადგილზეა. მისი თანატოლი **ნინო სუჯაშვილი** – 185 ქულით 58-ეა.

უფრო რთულად გვაქვს საქმე 14-წლამდელებში: ბიჭებში საუკეთესო ქართველი **ნიკა დოლიძე** 135 ქულით 153-ე პოზიციაზეა. გოგონებში **ბარბარე ერისთავი** 142 ქულით 147-ეა. ბარბარე 13 წლისაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# პირველი წრე დაძლეულია



ანა ტატიშვილი

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. WTA-ს სეზონის დასრულების გამო, ეს შეჯიბრება კვირის მთავარი მოვლენაა ქალთა ჩოგბურთში. სან-დიეგოში ჩვენი თანამემამულე, **ანა ტატიშვილი** (168) მე-6 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში ანა ამერიკელთა ამომავალ ვარსკვლავს, **ნიკოლ ჯიბსს** ხვდებოდა. ჯიბსი ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, ის მსოფლიოს 522-ე ჩოგანია და სან-დიეგოს ტურნირზე „უაილდ ქარდის" წყალობით მოხვდა. ანამ 3 წლით უმცროს მეტოქეს სამ სეტში მოუგო და მერვედფინალში გავიდა – 6:4, 4:6, 6:4.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი

რაგბი. შოტლანდია A-საქართველო, 14 ნოემბერი

# შოტლანდია ოთხი ლეგიონერით გაძლიერდა

ხვალ თბილისის დროით 22 საათზე, შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ამ ქვეყნის A ნაკრებს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსნები ედინბურგში 10 ნოემბერს ჩავიდნენ და სამატჩოდ იქვე ემზადებიან. ბორჯღალოსანთა რიგებს კიდევ ორი მორაგბე დააკლდა - „მეტრო რასინგის" მესამეხაზელი **გიორგი ჩხაიძე** და „აჟენის" შერკინების ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი**. ამ უკანასკნელს „ყოჩების" მოთამაშე **კარლენ ასეიშვილი** შეცვლის.

ამასობაში სქოთების მწვრთნელთა სტაფმაც ნაკრების 26-კაციანი სია გამოაქვეყნა. გუნდში ძირითადად ორი შოტლანდიური კლუბის - „გლაზგო ვორიორზისა" და „ედინბურგის" მორაგბეები არიან. ნაკრებში გამოძახებულია ასევე ოთხი ლეგიონერიც: **ფილ ფიცჯერალდი** (ტულონი, საფ), **რობ დევეი** (ალსტერი, ირლ), **გორდონ როსი** (სარასენსი, ინგ) და **ნიკი უოლკერი** (ოსფრიზი, ინგ).

შოტლანდიის A ნაკრები: შერკინება: ჯონი ბეტი (გლაზგო), კელი ბრაუნი (გლაზგო), ჯოფ კროსი (ედინბურგი), ფილ ფიცჯერალდი (ტულონი), კრეიგ ჰამილტონი (ედინბურგი), ედ კალმანი (გლაზგო), ალისტერ კელოკი (გლაზგო), ენდრიუ კელი (ედუნბურგი), გავინ კერი (ედინბურგი), მორაი ლოუ (გლაზგო), ალან მაკდონალდი (ედინბურგი), სკოტ ნიულანდსი (ედინბურგი), დან ტერნერი (გლაზგო), რიჩი ვერნონი (გლაზგო).

უკანა ხაზი: დევიდ ბლერი (ედინბურგი), რობ დევეი (ალსტერი), მაქს ევანსი (გლაზგო), კოლინ გრეგორი (გლაზგო), ენდრიუ ჰენდერსონი (გლაზგო), რუარიდ ჯექსონი (გლაზგო), კალუმ მაკრეი (ედინბურგი), მარკ მაკმილანი (გლაზგო), მარკ რობერტსონი (ედინბურგი), გორდონ როსი (სარასენსი), ენდრიუ ტარნბალი (ედინბურგი), ნიკი უოლკერი (ოსფრიზი).

საქართველოს ნაკრები: შერკინება: დავით გასვიანი (ბობინი), კარლენ ასეიშვილი (ყოჩები), გურამ კავთიძე (ლიონი), ვასილ კაკოვინი (ყოჩები), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), დავით დადუნაშვილი (მასი), კახა უჩავა (ფარული), ილია ზედგინიძე (ექსი), შალვა სუთიაშვილი (მასი), სიმონ მაისურაძე (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (მორლაა), რატი ურუშაძე (ენისეი), ბესო უდესიანი (შალონი).

უკანა ხაზი: ოთარ ბარკალაია (ანდორა), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (აჟენი), გიორგი შკინინი (ხულიგანა), სანდრო თოდუა (ლელო), ლაშა ხმალაძე (ლელო), დავით კაჭარავა, ლაშა მალაღურაძე (ყოჩები), მერაბ კვირიკაშვილი (მასი), ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ფარული).

მხატვრული ტანვარჯიში

# მხატვრული ტანვარჯიში ძალებს იკრებს

ერთწლიანი ტაიმ-აუტის შემდეგ, საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტის და თბილისის მერიის მხარდაჭერით, მხატვრულ ტანვარჯიშში, იუნიორებსა და სენიორებში საქართველოს პირველობა გაიმართა. ამჯერად თბილისის, რუსთავისა და ბათუმის 37 ტანმოვარჯიშე, ერთმანეთს ბათუმის სასპორტო სკოლაში ეჯიბრებოდა. ტურნირი 1996-97 წელს დაბადებულმა ბავშვებმა საჩვენებელი გამოსვლით გახსნეს. გამარჯვებულები მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრებიან, მეორე-მესამე ადგილოსნები - ევროპის ჩემპიონატზე.

სპორტის ამ სახეობაში შექმნილ პრობლემებზე გვესაუბრა საქართველოს ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი, ბატონი **კობა სვინტრაძე**: — *"ძირითადად სამი მიმართულებით ვაპირებთ მუშაობას, პირველი მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა და სავარჯიშო დარბაზებში შესაბამისი პირობების შექმნა; მეორე - მხატვრულ ტანვარჯიშში ჯგუფური ვარჯიშების აღდგენა და დაფინანსება ოლიმპიურ ლიცენზიებზე ორიენტირებით; მესამე - მწვრთნელების ანაზღაურების გაზრდა და პერსპექტიულ ბავშვებზე სტიპენდიების დანიშვნა....*

*ბათუმში ტანვარჯიშის ძლიერი სკოლა იყო, ახლა კი სერიოზული პრობლემები აქვს. ვაპირებთ ფინანსურ დახმარებასთან ერთად თბილისიდან ინვენტარს გაგზავნას, რომელიც კარგ მდგომარეობაშია. აჭარაში ისევ უნდა აღიზარდონ ძლიერი სპორტსმენები. თბილისისთვის შევიძენთ ახალ მოწყობილობებს, რადგან 2009 წლისთვის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას ვგეგმავთ. სწორი აქცენტებით ჩვენ მივაღწევთ შედეგს და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები ცვლილებებს რეალურად იგრძნობენ."*

კარგია, რომ საქართველოს პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში კვლავ გაიმართა. წარსულს უნდა ჩაჰბარდეს ოთხწლიანი შიდა დაპირისპირება, რომელმაც სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო სპორტის ეს სახეობა. მთელი ყურადღება და ენერგია ახლა ტანვარჯიშის განვითარებას და ახალი თაობის ხელშეწყობას უნდა მოხმარდეს.

*"დიდი პაუზა მქონდა, რადგან სამოდელო ბიზნესს გავყევი და თითქმის ერთი წელი არ მივარჯიშია. ეს ჩემთვის თავისებური გაკვეთილი იყო და მივხვდი, რომ შუა გზაში არ უნდა შევწყვიტო საქმე, რომელსაც 13 წელი ვემსახურებოდი. გაისად ევროპის ჩემპიონატზე გამოვალ და აქედანვე ყველაფერს გავაკეთებ, რომ კარგ სპორტულ ფორმაში ვიყო,"* - თქვა **ქეთევან ხატიაშვილმა**.

მომავალ აპრილში, თბილისში დაგეგმილია საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც ჩატარდება ახალი წესებით და სწორედ მაშინ გაირკვევა, თუ ვინ გახდება საქართველოს ნაკრების წევრი.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: **იუნიორები.** 1. ნინო ქურდაძე, 2. ნათია ნაკაიძე, 3. ქეთევან ასიტაშვილი (სამივე-თბილისი); **სენიორები.** 1. მზევინარ სამუკაშვილი, 2. ციცია მკევალი, 3. ქეთევან ხატიაშვილი (სამივე - თბილისი).

**მირანდა მიქაძე**

ჰოკეი

საქართველოს ღია ჩემპიონატი

# ვაჟებში ერევანმა იზაირამა, ქალებში უქიმერიონმა

## საქართველოს 3-3-მა და სომხეთის თითო-თითო გუნდმა იასპარეზა

ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა ვაჟთა და ქალთა საქართველოს ღია ჩემპიონატში ინდურ ჰოკეიში. სტუმრები საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდნენ და ვაჟებში საქართველოს ღია ჩემპიონატის გამარჯვებულებიც გახდნენ. ქალებში კი ქუთაისის „უქიმერიონმა" იპირველა. მართალია, ქართულ ჰოკეიში ბოლო დროს ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მაგრამ სომხებთან მარცხმა დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ სახეობის განსავითარებლად. პირველ რიგში კი არეალი უნდა გაიზარდოს, თორემ მარტო ქუთაისურ-გურული დაპირისპირებებით შორს ვერ წავალთ. როგორც ამბობენ, გაისად გუნდი ბათუმსაც ეყოლება და იქნებ დედაქალაქშიც იფიქრონ ამ სახეობის აღორძინებაზე. თუ ასე მოხდება ჩემპიონატი უფრო საინტერესო იქნება და გუნდებიც მეტ გამოცდილებას შეიძენენ.

ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის პირველობას ერთმანეთს ქუთაისის „უქიმერიონი", ქუთაისის „სპორტსკოლა", ლანჩხუთის „გურია" და ერევნის ნაკრები ეცილებოდნენ. პირველ ტურში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა „უქიმერიონმა" იოლად დაამარცხა „გურია" - 7:0, ერევნის ნაკრებმა კი „სპოტსკოლას" მოუგო - 4:1. სომხებმა მეორე ტურში ლანჩხუთელები დატოვეს მშრალზე - 9:0. მოგება არ გასჭირვებია „უქიმერიონსაც", რომელმაც თანაქალაქელი „სპორტსკოლა" არ დაინდო-9:2. ქუთაისის ახალგაზრდულმა გუნდმა მესამე შეხვედრაც წააგო „გურიასთან" - 5:9 და მესამე ადგილზე გურულები გავიდნენ. გადამწყვეტი მატჩი „უქიმერიონსა" და „ერევანს" შორის გაიმართა. თამაში მართლაც საინტერესო და ემოციებით დატვირთული აღმოჩნდა. გულშემატკივარმაც კარგად იხალისეს, მაგრამ მასპინძლების წაგებამ დასწყვიტა გული. პირველ ტაიმში სტუმრებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს ქუთაისელები და **ზაქარიანისა** და **ავეტისიანის** გოლებით 2:0 დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ „უქიმერიონი" გააქტიურდა და ანგარიშიც გათანაბრდა. ქუთაისელთაგან გოლები **შაკო დვალიშვილმა** და **სოსო სვანიძემ** გაიტანეს. მატჩის დამთავრებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი და ორივე კართან ხიფათი-ხიფათზე იქმნებოდა. ქუთაისელებმა მატჩის დამთავრებამდე 1 წუთით ადრე მოახერხეს გოლის გატანა, მაგრამ სომეხმა მსაჯმა ზონის გარეთ თამაში დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა. საპასუხო შეტევაში სომხების საუკეთესო ჰოკეისტმა **ნვერ ზაქარიანმა** გამარჯვების გოლით ვაჟებს შორის საქართველოს პირველი ღია ჩემპიონატის გამარჯვებული „ერევანი" გახადა.

ქალთა ჩემპიონატშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა. პირველ ტურში „უქიმერიონმა" ჩოხატაურის „ბახმარო" დაამარცხა 5:2, „ერევანმა" კი „გურიას" სძლია - 6:2. ფავორიტებმა მეორე ტურშიც გაიმარჯვეს - ქუთაისელებმა „გურიას" მოუგეს, სომხებმა კი ჩოხატაურელი გოგონები არ დაინდეს - 7:0. ბოლო დღეს, გურულ დაპირისპირებაში „გურიასა" და „ჩოხატაურს" შორის ფრე 1:1 დაფიქსირდა. ტურნირის მთავარი მატჩი კი „უქიმერიონსა" და „ერევანს" შორის გაიმართა. აქაც თავიდან სომხები დაწინაურდნენ 1:0, მაგრამ ქუთაისელმა გოგონებმა მალევე გაათანაბრეს ანგარიში და შემდეგ 4:1 დაწინაურდნენ. მეორე ტაიმში სტუმრებმა სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირეს - 4:3. თუმცა მატჩის ბოლომდე **ფერიდე გელაშვილმა** და **ანჟელა ძნელაძემ** კიდევ ორი ბურთი გაიტანეს, რასაც სომხებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს და ქუთათურებმა ჩემპიონობა დამსახურებულად მოიპოვეს.

ქუთაისის სპორტის მესვეურებმა და ჰოკეის ფედერაციამ ჩემპიონებს თასები და მედლები გადასცეს. ინდივიდუალური პრიზები ჰქონდათ დაწესებული საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტს **კოტე არჩაიას**, აჭარის ფედერაციის პრეზიდენტს **ლევან ფუტკარაძეს** და გურიის ფედარაციის პრეზიდენტს **შალვა ბოლქვაძეს**. ტურნირის საუკეთესო ჰოკეისტებად დასახელდნენ ნვერ ზაქარიანი („ერევანი" - 8 გოლი) და ფერიდე გელაშვილი („უქიმერიონი" - 8 გოლი).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კოვბოები დირკმა დაღუპა



დასავლეთი კონფერენციის საუკეთესო გუნდმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" დაამტკიცა, რომ უიმედო სიტუაციიდან გამოძრომა და გამარჯვების მოპოვება შეუძლია. სამი მეოთხედის განმავლობაში „დალასი" წარმატებით უმკლავდებოდა კალიფორნიელთა იერიშებს, თავად კი შეტევაში ამ სეზონის საკლუბო რეკორდებს ამყარებდა - 35 ქულა პირველ მეოთხედში და 60 - პირველ ნახევარში. მაგრამ ბოლო მეოთხედისთვის უფრო მეტი ძალა „ლეიკერსის" კალათბურთელებს შერჩათ, რომლებმაც ფენომენალური საფინიშო სპურტი განახორციელეს (39:22) და „მავერიქსს" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოუგეს.

მასპინძელთა გუნდს ვერ უშველა **ჯეისონ კიდის** რიგით 101-ე სამმაგმა დუბლმა, **ჯერი სტეკჰაუსის** თავდადებამ, რომელიც არამარტო **კობი ბრაიანტის** წინააღმდეგ იცავდა თავს წარმატებით, თავადაც 16 ქულის დაგროვება მოახერხა. მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა **ერიკ დემპიეს** მიერ შეტევაში გაკეთებული 12 მოხსნა. „კოვბოები" მათმა ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** დაღუპა. გერმანელმა თამაშიდან საშინლად ისროლა (17-დან 5 ზუსტი ტყორცნა), გარდა ამისა, მთელ რიგ ეპიზოდებში უაზრო გადაწყვეტილებები მიიღო, რამაც ბურთის დაკარგვა ან დალასელთა შეტევების შეფერხება გამოიწვია. „ლეიკერსის" რიგებში კი ნაცნობი სახეები ბრწყინავდნენ, რომლებსაც **ტრევორ არიზაც** დაემატა. მატჩის ბოლოსკენ მისმა თამამმა (და ხანდახან თავხედურმა) ინდივიდუალურმა მოქმედებამ „ლეიკერსს" უპირატესობის გაზრდის საშუალება მისცა და მეტოქის საბოლოო დემორალიზება მოახდინა.

## ტურის გმირი: ლებრონ ჯეიმსი

ბოლო ოთხი ტურიდან სამში „მეფემ" 41 ქულა დააგროვა. ამჯერად **ლებრონის** რისხვა „მილუოკის" დაატყდა თავს. ამრიგად, „კლივლენდის" ლიდერი 1991 წლის შემდეგ პირველი კალათბურთელი გახდა, ვინც ჩემპიონატის საწყისი რვა მატჩიდან ოთხში 41 ქულა დააგროვა. 17 წლის წინ ეს შედეგი ლეგენდარულმა **მაიკლ ჯორდანმა** დააფიქსირა. აღსანიშნავია, რომ 41 ქულის დასაგროვებლად ლებრონს 43 წუთი დასჭირდა. *„ბიჭებო, ბოდიში, სპეციალურად არ მინდოდა"*, - ჯეიმსმა მატჩის შემდეგ სტატისტიკოსებს ბოდიში მოუხადა.

## ტურის ანტიგმირი: ბრედ მილერი

მატჩისწინა ხმამაღალი განცხადებების მიხედვით, „საკრამენტო კინგზის" კალათბურთელები „დეტროიტის" დამარცხებას აპირებდნენ. „მეფეების" სურვილი მისასალმებელია, მაგრამ ტყორცნების გამოყენების იმ პროცენტით, რაც „საკრამენტომ" გუშინ აჩვენა, აუტსაიდერსაც ვერ მოუგებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „კინგზის" ცენტრმა **ბრედ მილერმა**, რომელმაც 18-ჯერ ისროლა და მხოლოდ ორჯერ (!) ჩააგდო. საკრამენტოელ გიგანტს არ ჩამორჩა **ჯონ სალმონსი** (12-დან ოთხი). მატჩის შემდეგ, თავისი ბიჭების უაზრო ტრაბახის გამო ჟურნალისტების წინაშე თავის მართლება მწვრთნელ **რეჯი ტეუსს** მოუწია.

## ტურის ციფრი: 550

ზედიზედ 550 მატჩს იწყებდა სასტარტოში „სან ანტონიო სპურსის" თავდამსხმელი **ბრიუს ბოუენი**. ეს სერია გუშინ, „ნიუ იორკთან" მატჩში შეწყდა - მსუბუქი ფორვარდის ადგილი **იმე უდოკამ** დაიკავა. **გრეგ პოპოვიჩის** ამ როქმა დიდი შედეგი ვერ მოიტანა: უდოკამ მატჩი ზედიზედ რვა გაფუჭებული ტყორცნით დაიწყო და ისევ სათადარიგოთა სკამზე დაბრუნება მოუხდა. საბოლოოდ, იმ 20 წუთის განმავლობაში, რაც მას მოედანზე მოუწია ყოფნა, ბოუენის შემცვლელმა ვერ დაამტკიცა, რომ სასტარტო ხუთეულში ადგილს იმსახურებს.

## ტურის ფრაზა

*„საშინლად ვიცავდით თავს. ჩვენს მეტოქეს თავქუდმოგლეჯილი დავდევდით, თითქოს ლამაზ გოგოს მივდევთო. თანაც, ერთმანეთს არ ვეხმარებოდით"*, - ასეთი კომენტარი გაუკეთა ჩიკაგოელმა **ლუოლ დენგმა** „ატლანტასთან" საშინაო მარცხს.

**შარლოტი-დენვერი 80:88**

24:18, 22:24, 16:29, 18:17

შ: რიჩარდსონი (23+5 მოხსნა), მორისონი (16), ჯ. უოლასი (13+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოკაფორი (2+8 მოხსნა+4 დაფარება).

დ: ენტონი (25+6 მოხსნა), ბილაპსი (16+5 პასი), ბელკმენი (15+7 მოხსნა), ნენე (12+8 მოხსნა+4 დაფარება), ე. კარტერი (10+6 პასი).

**კლივლენდი-მილუოკი 99:93**

23:18, 25:24, 26:29, 25:22

კ: ლ. ჯეიმსი (41+5 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), მო უილიამსი (16+5 პასი), ილგაუსკასი (15+10 მოხსნა), ვარეჟაო (13+10 მოხსნა), უესტი (11+5 პასი).

მ: ჯეფერსონი (19+6 მოხსნა), რიდნური (17), ბელი (13), ვილანუევა (12+10 მოხსნა), სეშენსი (10), მბაა-მუტი (7+9 მოხსნა).

**ფილადელფია-იუტა 80:93**

20:26, 17:23, 30:14, 13:30

ფ: ა. მილერი (25+6 პასი), იგუოდალა (15+10 მოხსნა), ბრენდი (13+5 მოხსნა+6 დაფარება), იანგი (9+11 მოხსნა), დალემბერი (6+11 მოხსნა).

ი: ბუზერი (19+16 მოხსნა), კირილენკო (16+8 მოხსნა), მილსეპი (16+6 მოხსნა+3 დაფარება), ბრიუერი (16+6 მოხსნა+9 პასი+4 ჩაჭრა), დ. უილიამსი (7+9 პასი).

**ჩიკაგო-ატლანტა 108:113**

22:26, 30:29, 22:29, 34:29

ჩ: როუზი (26+10 მოხსნა+6 პასი), დენგი (19+10 მოხსნა), ნოჩიონი (20), გორდონი (19), სეფოლოშა (13+3 ჩაჭრა), გრეი (6+10 მოხსნა).

ა: ჰორფორდი (27+17 მოხსნა+6 დაფარება), ბიბი (22+5 პასი), ჯ. ჯონსონი (17+8 პასი), ევანსი (17+5 მოხსნა), მერვინ უილიამსი (13), ფაჩულია (12+8 მოხსნა).

**დალასი-ლეიკერსი 99:106**

35:26, 25:28, 19:22, 20:30

დ: ტერი (21+4 ჩაჭრა), გრინი (17+6 მოხსნა), სტეკჰაუსი (17), კიდი (16+11 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა), ნოვიცკი (14+8 მოხსნა), დემპიე (11+16 მოხსნა+3 დაფარება).

ლ: ბრაიანტი (27), პ. გასოლი (22+11 მოხსნა), არიზა (13+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ოდომი (12+5 მოხსნა), ბინუმი (11+10 მოხსნა+3 დაფარება).

**სან ანტონიო-ნიუ იორკი 92:80**

20:20, 18:21, 29:23, 25:16

ს-ა: დანკანი (23+9 მოხსნა+7 პასი), ფინლი (14+6 მოხსნა), ბოუენი (13), ჰილი (12+5 მოხსნა), მეისონი (10+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ობერტო (6+9 მოხსნა).

ნ-ი: კროფუორდი (28), ზ. რენდოლფი (15+13 მოხსნა), დ. ლი (15+9 მოხსნა).

**საკრამენტო-დეტროიტი 92:100**

31:18, 19:32, 27:25, 15:25

ს: ჰოვსი (19+6 მოხსნა), უდრიხი (18+7 მოხსნა), ტომპსონი (15+9 მოხსნა), სალმონსი (11+5 მოხსნა+7 პასი), მური (10+5 მოხსნა), მილერი (7+8 მოხსნა+6 პასი).

დ: აივერსონი (30+9 პასი+7 მოხსნა), პრინსი (26+11 მოხსნა), ჰემილტონი (17), რ. უოლასი (7+7 მოხსნა+3 დაფარება).

**გ. სტეიტი-მინესოტა 113:110 (ო)**

27:27, 31:23, 25:37, 23:19, 7:4

გ-ს: ს. ჯექსონი (30+5 პასი+3 ჩაჭრა), აზუბუიკე (22+8 მოხსნა), ბიედრინსი (13+15 მოხსნა), ბ. რაიტი (13+7 მოხსნა).

მ: ჯეფერსონი (25+12 მოხსნა+4 დაფარება), გომესი (18+5 მოხსნა), მაკენტსი (18), ფოი (15+8 პასი), ჩ. სმიტი (10), მ. მილერი (10+8 მოხსნა+7 პასი), ლავი (6+9 მოხსნა).

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ფილადელფია 1:3**

0:0, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ბრიერი-5 (ნოდლი-2, კუკონენი-1), 0:2 მ. რიჩარდსი-5 (საიმონ განიე-8), 1:2 ჰანტერი-6 (ჟერვე-5), 1:3 ტიმონენი-1.

**დეტროიტი-პიტსბურგი 6:7 (ო)**

2:1, 2:1, 2:4, 0:1

**გოლები:** 0:1 კროსბი-4 (შატანი-5, ტელბოტი-1), 1:1 მაკარტი-1 (მიოლტბი-1), 2:1 ჰოლმსტრიომი-7 (ლიდსტრიომი-8, მარიან ჰოსა-10), 3:1 ფრანცენი-6 (ჰუდლერი-8, სამუელსონი-9), 3:2 ტელბოტი-4 (სიკორა-4, კროსბი-14), 4:2 დაციუკი-4 (მარიან ჰოსა-11, ლიდსტრიომი-9), 5:2 ზეტერბერგი-9 (ჰუდლერი-9, კრონვალი-6), 5:3 მალკინი-5 (შატანი-6, კროსბი-15), 5:4 ჯ. სტაალი-3 (კუკი-4, ზიგომანისი-3), 6:4 ჰუდლერი-3 (დრეიპერი-1, სამუელსონი-10), 6:5 ჯ. სტაალი-4 (კუკი-5, ლეტანგი-8), 6:6 ჯ. სტაალი-5 (მალკინი-19, გოლიგოსკი-4), 6:7 ფედოტენკო-3 (ჯ. სტაალი-4).

**მონრეალი-ოტავა 4:0**

1:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰიგინსი-2 (ს. კოივუ-8, გორჯესი-2), 2:0 ჰიგინსი-3 (ს. კოსტიცინი-4, ო'ბირნი-3), 3:0 ლატენდრესი-2 (ლანგი-5), 4:0 ჰიგინსი-4 (ტანგეი-8, გორჯესი-3).

**კალგარი-ტორონტო 4:3**

2:1, 1:0, 1:2

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-5 (გრაბოვსკი-4, ტ. კაბერლე-9), 1:1 ბოიდი-5 (ბერტუცი-7, რეგერი-3), 2:1 იგინლა-10 (ფანოფი-10, ლენგკოუ-8), 3:1 ფანოფი-3 (იგინლა-11, ჯორდანო-6), 4:1 ბოიდი-6 (გლენკროსი-4, ჯორდანო-7), 4:2 ანტროპოვი-6 (ი. უაიტი-3, სტაიანი-9), 4:3 სტაიანი-4.

**ლოს ანჯელესი-დალასი 3:2 (ბ)**

2:1, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 სტოლი-5 (კოპიტარი-10, დაუტი-4), 1:1 ი. ლეჰტინენი-1 (ოტი-4, ბ. რიჩარდსი-7), 2:1 დ. ბრაუნი-6 (კოპიტარი-11), 2:2 მოდანო-5 (ზუბოვი-1, ლ. ერიქსონი-4),

**ბულიტები გაიტანეს:** სიმონდსი (ლოს ანჯელესი), რიბეირო (დალასი), ფროლოვი (ლოს ანჯელესი).

**სან ხოსე-ნეშვილი 3:4 (ო)**

1:0, 1:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 სეტოგუჩი-8 (ლუკოვიჩი-4, მარლო-10), 2:0 რ. ბლეიკი-2 (ჯ. ტორნტონი-12, სეტოგუჩი-8), 2:1 არნოტი-7 (ჰორნკვისტი-5, დე ვრისი-1), 2:2 ფიდლერი-2 (შ. უებერი-8, სატერი-9), 3:2 სეტოგუჩი-9 (ჯ. ტორნტონი-13, მარლო-11), 3:3 სატერი-2 (დუმონი-15, ლეგვანდი-7), 3:4 კოისტინენი-2 (პევერლი-4, ბონკი-2).

ამბები

კალათბურთი

## დიდი ფილი წასვლას აპირებს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მფლობელ **ჯერი ბასს** კალიფორნიული გუნდის მთავარი მწვრთნელის **ფილ ჯექსონის** კიდევ რამდენიმე წლით შენარჩუნების დიდი სურვილი აქვს. მაგრამ ამ განზრახვის განხორციელებას თავად მწვრთნელის გეგმები ეწინააღმდეგება.

63 წლის სპეციალისტი დარწმუნებული არ არის, რომ ამ სეზონის შემდეგ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დარჩება და სამწვრთნელო კარიერას გააგრძელებს.

*"მე მხოლოდ აწმყოთი, ერთი ჩემპიონატით ვცხოვრობ. ეს ის არის, რაზეც ამ ეტაპზე ვფიქრობ"*, - ამბობს ფილ ჯექსონი, რომელსაც "ლეიკერსთან" 1+1 სქემით კონტრაქტი აკავშირებს და ღირებულება 23 მილიონ დოლარს შეადგენს.

## კლიპერსს კამანი არ ეთმობა

"ლოს ანჯელეს კლიპერსის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ დანლივიმ** უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს კალიფორნიული კლუბი თავისი ძირითადი ცენტრის **კრის კამანის** (13.1 ქულა და 10.4 მოხსნა წლევანდელ რეგულარულში) სხვა გუნდში გაცვლას აპირებდეს. როგორც ამერიკული პრესა წერდა, კამანს სავარაუდოდ "შარლოტ ბობკეტსში" უნდა გაეგრძელებინა კარიერა.

*"შარლოტს" მართლაც სურდა კამანის გადაბირება, მაგრამ ჩვენგან უარი მიიღო"*, - განაცხადა დანლივიმ. თავად კალათბურთელმა, რომელმაც შარშან ხუთწლიანი (52 მილიონი) კონტრაქტი გააფორმა "კლიპერსთან", მოსალოდნელი გაცვლის შესახებ არაფერი იცოდა.

## იტალიას გალინარი დააკლდება

როგორც იტალიური პრესა წერს, ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფორვარდ **დანილო გალინარის** ძველებურად აწუხებს ზურგის ტრავმა. ახალგაზრდა კალათბურთელი, სავარაუდოდ, ევროპის 2009 წლის საკვალიფიკაციო ტურნირში ვერ მიიღებს მონაწილეობას, რომელიც გაისად ზაფხულში გაიმართება. იტალიამ ევრობასკეტის ფინალური ეტაპის ერთ-ერთი საგზური ხუთ გუნდთან ერთად უნდა გაითამაშოს.

ამ ზაფხულს, გალინარი "ნიუ იორკ ნიქსმა" დრაფტის მეექვსე ნომრად აირჩია. წელს იტალიელმა რეგულარული ჩემპიონატის მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ მოედანზე მხოლოდ 6 წუთი დაყო.

*"გარკვეული ხანი ვერ ვითამაშებ*, - მოჰყავს FIBA-ს ოფიციალურ ვებგვერდს 20 წლის კალათბურთელის სიტყვები. – *ზურგი ისევე აუტანლად მტკივა, როგორც რამდენიმე თვის წინ, მკურნალობამდე მტკიოდა. ასეთი მდგომარეობაში მოედანზე გასვლას არ ვაპირებ და ვარჯიშებზე დატვირთვაც უნდა შევამცირო"*.

ფორმულა 1

## ბარიკელო მხოლოდ ფორმულას თანხმდება

იაპონური "ჰონდას" პილოტმა **რუბენს ბარიკელომ** განაცხადა, რომ თუ მომავალი წლისთვის ფორმულა 1-ის რომელიმე გუნდთან კონტრაქტს ვერ გააფორმებს, ავტოსპორტს სამუდამოდ გამოეთხოვება. ბრაზილიელმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს "ინდიკარის" სერიაში აპირებდეს გადასვლას და იქვე დაამატა, რომ ბოლომდე იბრძოლებს "ჰონდაში" ადგილის შესანარჩუნებლად.

*"ან ფორმულა 1-ში დავრჩები, ან სარბოლო კარიერას დავასრულებ*, - ამბობს 36 წლის ბარიკელო. - *თუ ლუკას დე გრასი და ბრუნო სენა გაამართლებენ, მაშინ ისინი გახდებიან "ჰონდას" საპრიზო პილოტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისუფალ ადგილს მე შევავსებ"*.

ველოსპორტი

## ულრიხმა სასამართლო მოიგო

გერმანელმა ველომრბოლმა **იან ულრიხმა** თავის ყოფილ გუნდ Coast-ს სასამართლო პროცესი მოუგო. ტურ დე ფრანსის ყოფილი ჩემპიონი ამ საჯინიბოში რამდენიმე წლის წინ ირიცხებოდა. 2003 წელს, Coast-ის ხელმძღვანელობამ ულრიხი დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა და სამი თვის ხელფასი არ გადაუხადა. სწორედ ეს იყო სასამართლო დავის მიზეზი.

*"მაშინ არანაირი აკრძალული პრეპარატი არ გამომიყენებია. მიხარია, რომ სასამართლომ ეს გარემოება გაითვალისწინა და ჩემი მხარე დაიჭირა"*, - ამბობს ულრიხი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, Coast-ის ყოფილმა შეფმა **გიუნტერ დამსმა** ველომრბოლს 433 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს. მასვე დაეკისრა სასამართლო ხარჯების გასტუმრება.

## ჩიპოლინი მენეჯერი გახდა

იტალიური ველოსპორტის ლეგენდა **მარიო ჩიპოლინი** მომავალი სეზონისთვის იტალო-უკრაინულ ველოსაჯინიბო ISD-ში გადავა. მსოფლიოს 41 წლის ექსჩემპიონი ამ გუნდში ტექნიკური კონსულტანტის ფუნქციებს ჩაიბარებს - წერს "გაძეტა დელო სპორტი".

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის სეზონის წინ, ჩიპოლინიმ დიდ სპორტში დაბრუნება სცადა, მაგრამ რუსულმა საჯინიბო "ტინკოფმა" იტალიელთან კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა.

ბიატლონი

## ბიორნდალენმა სტარტი გადადო

გუშინ გაირკვა, რომ ნორვეგიის ნაკრების ლიდერი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** ავადმყოფობის გამო სეზონის დასაწყისს გამოტოვებს.

წელს ლეგენდარული ბიატლონისტი სათხილამურო რბოლაშიც აპირებს გამოსვლას და სეზონი 14-16 ნოემბერს, ბეიტოსტოლენში სწორედ ამ სახეობაში ასპარეზობით უნდა გაეხსნა, მაგრამ ნორვეგიელი ტრასაზე ვერ გავა. ის ასევე დააკლდება 22-23 ნოემბერს გასამართ შვედურ ჰალივარის ეტაპს.

*"დაახლოებით 8-10 დღე საწოლში გავატარე. დრო მჭირდება იმისთვის, რომ ენერგია აღვიდგინო და ტრასაზე ჩვეული სიჩქარე დავიბრუნო. სამწუხაროდ, მსოფლიოს თასის პირველი ორი ეტაპის გამოტოვება მომიწევს. იმ დროისთვის გამოჯანმრთელებული ვიქნები, მაგრამ ოპტიმალური სპორტული ფორმის გარეშე ტრასაზე არაფერი მესაქმება. ასე რომ, ახლა მთელ ყურადღებას ესტერსუნდის საბიატლონო ეტაპზე გადავიტან, რომელიც დეკემბრის დასაწყისში გაიმართება"*, - აცხადებს ბიორნდალენი.

ჰოკეი

## ლიდსტრიომმა ჩელიოსს გაასწრო

ჰოკეის ეროვნული ლიგის ბოლო ტურის მატჩში, "დეტროიტ რედ უინგზის" კაპიტანმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** "პიტსბურგ პინგვინზთან" შეხვედრაში ორი შედეგიანი პასი გააკეთა. შესაბამისად, შვედმა მცველმა კარიერული მონაგარი 949 ქულამდე აიყვანა.

ლიდსტრიომმა ამ მაჩვენებლით, NHL-ის მცველებს შორის შედეგიანობის მიხედვით მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა. სკანდინაველმა ერთი ქულით გაასწრო თავის თანაგუნდელს, ამერიკელ მცველ **კრის ჩელიოსს**.

ქართული ბიბლიოთეკა

კრივი

# პოლიფილდი მიზერულ ჰონორარს დათანხმდა



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი, ლეგენდარული **ევანდერ ჰოლიფილდი** 20 დეკემბერს, თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ მორიგ ბრძოლას გამართავს. ამერიკელი მოკრივე შვეიცარიის ქალაქ ციურიხში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს, რუს **ნიკოლაი ვალუევს** დაუპირისპირდება.

46 წლის ჰოლიფილდს არ აშინებს არც ასაკში სხვაობა და არც მასზე გაცილებითდ ახალგაზრდა ოპონენტის გაბარიტები. ევანდერი კარიერის დასრულებას 2009 წლის ბოლოს აპირებს, მანამდე კი მეხუთედ სურს საჩემპიონი ტიტულის მოპოვება. ჰოლიფილდი უკანასკნელად ჩემპიონის ქამარს 2001 წელს ფლობდა და ის თანამემამულე **ჯონ რუისთან** ბრძოლაში დაკარგა. ვალუევთან ბრძოლის კონტრაქტს ამერიკელმა ამ კვირის ბოლოს უნდა მოაწეროს ხელი.

*"ვიცოდი, რომ ერთი შანსი კიდევ მომეცემოდა, უბრალოდ მოთმინება უნდა გამომეჩინა,* - განაცხადა ჰოლიფილდმა The Atlanta Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - *ვიცი, რომ ჩემი დრო მიდის და ამიტომაც ვჩქარობდი. საკუთარ ცხოვრებას ჩემ ნაცვლად ღმერთი განაგებს. თუ ის ჩემს ჩემპიონობას მოისურვებს, კარიერას გავაგრძელებ და შევეცდები, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე პროფესიულ კრივში".*

ვალუევთან ბრძოლისთვის მზადების ციკლში, ჰოლიფილდმა თავისი პირველი მენეჯერი - **კენ სანდერსი** მიიწვია, თუმცა მწვრთნელი ჯერ არ აურჩევია. რაც შეეხება მომავალი ბრძოლის ჰონორარს, რუსთან ჩხუბის სანაცვლოდ, ამერიკელი არც ისე დიდ თანხას მიიღებს. მას მხოლოდ 600 ათასი დოლარი ერგება. მაგრამ, როგორც თავად ამბობს, ვალუევთან შეხვედრას არა ფულის, არამედ ჩემპიონის ტიტულისთვის დათანხმდა.

*"ადამიანები მუდმივად მეკითხებიან, რატომ ვაგრძელებ კარიერას. ყველას ჰგონია, რომ ფულის გამო შემოვრჩი ამდენი ხანი პროფესიულ რინგს. მაგრამ ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფინანსური პრობლემები მაქვს, ჩხუბს ფულის გულისთვის არ ვაპირებ. ყოველთვის ერთი მიზანი მამოძრავებდა - მინდოდა ჩემპიონი გავმხდარიყავი",* - აღნიშნავს ამერიკელი.

ჰოლიფილდისა და ვალუევის შვეიცარიულ დაპირისპირებას ამერიკაში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ბრძოლის ორგანიზატორებს იმედი აქვს, რომ ფასიანი ტრანსლიაციის მოწყობას შეძლებენ, მაგრამ თავად ჰოლიფილდს ამის ნაკლებად სჯერა: *"არ მგონია, რომ ამერიკაში ამ ბრძოლის შეძენა მოისურვონ. როგორც ჩანს, ჩვენი დაპირისპირება ნაკლებ ინტერესს გამოიწვევს, რაც ძალიან ცუდია. დარწმუნებული ვარ, მაყურებელს წინ საინტერესო სანახობა ელის. ეს დიდი მოვლენა იქნება კრივის სამყაროში".*

ფორმულა 1

# ჰაკინენი მასწავლებლის როლში




ფორმულა 1-ის ორგზის ჩემპიონი **მიკა ჰაკინენი** ახალ კარიერას იწყებს. ფინელმა პილოტმა მრბოლელთა მომავალ თაობაზე მზრუნველობას მოჰკიდა ხელი.

1998 წლიდან მოყოლებული, ჰაკინენის მენეჯერი იყო Aces Management Group-ის თავმჯდომარე **დიდიე კოტონი**. ამ ორგანიზაციის ოფისი მონტე კარლოში მდებარეობს. როგორც ჟურნალი "ავტოსპორტი" იუწყება, ამიერიდან მიკა ამავე კომპანიაში იმუშავებს. მას ახალგაზრდა პილოტების მოძიება და მათი კარიერის სწორად გავითარება დაევალება.

*"ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლო საქმეა. დიდიესთან თანამშრომლობის გაგრძელებით კმაყოფილი ვარ. სწორედ ამ ადამიანს უკავშირდება ჩემი პროფესიული წარმატებები.*

*პირადი გამოცდილებით ვიცი, რა არის საჭირო მწვერვალზე ასასვლელად. მნიშვნელოვანია, რომ სპორტსმენის გვერდით ისეთი პროფესიონალები იდგნენ, რომელთა ნდობა შეიძლება. მსოფლიოს ჩემპიონატის ორჯერ მოგებით, ბევრი რამ ვისწავლე და ახლა ერთი სული მაქვს, როდის გადავცემ ჩემს გამოცდილებას ამბიციურ და ნიჭიერ ახალგაზრდობას",* - ამბობს ჰაკინენი.

დონ კოტონმა აღნიშნა, რომ სწორედ ისეთი თანაშემწე სჭირდებოდა, როგორიც ჰაკინენია: *"ჩვენი ორგანიზაცია მიკასთან თანამშრომლობით მხოლოდ მოგებული დარჩება. ახალ როლში მუშაობისას, ის მთელ თავის საჩემპიონო გამოცდილებას გამოიყენებს: წარმატებისაკენ სწრაფვა, კონცენტრაციის უნარი, სწრაფი გადაწყვეტილელების მიღება..."*

# ტორო როსო: ვინ იქნება ზედმეტი?

"ტორო როსოს" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მომავალ კვირას ბარსელონაში გასამართ ტესტებზე სამ ავტომრბოლს მიიწვევს და სავარაუდოდ, მათგან შეარჩევს 2009 წლის სეზონის საპრიზო პილოტებს.

ტესტებზე მიწვეულნი არიან: ნიჭიერი შვეიცარიელი **სებასტიან ბუემი** – მას "რედ ბული" პატრონობს, გამოცდილი იაპონელი **ტაკუმა სატო**, რომელიც "სუპერ აგურის" გაკოტრების შემდეგ უმუშევარი დარჩა და კანადელი **სებასტიან ბურდე**, რომელმაც გასულ სეზონი სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში გაატარა.

"ტორო როსოში" ორივე პილოტის ადგილი ვაკანტურია, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა არ ჩქარობს შემადგენლობის დასახელებას. არის კიდევ ერთი კანდიდატი – ბრაზილიელი **ბრუნო სენა**, მაგრამ ის ზამთრის პირველ სასტესტო სერიაში "ჰონდასთან" ერთად იმუშავებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჩელსი-ბარნლი | 1:1, პენ. 5:6 |
| სანდერლენდი-ბლეკბერნი | 1:2 |
| ტოტენჰემი-ლივერპული | 4:2 |

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-სუინდონი | 2:0 |

### იტალიის თასი

| | |
|---|---|
| უდინეზე-რეჯინა | 0:0, პენ. 8:7 |
| სამპდორია-ემპოლი | 2:1 |
| ნაპოლი-სალერნიტანა | 3:1 |

### ესპანეთის თასი

**1/16 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-სელტა | 3:0 (2:2) |
| ვალიადოლიდი-ერკულესი | 2:2 (5:1) |
| ვილიარეალი-ეხიდო | 1:1 (0:5) |
| ალმერია-ვალეკანო | 3:0 (2:1) |
| ატლეტიკო-ორიუელა | 0:0 (1:0) |
| ბარსელონა-ბენიდორმი | 1:0 (1:0) |
| დეპორტივო-ელჩე | 2:0 (2:0) |
| მალიორკა-მალაგა | 2:0 (1:1) |
| რასინგი-მურსია | 2:0 (1:2) |
| ბეტისი-კასტელონი | 2:0 (2:0) |
| რეკრეატივო-ბილბაო | 2:1 (0:2) |
| სპორტინგი-ნუმანსია | 2:0 (1:0) |
| ვალენსია-პორტუგალეტე | 3:0 (4:1) |

### გერმანია

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ვერდერი A-დინამო (დრ) | 0:1 |

### საფრანგეთი

**ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰავრი-რენი | 2:1 |
| პსჟ-ნანსი | 2:0 |

### ჰოლანდიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-აიაქსი | 0:0, დ.დ. 1:0 |
| დენ ჰააგი-ფორტუნა | 4:1 |
| ეინდჰოვენი-ტვენტე | 2:3 |
| ლიენდენი-ვიტესი | 0:0 |
| ჰერენვეენი-ჰააგლანდია | 7:0 |
| სპარტა-კამბური | 2:1 |
| ტელსტარი-გრონინგენი | 0:3 |
| ალკმაარი-პსვ ეინდჰოვ. | 0:0, პენ. 1:0 |

### ბელგიის თასი

**1/6 ფინალი**

| | |
|---|---|
| შარლერუა-რონსე | 3:1 |
| ბრიუგე-ბევერენი | 1:0 |
| ბეერსხოტი-მეხელენი | 1:4 |
| კორტრიიკი-სტანდარდი | 1:1, პენ. 4:3 |

### შოტლანდია

| | |
|---|---|
| სელტიკი-კილმარნოკი | 3:0 |
| დანდი იუნ-ჰიბერნიანი | 2:0 |
| ჰართსი-ჰამილტონი | 1:0 |
| ინვერნესი-ფალკირკი | 1:1 |
| მოზერველი-რეინჯერსი | 0:0 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ისტ სტირლინგი-ანენი | 2:1 |

### დანიის თასი

| | |
|---|---|
| ლუნგბიუ-კოპენჰაგენი | 0:0, პენ. 2:4 |
| ნორდსილანდი-ოლბორგი | 1:2 |
| ნორდვესტი-ჰორსენსი | 2:1 |
| ოდენსე-ბრონდბიუ | 0:1 |

### ნორვეგია

**პლეიოფი**

| | |
|---|---|
| აალესუნდი-სიოგნდალი | 3:1 |

### ავსტრია

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-მატერსბურგი | 2:1 |
| ლინცერი-შტურმი | 0:3 |
| რიდი-ზალცბურგი | 2:2 |
| აუსტრია (კ)-ალტახი | 2:1 |

### თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| გაზიანთეფი ბბ-გაზიანთეფი | 1:3 |
| მალათია-ანკარა | 2:4 |
| ალანია-წივასი | 2:2 |
| ქონია-დენიზლი | 0:1 |
| ტოქათი-ერქისეპირი | 1:1 |
| ბურსა-ანკარაგიუჯუ | 1:0 |

### ირლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლონგფორდი-უექსფორდი | 2:4 |

### უკრაინის თასი

| | |
|---|---|
| სტალი-დინამო | 1:4 |
| ტავრია-მეტალისტი | 1:2 |
| მეტალურგი (დ)-ვორსკლა | 0:1 |

### პოლონეთი

| | |
|---|---|
| ლეხია-ლკს | 2:1 |
| პოლონია (ბ)-ლეხი | 1:1 |
| ოდრა-ვისლა | 0:2 |
| იაგელონია-გურნიკი | 1:0 |

### ხორვატიის თასი

| | |
|---|---|
| პომორაცი-სიბალია | 1:1 |
| ზაგორა-დინამო | 1:2 |
| ჰაიდუკი-სლავენი | 0:0 |
| რიეკა-ზაგრები | 2:2 |

## კალათბურთი

### ევროლიგა

**კაცები**

| | |
|---|---|
| ცსკა-ევეს პილსენი | 90:68 |
| ნანსი-ჟალგირისი | 69:64 |
| ტაუგრესი-რომა | 90:93 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ვისლა-სალამანკა | 67:77 |
| ვილნიუსი-კოშიცე | 72:49 |
| შიბენიკი-ვალენსია | 72:83 |
| შოპრონი-გამბრინუსი | 68:65 |
| ბეშიქთაში-ნადეჟდა | 89:81 |
| ლილი-ტტტ | 71:53 |
| ვენეცია-ცსკა | 66:63 |
| მონპელიე-სპარტაკი | 70:93 |
| ფამილა-ფენერბაჰჩე | 68:73 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| მეტალურგი შნ)-ცსკა | 0:1 |
| აკ ბარსი-ტორპედო (ნ) | 6:3 |
| დინამო-ვიტიაზი | 4:2 |
| ნეფტეხიმიკი-სევერსტალი | 2:2 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | |
|---|---|
| ბერნი-ჰ371 | 7:5 |
| კერპეტი-აისბარენი | 2:2 |
| ლინჩოპინგი-სლავია | 4:5 |
| ბუდეიოვიცე-ს. იულიაევი | 0:3 |

## ხელბურთი

### გერმანია

| | |
|---|---|
| ბალინგენი-ჰამბურგი | 28:26 |
| ლემგო-კეპინგენი | 31:25 |
| მაგდებურგი-მინდენი | 30:21 |
| ფიუხსე-ნორდჰორნი | 30:29 |

## ჩოგბურთი

**ATP. შანხაი**

| | |
|---|---|
| მიურეი-სიმონი | 6:4, 6:2 |
| ფედერერი-როდიკი | 7:6, 6:4 |

TV სპორტი

**13 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:00 საფეხბურთო პროგრამა.
08:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-რეალი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ევერტონი.
15:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ინტერი-ვერდერი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-მალაგა.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
20:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:45 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
23:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შახტარი-ბარსელონა.
01:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:45 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
04:45 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანტი-ტულუზა.
06:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ინტერი-ვერდერი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
09:25 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:55 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:00 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. II რაუნდი.
10:55 მხატვრული ტანვარჯიში. ბრატისლავა. სლოვაკეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის თასი. ჯგუფური ტურნირი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 მინი-მოედანი.
18:15 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
18:40 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას თასი. 1/2 ფინალი. ჩივასი-ინტერნასიონალი.
20:25 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
20:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-სენტ ლუისი.
22:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:10 ნიჩბოსნობა.
23:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ჯენოა (LIVE).
01:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პანათინაიკოსი-მონტეპასკი.
03:15 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანას თასი. 1/2 ფინალი. არგენტინოს ხუნიორსი-ესტუდიანტესი.
07:00 ნიჩბოსნობა.
07:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
07:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT**

11:30 ოლიპიზმი. ოლიმპიური დღიური.
12:00 ჩოგბურთი. აზიის ჰოფმანის თასი. ასტანა. ყაზახეთი (LIVE).
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია.
16:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. უმძიმესი წონა. კ. მიხარესი (მექსიკა)-ვ. დარჩინიანი (სომხეთი). აშშ.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. 1/4 ფინალი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
12:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ექსტრემალური სპორტი.
15:30 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია.
19:00 სუპერკროსი. II რბოლა. ციურიხი. შვეიცარია.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. ახალი ზელანდია.
22:00 მაუნტინბაიკი. საფრანგეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. ავსტრია.
00:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/2 ფინალი. ახალი ზელანდია.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მეტალურგი (მაკედონია)-კილი (გერმანია).
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. მასტერსის თასი



# ფედერერი ბრძოლას აგრძელებს

შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** მასტერსის თასის მეორე ტურში ჩეხი **რადეკ შტეპანეკი** დაამარცხა. შოტლანდიელმა **ენდი მიურეიმ** კი ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. ამჯერად მან ფრანგ **ჟილ სიმონს** სძლია და **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მსგავსად, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

გუშინ, ყველა მოუთმენლად ელოდა როჯერ ფედერერისა და ამერიკელი **ენდი როდიკის** დაპირისპირებას, მაგრამ შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე, როდიკმა პრესკონფერენცია მოიწვია, სადაც გამოაცხადა, რომ ფეხის ტრავმის გამო უარს ამბობს ბრძოლის გაგრძელებაზე.

ამერიკელი სასწრაფოდ ჩეხი რადეკ შტეპანეკით შეცვალეს, რომელიც ATP-ის რეიტინგში 27-ე ადგილს იკავებს. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და გეტყვით, რომ როდიკის შემცვლელმა გვარიანად ანერვიულა მსოფლიოს მეორე ჩოგანი.

პირველ გეიმში მოწოდებაზე ჩეხი ჩოგბურთელი იყო და მან სტარტზევე მისცა როჯერს ბრეიკის გაკეთების საშუალება. მაგრამ ხუთი გეიმის შემდეგ წინ უკვე შტეპანეკი იყო. ფედერერისთვის ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა - ჟილ სიმონთან წაგების შემდეგ, კიდევ ერთი წაფორხილება შვეიცარიელს ნახევარფინალური ეტაპის მიღმა დატოვებდა.

პირველი სეტი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, რომელიც დიდი გაჭირვებით ფედერერმა მოიგო. პირველი პარტიის სტატისტიკის მიხედვით, ჩოგბურთელებს თითქმის ყველა მონაცემი თანაბარი ჰქონდათ - მხოლოდ ერთი ეისით მეტი ჩააწოდა შტეპანეკმა. ჩეხი შეტევაში მოიკოჭლებდა - მის მიერ დარტყმული ბევრი ბურთი აუტში წავიდა.

ფედერერს იოლი ცხოვრება არც მეორე სეტში ჰქონია. მას მიღებაზე უჭირდა თამაში, სამაგიეროდ, პირველი ტურისგან განსხვავებით, შვეიცარიელს ცოტა ორმაგი შეცდომა ჰქონდა და უკანა ხაზზეც ბრწყინვალედ მოქმედებდა.

მეორე პარტიის ბოლოს მოვლენები დრამატულად განვითარდა. მერვე გეიმში როჯერმა მეორე ბრეიკი გააკეთა და 5:3 დაწინაურდა. მეცხრე გეიმში შვეიცარიელი მატჩზე აწვდიდა და აქ შტეპანეკმა პატარა სასწაული მოახდინა - სამი ბრეიკ-პოინტი მიიღო და მეორე ცდაზე საპასუხო ბრეიკი მიითვალა. თითქოს, ამ სეტის ბედიც ტაიბრეიკზე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ ახლა უკვე ფედერერმა მოიპოვა სამი ბრეიკ-პოინტი და პირველივე მატჩბოლზე გამარჯვება იზეიმა. ამ მოგების წყალობით, შვეიცარიელმა შეინარჩუნა ნახევარფინალში გასვლის შანსი, ოღონდ ამისთვის მას ბოლო ტურში ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ენდი მიურეის დამარცხება მოუწევს.

■ ■ ■

პირველი ტურში როდიკის დამარცხების შემდეგ, მიურეი ფედერერის მძლეველ ჟილ სიმონს ხვდებოდა. ამ მატჩამდე ბრიტანელი და ფრანგი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: ორჯერ გამარჯვება მიურეის დარჩა, ერთხელ სიმონმა მოიგო. ამ მატჩის გამარჯვებული ნახევარფინალში გადიოდა და ამიტომაც, მეტოქეები სერიოზული განწყობით გავიდნენ კორტზე.

სასტარტო წუთებმა აჩვენა, რომ წესით, ბრძოლა დაძაბული უნდა გამოსულიყო. მაგრამ მიურეიმ ნელ-ნელა ხელთ იგდო ინიციატივა, რაც ზედიზედ ოთხ მოგებულ გეიმში გამოიხატა - ენდიმ ორი საკუთარი და მეტოქის ორი მოწოდება აიღო. მაგრამ სიმონს მობეზრდა მდევრის როლში ყოფნა და ერთმანეთის მიყოლებით სამი გეიმი მოიგო - 4:3 მიურეის სასარგებლოდ.

მერვე გეიმმა ორივე ჩოგბურთელი, მათი მწვრთნელები და მაყურებელი ანერვიულა. შოტლანდიელი ძალიან აღელვებული ჩანდა და რამდენჯერმე ჩოგანი კორტზე დაახეთქა. სიმონს კი აშკარად ბადე უშლიდა ხელს: ხან თავად ეხვეოდა მასში, ხან კი ბურთს არტყამდა. ჩოგბურთელები მონაცვლეობით გადიოდნენ წინ, მაგრამ ბედმა მიურეის გაუღიმა და 5:3 დაწინაურდა. ცოტა ხანში კი, ენდიმ სეტში ლოგიკური შედეგი დააფიქსირა - 6:4.

მეორე სეტის პირველი გეიმი სიმონმა მოიგო. ერთი პირობა, ყველას ეგონა, რომ ფრანგი თამაშში გარდატეხას შეიტანდა და კორტზე ბრძოლა გაჩაღდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. მართალია, მიურეი მარტივ სიტუაციებში ხშირად ცდებოდა, მაგრამ ორი ბრეიკი მაინც გააკეთა და ანგარიში გამანადგურებელი გახდა - 4:1.

ფრანგი ჩოგბურთელის თამაში საბოლოოდ მოიშალა. სიმონს არც დაცვაში გამოსდიოდა რამე და არც შეტევაში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყოველთვის თავშეკავებული ფრანგი აშკარად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას.

წაგების შემდეგ, ჟილ სიმონმა მატჩის შესახებ ასეთი კომენტარი გააკეთა: *„მე მქონდა ანგარიშის გათანაბრების საშუალება, როცა პირველ სეტში 0:4-ს ვაგებდი. ენდის დავეწიე, მაგრამ ბოლოს მაინც დავმარცხდი. მეორე სეტში ისევ გამიჩნდა წინ გასვლის შანსი, მაგრამ ვერც ის გამოვიყენე. ამიტომაც, ბოლოსკენ ნერვები ველარ მოვთოკე. როცა მიურეის დონის ჩოგბურთელთან თამაშობ, თავად უნდა ითამაშო უნაკლო ჩოგბურთი და მეტოქის შეცდომებს არ უნდა ელოდო“.*

# ცონგამ მარცხის მიზეზი იპოვნა

ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** მასტერსის თასზე ზედიზედ ორი მატჩი წააგო და ნახევარფინალში გასვლის შანსი დაკარგა. ერთ-ერთ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ, ცონგამ თავისი წაგება ბურთის მომწოდებელი ბიჭების დაუდევრობით ახსნა. კერძოდ, ფრანგი ჩოგბურთელი იმით დარჩა უკმაყოფილო, რომ დაგვიანებით აწვდიდნენ პირსახოცს.

*„როცა პირსახოცის მოწოდება მოვითხოვე, ვერ იპოვეს. ბურთი მჭირდებოდა და არც ის მომაწოდეს. არის ისეთი მომენტები, როცა დიდი ხანი იბრძვი ერთი ქულისთვის, ილლები და საკუთარ პირსახოცს ითხოვ, ბიჭს კი თითქოს არ ესმისო, აქეთ-იქით იყურება“*, - განაცხადა უკმაყოფილო ფრანგმა.

ცონგამ ახსნა, რომ ამ ყველაფრის გამო ტყუილუბრალოდ ხარჯავდა ენერგიას, რომელიც კორტზე თამაშისას უფრო სჭირდებოდა.

*„მე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ მოვითხოვე პირსახოცი, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ მეორე ბიჭს დავუძახე, რომელიც გაოგნებული სახით მიყურებდა და მასაც რამდენჯერმე გავუმეორე თხოვნა“*, - დაამატა ცონგამ.

ჩოგბურთელი აღშფოთებული ამბობს, რომ რამდენჯერმე მას თავად მოუწია სკამიდან პირსახოცის აღებამ: *„ამისთვის ზედმეტი ათი ნაბიჯის გავლა მიწევდა. თითქოს არაფერი, მაგრამ მატჩის ბოლოს ეს დისტანცია კილომეტრად მეჩვენებოდა.*



დევისის თასი

# ნადალი გრანოლერსმა შეცვალა

მას შემდეგ, რაც **რაფაელ ნადალმა** დევისის თასის ფინალში თამაშზე უარი განაცხადა, ესპანეთის ნაკრების კაპიტანმა **ემილიო სანჩესმა** თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა.

მსოფლიოს პირველი ჩოგანის ადგილი ATP-ის რეიტინგის 56-ე ნომერმა **მარსელ გრანოლერს-პუიოლმა** დაიკავა. 22 წლის ჩოგბურთელისთვის ეს იქნება დებიუტი დევისის თასის მატჩში.

გრანოლერსის გარდა, სანჩესის სიაში **დევიდ ფერერი, ფერნანდო ვერდასკო** და **ფელისიანო ლოპესი** მოხვდნენ.

გუნდის პირველი ჩოგანი, სავარაუდოდ, დავიდ ფერერი იქნება. ფერდასკო და ლოპესი წყვილთა მატჩს ითამაშებენ, რაც შეეხება ერთეულთა შეხვედრებში მეორე ჩოგბურთელს, მისი ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

შეგახსენებთ, რომ არგენტინასა და ესპანეთს შორის დევისის თასის ფინალი 21-23 ნოემბერს, არგენტინის კურორტ მარ-დელ-პლატაში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფოტოინფო

# ტევესის და სისეს სტილი



